

ვალდებულებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2020, № 12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2020, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2020, №12

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2020, № 12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეხელი

1. **ხელშეკრულების დადება**
ვალის არსებობის აღიარება 4
2. **ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს**
ხელშეკრულებიდან გასვლა 17
3. **ზიანის ანაზღაურების მოვალეობა**
ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის 39
4. **მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი**
პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ 54; 62; 69
ბე 126; 138
5. **ვალდებულების შეწყვეტა**
ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით 147
6. **ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები**
ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და
კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება 156
ვალდებულების შეწყვეტა
იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო 166

1. ხელშეკრულების დადება

ვალის არსებობის აღიარება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1083-1040-2016

26 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 3 აგვისტოს ა. კ-ძემ (შემდეგში: მყიდველი, პირველი მოპასუხე), რომელსაც წარმოადგენდა მისი მეუღლე ლ. ც-ძე (შემდეგში: მეორე მოპასუხე) და მ. დ-ძემ (შემდეგში: გამყიდველი, პირველი მოსარჩელე), რომელსაც ასევე მეუღლე – ე. დ-ძე (შემდეგში: მეორე მოსარჩელე) წარმოადგენდა, სანოტარო წესით დამონებული შეთანხმება („ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ“) დადეს, რომლის მიხედვითაც პირველ მოპასუხეს პირველი მოსარჩელის წინაშე, 2012 წლის 21 ოქტომბრის ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანება – 25 500 აშშ დოლარი 2012 წლის 25 დეკემბრამდე უნდა დაეფარა.

2. ამ ვალდებულებიდან ნაწილი – 15000 აშშ დოლარი მ. ც-ძემ (შემდეგში – მესამე პირი, მოწმე) გადაიხადა, ნაწილი კი, შეუსრულებელია.

3. 2012 წლის 3 აგვისტოს მეორე მოსარჩელე და მეორე მოპასუხე წერილობით შეთანხმდნენ („ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ“), რომ ეს უკანასკნელი მეორე მოსარჩელეს, 2012 წლის 21 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალს – 5 000 აშშ დოლარს 2013 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით გადაიხდიდა.

4. მეორე მოპასუხეს მეორე მოსარჩელის წინაშე ვალდებულება შეთანხმებულ ვადაში არ შეუსრულებია.

5. 2013 წლის 13 ოქტომბერს შედგენილი დოკუმენტის (სათაურით – „ბინის ფულის გადაცემა“) მიხედვით, „ფული გადახდილია მესამე პირის მიერ, რომელმაც გადაიხადა პირველი მოპასუხის ვა-

ლი 15000 აშშ დოლარი, დარჩენილია 6000 აშშ დოლარი, რომელიც გადასაცემი არის ა. ბ-ძეზე (შემდეგში – მოთხოვნის მფლობელი) პირველი მოპასუხის მიერ“. დოკუმენტი ხელმოწერილია მოსარჩე-
ლეების, პირველი მოპასუხის, მოთხოვნის მფლობელის, მესამე პი-
რის, გ. ც-ძის, მ. ც-ძისა და ა. ა-ძის მიერ.

**6. გამყიდველმა და მისმა მეუღლემ (შემდეგში ერთობლივად მოხსენიებულნი: მოსარჩელები, აპელანტები) ბათუმის საქა-
ლაქო სასამართლოში სარჩელი წარადგინეს მყიდველისა და მი-
სი მეუღლის წინააღმდეგ (შემდეგში ერთობლივად ასევე მოხ-
სენიებულნი: მოპასუხეები, კასატორები) პირველი მოპასუხი-
სათვის, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ 11 500 აშშ დო-
ლარის, ხოლო მეორე მოპასუხისათვის, მეორე მოსარჩელის სა-
სარგებლოდ – 5 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.**

6.1. მოსარჩელეთა განმარტებით, სადავო ბინის ნასყიდობის თა-
ობაზე თავდაპირველად, შეუთანხმდნენ მოთხოვნის მფლობელს,
რომელმაც გამყიდველს წინასწარ გადაუხადა ნასყიდობის საფა-
სურის ნაწილი 10 000 აშშ დოლარი. შემდგომში მან გადაიფიქრა
ბინის შეძენა და გადაცემული თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა.
გამყიდველი დაჰპირდა, რომ 10000 აშშ დოლარს დაუბრუნებდა ბი-
ნის გაყიდვის შემდეგ.

2011 წლის ოქტომბერში, როდესაც მოსარჩელები მოსკოვში იმ-
ყოფებოდნენ, დაუკავშირდა მათივე ნათესავი მეორე მოპასუხე და
შეთანხმდნენ გამყიდველის საკუთრებაში არსებული ბინის ნასყი-
დობაზე 30 000 აშშ დოლარად. შეთანხმების მიხედვით, ბინას მეორე
მოპასუხე გადაიფორმებდა, დატვირთავდა იპოთეკით და ბინის სა-
ფასურს გამყიდველს გაუფზავნიდა. მინდობილი პირის მეშვეობით,
ბინა გაფორმდა პირველი მოპასუხის სახელზე, დაიტვირთა იპოთე-
კით, თუმცა მყიდველმა გამყიდველს თანხა არ გადაუხადა.

6.2 მეორე მოპასუხემ მოსარჩელებს განუმარტა, რომ თავის
მეუღლეს ბინის ნამდვილ ფასს უმაღლავდა, 5 000 აშშ დოლარით
ნაკლებს ეუბნებოდა, რის გადახდასაც მოგვიანებით თავად აპი-
რებდა. სწორედ ამიტომ, 2012 წლის 3 აგვისტოს, გაფორმდა ორი
ხელშეკრულება, ერთი – 25 000 აშშ დოლარზე პირველ მოპასუხეს-
თან და მეორე – 5 000 აშშ დოლარზე მეორე მოპასუხესთან. ვალის
აღიარების ხელშეკრულებათა მიუხედავად, მოპასუხეებმა შეთან-
ხმებულ ვადაში ვალი არ დაფარეს.

6.3 2013 წლის ოქტომბერში მოსარჩელები შეხვდნენ პირველ
მოპასუხეს, რომელმაც განაცხადა, რომ 12 000 აშშ დოლარს ახლა
გადაიხდიდა, 2 000 აშშ დოლარი უკვე გადახდილი ჰქონდა, 6 000 აშშ
დოლარს მისცემდა მოთხოვნის მფლობელს, რითაც ვალი გადახდი-

ლად მიიჩნეოდა (5 500 აშშ დოლარის მიცემაზე მოპასუხემ უარი განაცხადა, რადგან, მისი განმარტებით, ბინა მეტი არ ღირდა).

6.4. მოსარჩელეთა განმარტებითვე, პირველი მოპასუხე მიიჩნევდა, რომ მათ გადაუხადა 15 000 აშშ დოლარი, რეალურად კი – 14 000 აშშ დოლარი მისცა. მოპასუხის მტკიცებით, 1000 აშშ დოლარი მან მოსარჩელის დისშვილს გადასცა, მაგრამ, ვინაიდან თანხა მოსარჩელებს არ მიუღიათ, გადახდილად არ მიიჩნევდნენ.

7. მოპასუხეებმა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს შემდეგი: 2013 წლის 13 ოქტომბრის ხელნერილით მხარეები შეთანხმდნენ 21 000 აშშ დოლარის გადახდაზე. ამ შეთანხმებით გაიქვითა მანამდე არსებული ყველა ვალდებულება, მათ შორის – აღიარებული ვალდებულებები – 25 500 აშშ დოლარი და 5 000 აშშ დოლარი.

ამასთან, მოპასუხეთა მითითებით, სადავო ბინის ღირებულება არ აღემატება 19 432 აშშ დოლარს.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 50-ე, 341-ე მუხლები.

8.1. სასამართლომ მოპასუხეთა ახსნა-განმარტებიდან და მესამე პირის ჩვენებიდან გამომდინარე დადგენილად მიიჩნია, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებათა შემდეგ, 2013 წლის 13 ოქტომბერს შედგენილი შეთანხმებით, მხარეთა შორის ბინის საფასურის თაობაზე დავა უნდა დასრულებულიყო და მოპასუხეებს მოსარჩელეთათვის ბინის საფასური სრულად ექნებოდათ გადახდილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელებს ბინის ნასყიდობის საფასური სრულად გადაუხადეს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ საფუძვლებზე მითითებით:

9.1. არასწორია სასამართლოს დასკვნა 2013 წლის 13 ოქტომბრის შეთანხმების მიზანთან დაკავშირებით. აპელანტებმა სარჩელშიც და სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებაშიც გარკვევით ახსნეს, რომ ხელნერილი შედგა იმის გამო, რომ მყიდველს გადახდილი ჰქონდა არა 15000 აშშ დოლარი, არამედ 14000 აშშ დოლარი, რამდენადაც 1000 აშშ დოლარი, მისი თანხმობის გარეშე, გადასცეს დისშვილს, რომელიც აპელანტს არ მიუღია.

9.2. სასამართლო მიუთითებს, რომ 2013 წლის 13 ოქტომბერს ხელწერილის შედგენას ესწრებოდა და ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა მეორე მოპასუხეც და ამ უკანასკნელის მიერ აღირებულ 5000 აშშ დოლარის ვალდებულებაც შეწყდა. გაურკვეველია, ეს ფაქტი რომელი მტკიცებულებით დაადგინა სასამართლომ, როცა მეორე მოპასუხე საერთოდ არ ესწრებოდა ამ შეხვედრას და ამ ვალზე არც კი უსაუბრიათ.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

10.1 გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება;

10.2. პირველი მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

10.3. მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრა 10 500 აშშ დოლარის გადახდა;

10.4. მეორე მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა;

10.5. მეორე მოპასუხეს, მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 5000 აშშ დოლარის გადახდა.

11. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 341.1, 317.1, 361.2 მუხლებით და დაასკვნა, რომ მოპასუხეთა ვალდებულება აპელანტთა მიმართ ნამდვილი იყო.

11.1 ვალის აღიარების ხელშეკრულებებს მოპასუხეები არ შესცილებიან და არც მათი ნამდვილობის გამომრიცხველ გარემოებებზე მიუთითებიათ. ვალის არსებობის აღიარების შესახებ ხელშეკრულების არსებითი პირობებია – აღიარებული ვალდებულების ოდენობა, მისი გადახდის ვალდებულება და დამოუკიდებლობა სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მხარეები 2012 წლის 3 აგვისტოს შეთანხმდნენ ვალის არსებობის აღიარების თაობაზე ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით. შესაბამისად, ხელშეკრულებები ნამდვილი იყო და მოპასუხეებს ნაკისრი ვალდებულება უნდა შესრულებინათ.

11.2. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მონინალმდევე მხარის პოზიცია, რომ 2013 წლის 13 ოქტომბერს მხარეებმა ხელშეკრულების პირობები შეცვალეს. უპირველესად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელწერილში მეორე მოსარჩელის მიმართ მეორე მოპასუხის ვალდებულება ნახსენები არ იყო და ამ უკანასკნელს საბუთისთვის ხელი არ მოუწერია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას ეს შეთანხმება ვერ მოაწესრიგებდა.

11.3. პალატის მითითებით, ხელწერილით მხარეები ხელშეკრულების არცერთ პირობაზე არ შეთანხმებულან. მასში მითითებული არ არის არც ხელშეკრულების მხარეები, არც – მისი არსებითი პირობები, არც ვალდებულების მოცულობა, სახე და ა.შ. ხელწერილის ტექსტიდან ჩანს, რომ იგი ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას, ვალდებულების შესრულების მიმდინარეობას და არა მხარეთა შეთანხმებას ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ პირობებზე.

11.4. ის, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 13 ოქტომბერს ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებათაგან განსხვავებული ხელშეკრულება დაიდო, არ გამომდინარეობდა არც საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებიდან. მართალია, მესამე პირის ჩვენებით, მის მიერ გადახდილი თანხით მხარეთა შორის ვალდებულება უნდა შეწყვეტილიყო, თუმცა, პალატის აზრით, ეს ჩვენება ხელშეკრულების პირობების შეცვლას არანაირად არ ადასტურებდა. მონმის განმარტებით, შეთანხმების ახალი პირობები მხარეებს მან დაუდგინა – „გადაუწყვიტა“, თუმცა არსად უთქვამს, რომ ამას პირველი მოსარჩელე დაეთანხმა და ვალდებულების შემცირების ნება გამოხატა.

11.5. დადგინდა, რომ მყიდველს გამყიდველისათვის 25500 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, ხოლო მეორე მოპასუხეს მეორე მოსარჩელისათვის – 5000 აშშ დოლარი, აგრეთვე – მყიდველის ვალდებულების შესასრულებლად, მესამე პირმა გადაიხადა, სულ 15000 აშშ დოლარი. ეს თანხა მოიცავდა მოთხოვნის მფლობელისათვის გადაცემულ 4000 აშშ დოლარსაც, რაც გამყიდველის მიმართ მყიდველის ვალის ანგარიშში ჩაითვალა. ეს, გარდა ზემოხსენებული ხელწერილისა, დადგინდა საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მონმეთა ჩვენებებითაც. აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ვალი გამყიდველის მიმართ შეადგენს $25500 - 15000 = 10500$ აშშ დოლარს.

11.6 სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გამყიდველის მტკიცება, რომ მან მყიდველისაგან ვალდებულების შესასრულებლად მხოლოდ 14000 აშშ დოლარი მიიღო. საქმეში არსებული ხელწერილითა და მონმეთა ჩვენებით, პალატამ დაადგინა, რომ მესამე პირმა, მყიდველის ვალდებულების შესასრულებლად, 15000 აშშ დოლარი გადაიხადა და ეს შესრულება გამყიდველმა მიიღო. იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ამ თანხიდან 1000 აშშ დოლარი აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს არ მიუღია, მას სასამართლოსათვის არ წარუდგენია. შესაბამისად, პალატამ ამ ნაწილში პირველი მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხეებმა საკასაციო საჩივარი წარადგინეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა მოითხოვეს შემდეგ პრეტენზიებზე მითითებით:

11.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მხარეს თანხის გადახდა დაეკისრა მაშინ, როდესაც მას წინ არ უძღვოდა რეალურად არსებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რასაც თავად მოსარჩელეც აღიარებს. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში მოსარჩელები, ისევე, როგორც საქმეზე დაკითხული მონმეები, ადასტურებდნენ, რომ მეორე მოპასუხეს მოსარჩელეთა წინაშე შესრულებელი ვალდებულება არ ჰქონდა.

11.2. მეორე მოპასუხემ 5 000 აშშ დოლარი ვალი აღიარა თავისი დეიდის – მეორე მოსარჩელის შანტაჟის შედეგად – თუ ვალს არ აღიარებდა, შეძენილი ბინის გამო, თანხის გადაუხდელობის ფაქტს პოლიციას შეატყობინებდა და მას თაღლითობაში დაადანაშაულებდა. რადგან მეორე მოპასუხემ ვალი აღიარა გავლენის ბოროტად გამოყენებით, ვალის აღიარების შესახებ ხელშეკრულება ბათილია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასა და მეორე მოპასუხეს შორის ვალის არარსებობას ადასტურებს თავად მეორე მოსარჩელეც.

11.3. ვალის აღიარების შესახებ ორივე ხელშეკრულებიდან წარმოშობილ სადავო საკითხებზე მხარეებმა 2013 წლის 13 ოქტომბერს მიაღწიეს ახალ შეთანხმებას, რომლითაც პირველმა მოსარჩელემ მიიღო 15 000 აშშ დოლარი და მის წინაშე ვალდებულება სრულად შესრულდა. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის ამონურვისათვის პირველმა მოპასუხემ მოთხოვნის მფლობელისათვის 6 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება იკისრა. ამდენად, ახალი წერილობითი გარიგებით დადგინდა ახალი პირობები, რაც შესრულდა.

11.4. მოსარჩელემ პირველი მოპასუხისგან 15 000 აშშ დოლარი მიიღო. ბინის გასხვისებამდე პირველმა მოსარჩელემ მოთხოვნის მფლობელისაგან 10 000 აშშ დოლარი მიიღო, რაც დღემდე არ დაუბრუნებია.

ამდენად, მოსარჩელები, ბინის ნასყიდობის გამო, საბოლოოდ 36 500 აშშ დოლარს მიიღებენ: 15 000 აშშ დოლარს – პირველი მოსარჩელისათვის გადახდილ თანხას, 6 000 აშშ დოლარს – მოთხოვნის მფლობელისაგან მიღებულ თანხას, 10 500 აშშ დოლარს – პირველი მოპასუხისათვის დაკისრებულ თანხას, 5 000 აშშ დოლარს – მეორე მოპასუხისათვის დაკისრებულ თანხას, მაშინ, როდესაც გამყიდველსა და მყიდველს შორის შეთანხმებული ბინის საფასური 25 000 აშშ დოლარი იყო, ხოლო ბინის ღირებულება აუდიტის შეფასე-

ბით – 42 000 ლარია.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით პირველი მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, ხოლო შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, კასატორებმა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინეს.

15. მოსარჩელეთა მოთხოვნა ბინის შეთანხმებული საფასურის სრულად გადახდის თაობაზე ეფუძნება სსსკ-ის 477.2 (მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება) მუხლს. ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის მისაღებად შემდეგი წინაპირობები უნდა შესრულდეს: ა) ნასყიდობის ხელშეკრულების დადება; ბ) ნასყიდობის ფასის გადაუხდელობა.

16. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი სადავო არ არის. დადგენილია, ისიც რომ სადავო ბინა პირველი მოპასუხის სახელზე აღირიცხა. კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ შემდგომი შეთანხმებით (13.10.2013წ.) მხარეებმა ნასყიდობის საფასური შეამცირეს, რომელიც მოპასუხემ გადაიხადა.

17. საკასაციო პალატის მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ვალის არსებობის აღიარების თაობაზე 03.08.2012 წლის ხელშეკრულებიდან

გამომდინარეობს. მოვალის მიერ ვალის აღიარება, სსკ-ის 341-ე მუხლით (1. იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას; 2. თუ ვალის არსებობა აღიარებულია ანგარიშსწორების (გადახდის) საფუძველზე ან მორიგების გზით, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი) განმტკიცებულ, ვალის არსებობის აღიარებად რომ დაკვალიფიცირდეს და შესაბამისი სამართლებრივი შედეგები წარმოშვას, ის ვალდებულების შესრულების დამოუკიდებელ საფუძველს უნდა ქმნიდეს, რამდენადაც ვალის აღიარება დამოუკიდებელ გარიგებად განიხილება და მისი დანიშნულება სწორედ ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაა.

18. არაერთ საქმეზე უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის არსებობის აღიარება არის ცალმხრივი და აბსტრაქტული ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეული მოქმედებების შესრულებას და, ამდენად, საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა. თუ მხარეები უკვე არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან ადასტურებენ მას, ან მხარეები არსებული ვალდებულების შესასრულებლად ახალი ვალდებულების შესრულებას კისრულობენ, ვალის აღიარებად არ მიიჩნევა. ვალის არსებობის აღიარება მხოლოდ მაშინ ვლინდება, თუ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან და ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას წარმოშობს. ამდენად, იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნას (შდრ. სუსგ ას-839-890-2011, 8.11.2011 წელი, ას-392-371-2013, 8.11.2013 წელი).

19. ხელწერილში, რომლითაც მყიდველმა გამყიდველის წინაშე 25 000 აშშ დოლარის ვალის არსებობა დაადასტურა, პირდაპირ არის მითითებული, რომ კრედიტორის წინაშე დავალიანება სადავო ბინის გაყიდვის შედეგად წარმოიშვა. შესაბამისად, აღიარება დამოუკიდებელ საფუძველს არ ეყრდნობა, ის უკვე არსებული სამართალურ-ურთიერთობის – ნასყიდობის ფარგლებში წარმოქმნილ მოთხოვნას აღიარებს. აქედან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ

03.08.2012 წლის შეთანხმება სსკ-ის 341-ე მუხლით განმტკიცებული ე.წ. ვალის აბსტრაქტული აღიარება კი არა, უკვე არსებული სამართალური ერთობის ფარგლებში დამატებითი შეთანხმებაა, რომლითაც მხარეებს სურდათ 2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალის გადახდის ვადა გაეგრძელებინათ 2012 წლის 25 დეკემბრამდე. ამასთან, აცხადებინათ ყოველგვარი გაუგებრობა ვალის არსებობის თაობაზე.

20. ნასყიდობის საფასურის გადახდის ვადის გაგრძელებისა და „მტკიცებულების შექმნის“ მიზნით დაიდო შეთანხმება მეორე მოპასუხესთანაც, რომლითაც ამ უკანასკნელმა 5 000 აშშ დოლარის 2013 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით გადახდა იკისრა. მართალია, მასში მითითებულია, რომ ეს ვალდებულება 2012 წლის 21 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა, მაგრამ მეორე მოპასუხე წარდგენილ შესაგებელში თავადვე მიუთითებს, რომ 2012 წლის 3 აგვისტოს ორივე შეთანხმება გაფორმდა მყიდველის ვალდებულების გამო, რომელიც გამომდინარეობდა სადავო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან და არავითარი სხვა სამართალური ერთობა, გარდა ნასყიდობისა, მხარეებს შორის არ არსებობდა.

სწორედ 03.08.2012 წლის შეთანხმებებითა და მხარეთა ახსნა განმარტებით დგინდება სადავო ბინის მხარეთა მიერ შეთანხმებული საფასური.

21. მოპასუხეთა შესაგებელი ნასყიდობის საფასურის სრულად გადაუხდელობის თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ 13.10.2013 წლის შეთანხმებით მხარეებმა ნასყიდობის ფასი 30 500 აშშ დოლარიდან 21 000 აშშ დოლარამდე შეამცირეს, რომელიც პირველ მოპასუხეს უკვე გადახდილი აქვს. საკასაციო პალატა არ იზიარებს ამ შედავებას და მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმებიდან ამგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, ვინაიდან მასში შეცვლილი პირობები ასახული არ არის. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ ამ მტკიცებულებაში მითითებულია ფაქტი, რომ პირველი მოპასუხის მიერ 15 000 აშშ დოლარის პირველი მოსარჩელისათვის გადახდის ვალდებულება შეასრულა მესამე პირმა (სსკ-ის 371.1 მუხლი: თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა.), რასაც დაეთანხმა კრედიტორი და მოვალე. აღნიშნული არ გულისხმობს ნასყიდობის ფასის შემცირებას, თუმცა ადასტურებს მოპასუხის შედავებას მოსარჩელის წინაშე 15 000 აშშ დოლარის ოდენობით ვალდებულების შესრულებით შეწყვეტის თაობაზე. აქედან გამომდინარე, პალატა არ იზიარ-

რებს მოსარჩელეთა მტკიცებებს, რომ პირველმა მოპასუხემ მათ მხოლოდ 14 000 აშშ დოლარი გადაუხადა.

22. მეორე ფაქტი, რომელიც 13.10.2013 წლის შეთანხმებიდან დგინდება ისაა, რომ მყიდველმა გამყიდველისაგან გადაიკისრა 6000 აშშ დოლარის მოთხოვნის მფლობელისათვის გადახდის ვალდებულება. შეთანხმება ვალის გადაკისრების თაობაზე მიღწეულია: მას ხელს აწერს კრედიტორი, მოვალე და მოთხოვნის მფლობელი (სსკ-ის 203-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება, თავის თავზე აიღოს მესამე პირმა (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. 2. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირის ამ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი). ვალის გადაკისრებით ახალი მოვალე იკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს, შესაბამისად, ეს უკანასკნელი თავისუფლდება კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებისაგან. მოცემულ შემთხვევაში ვალის გადაკისრების შედეგი ისიცაა, რომ გამყიდველის მოთხოვნას გადაკისრებული 6 000 აშშ დოლარის ნაწილში საფუძველი გამოეცალა, შესაბამისად, მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე ამ ნაწილში შეწყდა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დასაბუთებელია კასატორთა პრეტენზია პირველი მოსარჩელის გადაკისრებული ვალის კვლავ მის სასარგებლოდ მოპასუხეთათვის არასწორად დაკისრების ნაწილშიც.

23. როგორც აღინიშნა, სადავო ბინის ფასი 2012 წლის 3 აგვისტოს ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულებებით დგინდება, რომლის შედგენის მიზანი სწორედ რომ ვალის ამ რაოდენობით არსებობის დადასტურება იყო, ფაქტობრივად, მოსარჩელებმა ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული სადავო საკითხი ამ გზით მოაწესრიგეს. შესაბამისად, თუ მხარეებს ამ პირობის შეცვლა ანუ ნასყიდობის ფასის შემცირება სურდათ, როგორც ამას მოპასუხეები მიუთითებენ, შეთანხმება იმავე ფორმით უნდა დაედოთ, როგორითაც ფასი განსაზღვრეს – რთული წერილობითი ფორმით. როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, ფორმის დაცვას ექვემდებარება არა მარტო ძირითადი გარიგება, არამედ დამატებითი შეთანხმებები და შემდგომი ცვლილებები, მით უმეტეს, ისეთი ცვლილებები, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შინაარსს (ამ საკითხზე დეტალურად იხ. სუსგ №ას-109-105-2016, 27.12. 2017 წ.). ამდენად, გარდა იმისა, რომ 13.10.2013 წლის შეთანხმებიდან მხარეთა ნება ნასყიდობის ფასის შემცირების თაობაზე არ იკითხება, მხარეთა მიერ განსაზღვრული

ის ფორმაც არ არის დაცული, რაც ამ პირობის – ნასყიდობის ფასის შემცირებას სჭირდებოდა.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელემ დაამტკიცა ნასყიდობის საგნის საფასურის ოდენობა, რაც მოპასუხემ დასაბუთებული შედავებით ვერ გააქარწყლა. ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის შეთანხმებული ფასი. ფასის გადახდის მტკიცების ტვირთი, სსსკ-ის 102.1 მუხლის შესაბამისად, მყიდველს ეკისრება. მყიდველმა ნასყიდობის ფასის – 30 500 აშშ დოლარიდან 21 000 (15 000 + 6 000) აშშ დოლარის ნაწილში ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი სათანადო მტკიცებულებით დაადასტურა. შესაბამისად, გამყიდველის მოთხოვნა მყიდველისათვის ნასყიდობის საფასურის – 11 500 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე 9 500 აშშ დოლარის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

25. მეორე მოსარჩელის მოთხოვნას მეორე მოპასუხის მიმართ საფუძველი არ გააჩნია, რამდენადაც დადგინდა, რომ მოთხოვნა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა და არა – ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებიდან. მეორე მოსარჩელე და მეორე მოპასუხე კი, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს არ წარმოადგენდნენ.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც ამ განჩინების გაუქმების (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი) საფუძველია. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. პალატა აუქმებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებას და, ახალი გადაწყვეტილებით, პირველი მოსარჩელის სარჩელს 9 900 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში აკმაყოფილებს.

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც

სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სსსკ-ის 55.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

28. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი მოსარჩელე (აპელანტი) განთავისუფლდა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, პირველ მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო საჩივრისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 966 ლარის გადახდა.

ვინაიდან საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ – 1000 აშშ დოლარის პირველი მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდა, პირველ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს 139.00 ლარის გადახდა პირველი მოპასუხის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად.

მეორე მოპასუხეს სახელმწიფო ბაჟის სახით საკასაციო საჩივარზე 662.50 ლარი აქვს გადახდილი. მეორე მოსარჩელის სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, მეორე მოსარჩელეს უნდა დაეკისროს 662.50 ლარის გადახდა მეორე მოპასუხის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

28. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა

და სირთულის გათვალისწინებით – 2 000 ლარამდე.

პირველი მოსარჩელე სარჩელით მოითხოვდა პირველი მოპასუხისათვის მის მიერ წარმომადგენლისათვის გადახდილი თანხის – 500 ლარის დაკისრებას. პალატა მიიჩნევს, რომ სსსკ-ის 53.1 მუხლის საფუძველზე, პირველ მოპასუხეს უნდა დაეკისროს 500 ლარის გადახდა პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი ხარჯის ასანაზღაურებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 53-ე, 264.3,
411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ბ ა:

1. ა. კ-ძისა და ლ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ე. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

5. ა. კ-ძეს დაეკისროს 9 500 აშშ დოლარის გადახდა მ. დ-ძის სასარგებლოდ;

6. ა. კ-ძეს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 966.00 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

7. ა. კ-ძეს დაეკისროს 500 ლარის გადახდა მ. დ-ძის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი ხარჯის ასანაზღაურებლად;

8. მ. დ-ძეს დაეკისროს 139.00 ლარის გადახდა ა. კ-ძის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

9. ე. დ-ძეს დაეკისროს 662.50 ლარის გადახდა ლ. ც-ძის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

10. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს

ხელშეკრულებიდან გასვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-168-158-2017

20 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულებულად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 12 აპრილს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდგომში – „კასატორი“, „მოპასუხე“, „სამინისტრო“ ან „შემსყიდველი“) და შპს „ვ-ოს“ (შემდგომში – „მონინალმდეგე მხარე“, „მოსარჩელე“ ან „მიმწოდებელი“) შორის დაიდო №155 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება“), რომლითაც მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება შემსყიდველისათვის 60 დღის ვადაში მიეწოდებინა 8 500 ცალი მატრასი.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენდა 592 000 ლარს, რომელიც მოსარჩელეს 2013 წლის 26 აპრილს ჩაერიცხა ავანსის სახით. ხელშეკრულება მოქმედებდა 2013 წლის 15 ივლისის ჩათვლით. ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, ერთი ერთეული მატრასის ღირებულება შეადგენდა 69,6470588 ლარს.

3. 2013 წლის 24 მაისს მიმწოდებელმა მიმართა შემსყიდველს და მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება იმ საფუძველით, რომ ქარხანამ, რომელსაც მან მატრასების დამზადება შეუკვეთა, დაუძლეველი ძალის გამო დაარღვია წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი.

4. 2013 წლის 29 მაისის წერილით შემსყიდველმა მიმწოდებელს უარი უთხრა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე და მიუთითა, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო საქონლის მიწოდება განეხორციელებინა შეთანხმებულ ვადაში.

5. 2013 წლის 11 ივნისს მიმწოდებელმა განმეორებით მიმართა შემსყიდველს და მოითხოვა საქონლის მიწოდების ვადის 30 დღით

გაგრძელება. სადავო არ არის, რომ აღნიშნულ წერილზე შემსყიდველს წერილობითი პასუხი არ გაუცია.

6. 2013 წლის 14 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი №22, რომლითაც შემსყიდველმა ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო 855 ერთეული მატრასი, ღირებულებით 59548,235274 ლარი. მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ აღნიშნული მატრასები ბაზაზე შეტანილი და განთავსებული იყო 2013 წლის 11 ივნისის დროებითი შენახვის აქტების საფუძველზე. აღნიშნული 855 ერთეული მატრასის მიღება მხარეთა შორის სადავო არ არის.

7. 2013 წლის 17 ივნისს გაფორმდა №41 დროებითი შენახვის აქტი, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს დროებით შესანახად გადასცა 160 ერთეული მატრასი.

8. 2013 წლის 28 ივნისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, მიმწოდებლის წარმომადგენელმა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების სურსათ-სანოვაგისა და სანივთე დაგეგმვის ოფიცერს ჩააბარა 404 ერთეული მატრასი. აქტი არ შეიცავს მითითებას მიღებული მატრასების ერთეულის ან/და მათი ჯამური ღირებულების, საქონლის ბაზაზე განთავსების და დროებითი შენახვის აქტის გაფორმების თაობაზე.

9. საქმეში წარმოდგენილია მიმწოდებლისა და შემსყიდველის საამისოდ უფლებამოსილ პირებს შორის 2014 წლის 20 იანვარს, 1 თებერვალს და 22 თებერვალს შედგენილი აქტები მასზედ, რომ სანივთე ბაზის საცავებიდან მიმწოდებელმა გაიტანა დროებით შესანახად განთავსებული მატრასები, ჯამში 904 ცალი (2014 წლის 20 იანვარს – 250 ცალი, 2014 წლის 1 თებერვალს – 260 ცალი, ხოლო 2014 წლის 22 თებერვალს – 394 ცალი).

10. მიმწოდებელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შემსყიდველის მიმართ და მოითხოვა:

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტის აღიარება 904 ერთეული მატრასის ოდენობით – ღირებულებით 62 960,89 ლარი;

10.2. სამინისტროსთვის ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მატრასების 7 596 ერთეულის მიღების დავალდებულება.

11. მოსარჩელის განმარტებით:

11.1. მოსარჩელე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ასრულებდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, თუმცა მოპასუხის მიერ უკანონოდ იქნა შეწყვეტილი აღნიშნული ხელშეკრულება. შედეგად, მიმწოდებელს მიადგა მატერიალური ზიანი, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტ-

ციის მიუღებლობის გამო დამზადებული საქონლის რეალიზების შეუძლებლობითა და სამინისტროს მიერ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის ამოქმედებით;

11.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო შემსყიდველისათვის არასტანდარტული, მაღალხარისხიანი მატრასების დამზადება, რის გამოც მიმწოდებლის მიერ დამზადებული მატრასები სხვა ორგანიზაციებს არ გამოადგებოდათ;

11.3. მოსარჩელემ ეტაპობრივად მიაწოდა საქონელი სამინისტროს, რის შესახებ ფორმდებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. სულ მიწოდებული პროდუქციის რაოდენობამ შეადგინა 1759 ცალი. მოპასუხემ კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ნაწილობრივ შესრულებულად ჩათვალა, მიმართა სადაზღვევო კომპანიას და მოითხოვა საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა, რომლის ანაზღაურების ვალდებულება რეგრესის წესით დაეკისრება მიმწოდებელს;

11.4. სამინისტრომ მიმწოდებელს ფაქტობრივად მიღებული მატრასები დაუბრუნა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. აღნიშნულ ფაქტზე აქტები შედგენილია ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან 6 თვის შემდეგ, რაც ადასტურებს შემსყიდველის გულგრილ დამოკიდებულებას;

11.5. სამინისტროს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა არ მომხდარა კანონით დადგენილი წესით. მოსარჩელემ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეიტყო შემსყიდველის მიერ სადაზღვევო კომპანიისათვის გაგზავნილი მოთხოვნის შედეგად. მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების შეწყვეტა ვერ იქნებოდა სავარაუდო, ვინაიდან სამინისტრო, მიუხედავად მიწოდების ვადის დარღვევისა, განაგრძობდა მიმწოდებლის მიერ დამზადებული მატრასების მიღებას, რაზედაც დგებოდა მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ახორციელებდა ავანსად გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის სრულად მიწოდების უზრუნველსაყოფად;

11.6. სასამართლოს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულებულად აღიარების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიისადმი სამინისტროს მოთხოვნის ოდენობა შემცირდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ფარგლებში, რის შედეგადაც, შემცირდება სადაზღვევო კომპანიის რეგრესული მოთხოვნის ოდენობაც.

12. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

12.1. სამინისტრომ არ მიიღო 904 ცალი მატრასი და უკან დაუბრუნა მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფინანსო დოკუმენტაციის წარუდგენლობის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევისა და თვით ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

12.2. მიმწოდებლის მიერ, 855 ცალი მატრასის მიწოდების გარდა, არაჯეროვნად და, უფრო მეტიც, საერთოდ არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; აღიარებულ იქნა მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №155 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფაქტი 564 ერთეული მატრასის ოდენობით – ღირებულებით 39 280.90 ლარი; მოსარჩელის მოთხოვნა იმავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე 7 596 ერთეული მატრასის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მიღების დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

14. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემისა და შემსყიდველის მიერ მისი მიღების დადასტურების წესი, რომლის თანახმად, მიწოდებული საქონლის გადაცემის და მიღების ფაქტის დადასტურება უფლებამოსილი პირების ხელმოწერით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, ხოლო ხელშეკრულების 11.3 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი საქონლის საბოლოო მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარმოადგენდა და ანგარიშსწორების ვალდებულებას არ წარმოშობდა.

15. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამინისტრომ მხარეთა შორის შეთანხმებული წესით, გარდა 2013 წლის 14 ივნისს მიწოდებული 855 ცალი მატრასისა, 564 ცალი მატრასიც მიიღო, რაც დადასტურებული იყო 2013 წლის 17 ივნისისა და ამავე წლის 26 ივნისის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებით. რაც შეეხება დარჩენილი 340 ცალი მატრასის მიღების საკითხს, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ 2013 წლის 24 ივლისის №65 დროებითი შენახვის აქტის თანახმად, მიმწოდებელმა სამინისტროს სანივთე ბაზის ...-ის საცავში დროებით შესანახად შეიტანა 340 ცალი მატრასი, რაც ვერ ჩაითვლებოდა სამინისტროს მიერ 340 ცალი მატრასის მიღების დადასტურებად, ვინაიდან ხელშეკრულების 11.3 პუნქტით საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი საქონლის

საბოლოო მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარმოადგენდა და ანგარიშსწორების ვალდებულებას არ წარმოშობდა.

16. საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ გაგრძელებულა. მან არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებებით იყო გამოწვეული.

17. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის მოთხოვნა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ფაქტის აღიარების შესახებ 564 ერთეულ მატრასთან დაკავშირებით (ღირებულებით 39 280,90 ლარი) არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

19. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მე-11 მუხლი ადგენდა შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების სპეციალურ წესს. პირველ ეტაპზე საქონლის მიღება ხდებოდა დროებითი შენახვის აქტის საფუძველზე, რომელიც საქონლის საბოლოო მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს არ წარმოადგენდა და ანგარიშსწორების ვალდებულებას არ წარმოშობდა (11.3. პუნქტი), ხოლო შემდეგ ხდებოდა მიწოდებული საქონლის გადაცემისა და მიღების ფაქტის დადასტურება უფლებამოსილი პირების ხელმოწერით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, თუ შემსყიდველი ხელშეკრულების 11.4. პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლით შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ: იგი უხარისხოა, მიწოდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები, სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უარს არ განაცხადებდა საქონლის მიღებაზე.

20. სააპელაციო პალატის განმარტებით, მართალია, 855 ცალი მატრასის საბოლოოდ მიღება განხორციელდა 2013 წლის 14 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტით, თუმცა საქმის მასალებით დგინდე-

ბოდა, რომ აღნიშნული საქონელი დროებით შენახვისათვის სამინისტროს მიენოდა 2013 წლის 11 ივნისს ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადაში და, სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად ამ მატრასების საბოლოო მიღებას.

21. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 17 ივნისისა და ამავე წლის 24 ივლისის აქტები, რომლებიც შედგა 160 და 340 ერთეული მატრასის დროებით შენახვაზე, არ წარმოადგენდა საქონლის საბოლოო მიღების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ისევე როგორც 2013 წლის 28 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი, მიუხედავად სახელწოდებისა. ისინი წარმოადგენდა საქონლის დროებითი შესანახად მიწოდების აქტებს.

22. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ, როგორც საქმის მასალებით დგინდებოდა, კონტრაქტები იმთავითვე სადავოდ არ ხდიდნენ, 855 ცალი მატრასის გარდა, მიწოდებული 904 მატრასის შემსყიდველის მიერ დროებით შესანახად მიღების ფაქტს. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი იყო მიმწოდებლისა და შემსყიდველის საამისოდ უფლებამოსილ პირებს შორის 2014 წლის 20 იანვარს, ამავე წლის 1 თებერვალსა და 22 თებერვალს შედგენილი აქტები იმის თაობაზე, რომ სანივთე ბაზის საცავებიდან მიმწოდებელმა გაიტანა დროებით შესანახად განთავსებული მატრასები, რომელთა ოდენობაც ჯამში შეადგენდა 904 ცალს ანუ იმ რაოდენობას, რაც ჯამში მიწოდებული იქნა სამინისტროსათვის მიღებულად ჩათვლილი 855 ცალი მატრასის გარდა (20.01.2014წ. – 250 ცალი, 01.02.2014წ. – 260 ცალი, 22.02.2014წ. – 394 ცალი).

23. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე სადავოდ არ გამხდარა როგორც სამინისტროს, ისე მიმწოდებლის მხრიდან საქმეში წარმოდგენილ აქტებზე ხელმოწერი პირების უფლებამოსილება. ის ფაქტი, რომ ხელმოწერი პირები უფლებამოსილი სუბიექტები იყვნენ, მხარეებმა დადასტურეს სააპელაციო სასამართლოში გამართულ სხდომაზეც.

24. სააპელაციო პალატის მითითებით, დგინდებოდა, რომ სადავოდ გამხდარი 904 ერთეული მატრასი სამინისტრომ ხელშეკრულების 11.3 პუნქტის შესაბამისად მიიღო დროებით შესანახად, თუმცა არ განხორციელდა მათი საბოლოოდ მიღება. როგორც სამინისტრო განმარტავდა, მიწოდებული საქონლის მიღებაზე უარი დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ ისინი მიწოდებულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ და, ამასთან, ნაკლები იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ

რაოდენობაზე, რაც ხელშეკრულების 11.4. პუნქტის საფუძველზე, შემსყიდველს საქონლის მიღებაზე უარის თქმის უფლებას აძლევდა.

25. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ: ა) ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების კონკრეტული ვადა დადგენილი ფორმით მხარეთა შორის გაგრძელებული არ ყოფილა; ბ) დადგენილი იყო 2013 წლის 17 ივნისს, ამავე წლის 28 ივნისსა და 24 ივლისს მატრასების ვადის დარღვევით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლები რაოდენობით მიწოდება; გ) დადგენილი იყო მიმწოდებლისათვის მატრასების უკან დაბრუნება და სამინისტროს საცავიდან მათი გატანა, არ არსებობდა 904 მატრასის მიწოდებაზე მოსარჩელის ვალდებულების შესრულებულად აღიარების საფუძველი.

26. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ უარი თქვა ვალდებულების შესრულებულად აღიარებაზე 564 ერთეული მატრასის (ღირებულებით 39 280,90 ლარი) მიწოდებასთან დაკავშირებით (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი).

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, ხოლო 2016 წლის 21 მარტის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

28. საკასაციო სასამართლოს მითითებით, დამატებით კვლევას და დასაბუთებას საჭიროებდა ხელშეკრულების მე-11, მე-14, მე-16, მე-17 და 21-ე პუნქტებიდან გამომდინარე, მხარეთა უფლება-მოვალეობები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სამინისტროს მიერ 39 280,90 ლარის ღირებულების საქონლის მიღებას. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება 2013 წლის 15 ივლისის ჩათვლით მოქმედებდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზუსტებული საკასაციო საჩივრის ფარგლებში, დამატებით კვლევასა და შეფასებას საჭიროებდა მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები – 2013 წლის 17 ივნისის 160 ერთეული მატრასისა და იმავე წლის 28 ივნისის – 404 ერთეული მატრასის მიწოდების თაობაზე.

29. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამატებით კვლევას საჭიროებდა ხელშეკრულების ვადის დარღვევით რა საფუძველით

მიიღო შემსყიდველმა საქონელი, ასევე რამ განაპირობა დანუზებუ-
ლი საქონლის დაბრუნება 6-7 თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნული
საკითხი მნიშვნელოვანი იყო სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილისა და
115-ე მუხლის გათვალისწინებით, სამოქალაქო ბრუნვაში მხარეთა
კეთილსინდისიერი მოქმედების, სამოქალაქო უფლებათა ბოროტად
გამოყენების არიდების თვალსაზრისით, ასევე, შესაფასებელი იყო,
საქონლის მიწოდების აქტებზე კონკრეტული რეკვიზიტების არარ-
სებობა თუ მონაცემების მიუთითებლობა, რამდენად შეიძლება და-
დებოდა საფუძვლად ვალდებულების შესრულებულად აღიარების
უარყოფას იმ პირობებში, როდესაც დადგენილი იყო, რომ მხარეთა
შორის საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე აქტებზე ხელმომწერ პირ-
თა უფლებამოსილება სადავო არ გამხდარა.

30. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით სამინისტროს სა-
აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014
წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება.

31. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდე-
ბარე განჩინების 1-9 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოე-
ბები.

32. სააპელაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოს დასკვნა, რომ მიმწოდებელს შემსყიდველის წინაშე შეს-
რულებული ჰქონდა 39 280,90 ლარის ღირებულების 564 ერთეული
მატრასის მიწოდების ვალდებულება, რაც აღიარებითი მოთხოვ-
ნის დაკმაყოფილების საფუძველი იყო. აღნიშნული დასკვნა დაე-
ფუძნა შემდეგ მსჯელობას:

32.1. 2013 წლის 17 ივნისისა და ამავე წლის 28 ივნისის აქტების
შესაბამისად, შემსყიდველს საქონელი მიეწოდა ხელშეკრულებით
გათვალისწინებული მიწოდების 60-დღიანი ვადის დარღვევით,
თუმცა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ხელშეკრულება მოქ-
მედებდა 2013 წლის 15 ივლისის ჩათვლით;

32.2. საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე სადავოდ არ გამხდარა
როგორც სამინისტროს, ისე მიმწოდებლის მხრიდან საქმეში წარ-
მოდგენილ აქტებზე ხელმომწერი პირების უფლებამოსილება. ის
ფაქტი, რომ ხელმომწერი პირები იყვნენ უფლებამოსილი სუბიექ-
ტები, მხარეთა (წარმომადგენელთა) მიერ დადასტურებულ იქნა
სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც. ამდენად,
იმ პირობებში, როდესაც აქტებზე ხელმომწერ პირთა უფლებამო-
სილება საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე სადავო არ გამხდარა,
2013 წლის 28 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტში კონკრეტული რეკ-

ვიზიტების არარსებობა თუ მონაცემების მიუთითებლობა, არ შეიძლება დადებოდა საფუძვლად ვალდებულების შესრულებულად აღიარების უარყოფას. შესაბამისად, დასტურდებოდა მიმნოდებლის მიერ 404 ერთეული მატრასის მიწოდების ვალდებულების შესრულება;

32.3. შემსყიდველის განმარტებით, მიწოდებული საქონლის მიღებაზე საბოლოოდ მისი უარი დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ ისინი მიწოდებული იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ და, ამასთან, ნაკლები იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობაზე, რაც ხელშეკრულების 11.4. პუნქტის საფუძველზე შემსყიდველს საქონლის მიღებაზე უარის თქმის უფლებას აძლევდა. სამინისტრო არ მიუთითებდა მიწოდებული საქონლის უზარისხობაზე ან/და უფლებრივ ნაკლებზე, რაც შემსყიდველს საქონლის მიღებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა. მართალია, სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილი ნივთობრივ ნაკლს უთანაბრებს მცირე რაოდენობით მიწოდებას, თუმცა იქვე ადგენს გამონაკლისს, როცა ეს წესი არ ვრცელდება – ეს არის შემთხვევები, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. ამ კუთხით გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ შემსყიდველს მიღებული ჰქონდა მიწოდებული პროდუქციის ნაწილი – 855 ერთეული მატრასი და უდავო იყო, რომ მიღებულ პროდუქციასა და მის ხარისხზე რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამ ნაწილში ვალდებულების შესრულება აღიარებულია. პრეტენზია არ ყოფილა გამოთქმული არც იმ კუთხით, რომ მიწოდებული პროდუქცია ნაკლები იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობაზე. მიწოდებული საქონელი (მატრასები) ისეთი სახის მოძრავი ნივთებია, რაც მცირე რაოდენობით მიწოდების შემთხვევაშიც შესაძლებელს ხდის მათ მიზნობრივ გამოყენებას. ისეთ პირობებში, როდესაც შემსყიდველს არ ჰქონდა პრეტენზია მიწოდებული საქონლის ხარისხზე, დაუსაბუთებელი იყო საქონლის მიწოდებიდან 6-7 თვის შემდეგ მისი უკან დაბრუნება და შესრულების მიღების უარყოფა. ის, რომ საქონელი მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, თუმცა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იყო მიწოდებული, შემსყიდველისათვის იმთავითვე ცნობილი იყო, თუმცა ამის გამო მას უარი არ უთქვამს საქონლის სანყობში მიღებაზე.

33. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 361.2 და 427-ე მუხლებით, ხელშეკრულების მე-11 მუხლით, სსკ-ის მე-8 მუხლით დადგენილი კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 განჩინების შე-

საბამისად და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების გაფორმების მიმართ შემსყიდველის ინტერესი მის ჯეროვან შესრულებასა და საქონლის მიღებაში მდგომარეობდა, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის ამონურვიდან რამდენიმე დღეში, თუმცა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, საქონლის მიღება, დასაწყობება, მის ხარისხზე პრეტენზიის არქონა და 6-7 თვის გასვლის შემდეგ მისი უკან დაბრუნება ეწინააღმდეგებოდა კონტრაქტის კეთილსინდისიერად ქმედების პრინციპს, რაც აგრეთვე წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან (უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა).

34. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

35. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

35.1. სასამართლო სამინისტროს იმ საქონლის ღირებულების ანაზღაურებას ავალდებულებს, რომელიც მიმწოდებლის მიერ სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გატანილია უკან სასამართლო დავის დაწყებამდე. სასამართლოს არც კი უმსჯელია, რამდენად იქნება გადაწყვეტილება აღსრულებადი, რადგან, გარდა იმისა, რომ მატრასები ფიზიკურად სამინისტროში აღარ არის, უცნობია, მიმწოდებელ მხარეს ფიზიკურად აქვს თუ არა ეს მატრასები (ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ დევს);

35.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტის საფუძველზე, მიმწოდებელს ერთ ეტაპად, ხელშეკრულების დადებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში, 2013 წლის 11 ივნისამდე, უნდა უზრუნველყო 8500 ერთეული მატრასის მიწოდება, თუმცა, მოსარჩელემ შემსყიდველს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხოლოდ 855 ერთეული მატრასი მიანოდა, ხოლო 904 ერთეულის მიწოდება უზრუნველყო სამ ეტაპად ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ, რაზეც გაფორმდა დროებითი შენახვის მიღება-ჩაბარების აქტები. 6741 ერთეული მატრასი კი საერთოდ არ მიწოდებია;

35.3. ხელშეკრულების 11.3 პუნქტის თანახმად, საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

ხელშეკრულების 11.4 პუნქტით, შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე, თუ ხელშეკრულების 11.4.3. და 11.4.4 პუნქტების შესაბამისად, მიწოდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები საქონელი ან/და სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა, როგორც საქონლის არასრული მოცულობით, ისე დოკუმენტაციის გარეშე მიწოდების ფაქტი, ასევე გასათვალისწინებელია, რომ მათი შეტანა განხორციელდა ხელშეკრულების ვადების დარღვევით. შესაბამისად, შემსყიდველს სრული უფლება ჰქონდა არ მიეღო წარმოდგენილი საქონელი და დაებრუნებინა მიწოდებლისთვის, რაც განხორციელდა კიდევ;

35.4. არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ 2013 წლის 17 ივნისს მიწოდებულ 160 ერთეულ მატრასსა და 28 ივნისს მიწოდებულ 404 ერთეულ მატრასზე მხარეებს შორის გაფორმდა საქონლის საბოლოოდ მიღების შესახებ აქტები, სულ 564 ერთეულზე. სამინისტროს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიწოდებული 904 ერთეული მატრასი დროებით შესანახად ჰქონდა და აქედან არცერთ ერთეულზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა. ამას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 17 ივნისის №41, ამავე წლის 28 ივნისისა და 24 ივლისის დროებით შესანახად მიღების აქტები, ასევე მითითებული საქონლის უკან გატანის აქტები – 2014 წლის 20 იანვრის №09 აქტი (250 ერთეულზე), 1 თებერვლის აქტი (260 ერთეულზე) და 22 თებერვლის №40 აქტი (394 ერთეულზე). საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიწოდებული 904 ერთეული საქონლის უკან გატანის სამივე აქტში მითითებულია სიტყვები: „საცავიდან გატანილ იქნა დროებით შენახვაზე დადებული ქვემოთ ჩამოთვლილი მატერიალური ქონება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო“.

36. საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 თებერვლის განჩინებით სამინისტროს საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 8 იანვრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

37. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის

საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამონმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

38. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას [სსსკ-ის 410-ე მუხლი].

39. საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონშებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები [სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილი]. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილი].

40. კასატორი სადავოდ ხდის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას 564 ერთეული მატრასის მიწოდებასთან დაკავშირებით და ხელშეკრულების 11.3 [საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას] პუნქტზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მას ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიწოდებული 904 ერთეული მატრასი დროებით შესანახად ჰქონდა და აქედან არცერთ ერთეულზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი არ გაუფორმებია.

41. დადგენილია, რომ 2013 წლის 17 ივნისს გაფორმდა №41 დროებითი შენახვის აქტი მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს დროებით შესანახად მიანოდა 160 ერთეული მატრასი, ხოლო 2013 წლის 28 ივნისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, მიმწოდებლის წარმომადგენელმა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების სურსათ-სანოვაგისა და სანივთე დაგეგმვის ოფიცერს ჩააბარა 404 ერთეული მატრასი.

42. დადგენილია ასევე, რომ სამინისტრომ მხარეთა შორის 2013

წლის 14 ივნისს გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიიღო 855 ერთეული მატრასი, ღირებულებით 59548,235274, ხოლო მატრასების დარჩენილი ნაწილი მიმწოდებელს უკან დაუბრუნა. კერძოდ, მიმწოდებლისა და შემსყიდველის საამისოდ უფლებამოსილ პირებს შორის 2014 წლის 20 იანვარს, 1 თებერვალს და 22 თებერვალს შედგენილი აქტების თანახმად, სანავთე ბაზის საცავებიდან მიმწოდებელმა გაიტანა დროებით შესანახად განთავსებული მატრასები, ჯამში 904 ცალი (2014 წლის 20 იანვარს – 250 ცალი, 2014 წლის 1 თებერვალს – 260 ცალი, ხოლო 2014 წლის 22 თებერვალს – 394 ცალი).

43. სამინისტრო საკასაციო საჩივარში საქონლის დაბრუნების რამდენიმე მიზეზს ასახელებს: საქონლის მიწოდება არასრული მოცულობით, დოკუმენტაციის გარეშე და ხელშეკრულების ვადების დარღვევით, რაც ხელშეკრულების 11.4 პუნქტის თანახმად [შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ ხელშეკრულების 11.4.3. და 11.4.4 პუნქტების შესაბამისად, მიწოდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები საქონელი ან/და სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია], შემსყიდველს საქონლის მიღებაზე უარის თქმის უფლებას აძლევდა.

44. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ მიმწოდებლისთვის სადავო მატრასების უკან დაბრუნება უნდა შეფასდეს, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლა [სსკ-ის 355-ე მუხლი: ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით]. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გასვლის გაცხადება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოხატვაა [სსკ-ის 51.1 მუხლი: ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩათვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა] და ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. გასვლის გაცხადება არ საჭიროებს რაიმე სპეციალურ ფორმას და შესაძლებელია ასევე კონკლუდენტური მოქმედებებითაც, მათ შორის, მიღებული საგნის დაბრუნებით (იხ. გცც.გე – სსკ-ის 355-ე მუხლის კომენტარი).

45. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მოსარჩელე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მის მიერ ნაწილობრივ შესრულებულად აღიარების საფუძველად მიუთითებს სწორედ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტაზე. შესაბამისად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შემოწმდეს, რამდენად კანონიერად გავიდა ხელშეკრულებიდან სამინისტროს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მის მიერ ნაწილობრივ შესრულებულად აღიარების საფუძველად მიუთითებს სწორედ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტაზე.

ტრო.

46. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხარეების მხრიდან პირველადი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, რომლის შეუსრულებლობაც იწვევს მეორადი მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებითი პირობებზე. თუ მხარეები ამ უფლებით არ ისარგებლებენ, გამოიყენება კანონის დისპოზიციური ნორმები. ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დანესება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინება.

47. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით განსაზღვრულ 60-დღიან ვადაში მოპასუხეს 8500 ცალი მატრასიდან მიაწოდა 855 ცალი, ხოლო მიწოდების ვადის დარღვევით – დამატებით 904 ცალი ანუ ჯამში შეასრულა ნაკისრი ვალდებულების დაახლოებით 1/5 ნაწილი (8500 ცალი მატრასიდან მოსარჩელეს შესასრულებელი დარჩა 6741 ცალი მატრასის მიწოდების ვალდებულება (8500-855-904)). ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას [სსკ-ის 361-ე მუხლი]. მხოლოდ ასეთი შესრულებით წყდება ვალდებულებითი ურთიერთობა. საქონლის არასრული მოცულობით მიწოდება უთანაბრდება ნივთობრივ ნაკლს [სსკ-ის 488.2 მუხლი: ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე]. გამომდინარე აქედან, სახეზეა მიწოდების მი-

ერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევა [სსკ-ის 405.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა] და სადავო არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის მატერიალური საფუძვლის არსებობის ფაქტი.

48. რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმალურ საფუძვლებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ხელშეკრულებიდან გასვლის წესი.

49. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად [თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ], მხარეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება (ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება) წარმოეშობა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ვინაიდან „მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის. სადაც კი ურთიერთობის ბუნება იძლევა დამატებითი ვადის დანიშვნის შესაძლებლობას, ყველგან შეიძლება მისი გამოყენება“ (იხ. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 434). ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ანულირებას, არ შეიძლება განხორციელდეს მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელმეორე შესაძლებლობის მიცემის გარეშე. ამასთან, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება [სსკ-ის 405.1. მუხლის მე-2 წინადადება]. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს.

50. სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი დამატებითი ვადა ნასყიდობის ხელშეკრულების ნაკლიანი შესრულებისას ნაკლის გამოსწორებას ან მისი უნაკლოთი შეცვლას ემსახურება [სსკ-ის 490.1 მუხლი: თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში]. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ ჩაივლის, მყიდველს ეძლევა შესაძლებლობა, განახორ-

ციელოს სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორცაა ხელშეკრულებიდან გასვლა, ფასის შემცირება თუ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება. ამდენად, დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამომრიცხავ კონკურენციას წარმოშობს სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებით. კერძოდ, თუ დამატებითი შესრულების მოთხოვნა არ მომხდარა, სხვა მეორადი მოთხოვნები, როგორც წესი, არ წარმოიშობა. ხოლო, თუ დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა, ასეთ შემთხვევაში მყიდველს დამატებითი წინაპირობების გათვალისწინებით შესაძლოა ჰქონდეს ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირების ან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლებიც, თავის მხრივ, ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფებიან ერთმანეთთან (იხ. www.gccc.ge – სსკ-ის 490-ე მუხლის კომენტარი).

51. თუმცა, 490-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, როგორც სხვა მეორადი მოთხოვნების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა, შეიძლება გამოირიცხოს, თუ სახეზეა 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები (ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება; ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა, რომელიც ვადის განსაზღვრის ვალდებულებას გამოირიცხავს (იხ. www.gccc.ge – სსკ-ის 490-ე მუხლის კომენტარი).

52. ამასთან, ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევის შემთხვევა, რაც განსახილველი დავის სპეციფიკურ გარემოებას წარმოადგენს, როგორც წესი, არ იძლევა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს. სსკ-ის 405.1 მუხლის მესამე წინადადების თანახმად, თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ შემსყიდველმა ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებისას დაკარგა ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების ინტერესი, ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეზეა. განსახილველ შემთხვევაში, შემსყიდველს აღნიშნული გარემოება არ დაუსაბუთებია. შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება გასულიყო ხელშეკრულებიდან.

53. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ კრედიტორისთვის დაკარგა ინტერესი [სსკ-ის 405.1], მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულებიდან გასვლა მართლზომიერად.

54. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 491-ე მუხლში [მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით] ნახსენები „ხელშეკრულების მოშლა“ თავისი შინაარსით წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ვინაიდან მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლზე, რომელიც ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს [თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იცყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება)]. სსკ-ის 352-ე მუხლი არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 346-ე პარაგრაფის ანალოგი, რომელიც ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) წინაპირობებს, რაც მოიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის როგორც კანონისმიერ, ისე – სახელშეკრულებო დათქმის საფუძველს და განიმარტება, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევა (იხ. იან კროპჰოლერი, გსკ-ის კომენტარი, 2014 წ. გამოცემა). ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან და გარდაიქმნებიან რესტიტუციის კრედიტორად და რესტიტუციის მოვალედ (იხ. სუსგ №ას-1209-1169-2016, 12 ივლისი, 2017 წელი).

55. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). ამასთან, ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა სამართლებრივად შეუძლებელია (იხ. სუსგ №ას-793-742-2017, 2018 წლის 17 იანვარი). „სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის უფლებას. თუ ამას დავუშვებდით, ეს იქნებოდა არა ხელშეკრულებიდან გასვლა, არამედ ხელშეკრულების შეცვლა, რადგან მისი ნაწილი კვლავ ძალაში დარჩებოდა და მხარეები ვალდებული იქნებოდნენ შეესრულებინათ იგი. ამიტომ კანონი უშვებს ხელშეკრულებიდან მხოლოდ მთლიანად გასვლას“ [იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ნიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ.

232-233].

56. განსახილველ შემთხვევაში შემსყიდველმა შესრულება მიიღო ნაწილობრივ (855 ცალი მატრასის ნაწილში), ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილებით მიწოდებული საქონელი (564 მატრასი) უკან დააბრუნა. აღნიშნული მოქმედებით შემსყიდველი ფაქტობრივად ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გავიდა. როგორც ითქვა, ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის უფლება არ წარმოიშობა. სსკ-ის 352-ე მუხლით განსაზღვრული ორმხრივი რესტიტუციის შემთხვევაში, სამინისტროს სრულად უნდა დაებრუნებინა მიღებული მატრასები მიწოდებლისთვის.

57. ამასთან, შემსყიდველს შეეძლო კანონით გათვალისწინებული წინაპირობების დაცვით გამოეყენებინა ფასის შემცირების მეორადი უფლება, თუ დაინტერესებული იყო საგნით (ნაკლიანი ნივთით). „ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, ფასის შემცირება მიმართულია არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებაზე ფინანსური ადაპტაციის გზით“ [ვ. ბ-ი, დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008 წელი, გვ. 187]. თუმცა, სსკ-ის 492-ე [თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი] და 493.1 მუხლების [მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონლის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად] გამოყენების წინაპირობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას.

58. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შემსყიდველი ხელშეკრულებიდან გავიდა საქონლის მიწოდებიდან 6-7 თვის შემდეგ, რაც, სასამართლოს აზრით, არღვევს ქონების ვარგისიანობის შემონახვის გონივრულ და სამართლიან ფარგლებს და, ამასთან, ეწინააღმდეგება კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს – კეთილსინდისიერების პრინციპს.

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, განსახილ-

ველ შემთხვევაში, სამინისტრო არ წარმოადგენს სსკ-ის 495-ე მუხლით გათვალისწინებულ მენარმე სუბიექტს და მასზე ვერ გავრცელდება ნივთის დაუყოვნებლივ შემოწმების ვალდებულება [თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება], თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არამენარმე სუბიექტთან დაკავშირებით ნივთობრივი ნაკლის შემოწმების განუსაზღვრელი ვადა არსებობს. გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ შემთხვევაში ის ნაკლი (საქონლის მიწოდება არასრული მოცულობით, დოკუმენტაციის გარეშე და ხელშეკრულების ვადების დარღვევით), რაზეც მიუთითებს შემსყიდველი, თვალსაჩინოა და ამის შემოწმებისთვის სამინისტროს არ სჭირდებოდა ექვსთვიანი ვადა. ზოგადად, შემოწმების ვადა შეიძლება მერყეობდეს იმის მიხედვით, თუ ნივთის რა ნაკლია შესამოწმებელი (ფარული თუ თვალსაჩინო). იმისათვის, რომ შემსყიდველს შეეცყო მატრასების რაოდენობისა და დოკუმენტაციის გარეშე ან ვადის დარღვევით მათი მიწოდების შესახებ, ექვსთვიანი ვადის გასვლა არ იყო აუცილებელი. მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს, როგორც ხელშეკრულების კონტრაჰენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს და შესაძლოა შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად. მატრასების ექვსი თვის შემდეგ დაბრუნება იმ პირობებში, როდესაც თვალსაჩინო იყო მათი მიწოდება ხელშეკრულების ვადის დარღვევით და ასევე ნაკლები რაოდენობით, წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი გულისხმიერების პრინციპის დარღვევას.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს

გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას (იხ. სუსგ №ას-1338-1376-2014, 29 ივნისი, 2015 წელი).

61. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხონ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაქტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს (იხ. სუსგ №ას-1338-1376-2014, 29 ივნისი, 2015 წელი).

62. უდავოა, რომ მიმნოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სამინისტროს მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, ხელშეკრულების ვადის დარღვევით მიწოდებული საქონლის დაბრუნება მისი მიწოდებიდან 6-7 თვის შემდეგ, რომლის ხარისხის მიმართ პრეტენზია მას არ გამოუთქვამს, ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად. უფლების განხორციელებისას პირმა უნდა დაიცვას კეთილსინდისიერება და მართლზომიერება. სამინისტროს მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც კონტრაჰენტის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, უნდა შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან [სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას].

63. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამინისტროს მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა არის უკანონო და არამართლზომიერი. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ მიმნოდებელს შემსყიდველის წინაშე შესრულებული აქვს 39 280,90 ლარის ღირებულების 564 ერთეული მატრასის მიწოდების ვალდებულება. ამასთან, მართალია, აღნიშნული საქონელი ამჟამად არ არის სამინისტროს საკუთრებაში, რადგან მან არამართლზომიერად დაუბრუნა ისინი მიმნოდებელს, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად [ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მთანოდოს საქონელი], მას არ დაუკარგავს უფლება, გამყიდველს მოსთხოვოს ქონების გადაცემა.

64. საკასაციო პალატის ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

65. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგან სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო-

თა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება. სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2013 წლის 17 ივნისის დროებითი შენახვის აქტი №41; 2013 წლის 28 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი; 2013 წლის 24 ივლისის დროებითი შენახვის აქტი №65; აქტი №09; 2014 წლის 1 თებერვლის აქტი; 2014 წლის 22 თებერვლის აქტი №40), მთლიანობაში „06“ ფურცლად.

66. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და, ამასთან, კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, არ არსებობს სასამართლო ხარჯების განაწილებაზე მსჯელობის წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. კასატორს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (2013 წლის 17 ივნისის დროებითი შენახვის აქტი №41; 2013 წლის 28 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი; 2013 წლის 24 ივლისის დროებითი შენახვის აქტი №65; აქტი №09; 2014 წლის 1 თებერვლის აქტი; 2014 წლის 22 თებერვლის აქტი №40), მთლიანობაში „06“ ფურცლად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-689-2019

13 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბ. ბ-ი-ყ-სა (შემდეგში: მოსარჩელე, პირველი აპელანტი ან მეორე კასატორი) და ფ. გ-ს შორის, 2007 წლის 4 ივლისს, დაიდო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) „ლ. 20...-ის“ შესახებ (შემდეგში: ამხანაგობა), რომლის მიზანს წარმოადგენდა ამხანაგობის წევრთა მიერ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ამხანაგობის წევრებს შორის აშენებულ სახლში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების განაწილება მათი ნილებისა და აშენებული ფართების განაწილების განრიგის მიხედვით. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ამხანაგობას უნდა აეშენებინა ქ. თბილისში, ლ. და ვ. ქუჩების გადაკვეთაზე.

2. ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობაში შენატანი შეიძლება ბოდა ყოფილიყო უძრავი ქონება, ფულადი სახსრები, ასევე, სხვა ქონება, მათ შორის არამატერიალური ქონება, რაც აუცილებელი იქნებოდა ამხანაგობის მიზნების მისაღწევად. ამხანაგობის შენატანი წარმოადგენდა ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა აგრეთვე მის მიერ შეძენილი ქონება.

3. ხელშეკრულების მე-12 მუხლის მიხედვით, ამხანაგობაში მე-საკუთრის (მოსარჩელის) შესატანს წარმოადგენდა მის საკუთრებაში არსებული 578 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; საცხოვრებელი სახლის პროექტი, სამშენებლო პას-

პორტი, მშენებლობის ნებართვა, საექსპერტო დასკვნა, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, თბილწყალკანალის სამშენებლო პასპორტი და თელასის ტექნიკური პირობა. რაც შეეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო სხვა ღონისძიებებს („შესატანები“), ისინი, ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე, ფ. გ-ის („ინვესტორი“) მიერ უნდა განხორციელებულიყო.

4. ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობის თითოეული წევრის წილი შეესაბამებოდა მისაღები ფართის ოდენობას კვადრატულ მეტრებში და შეადგენდა შემდეგს: ა) მოსარჩელე – საცხოვრებელი ბინა 170 კვ.მ (აივნების გარეშე) და საოფისე ფართი 100 კვ.მ, 2 ავტოფარეხი (36 კვ.მ); ბ) ფ. გ-ი – ყველა დანარჩენი ფართი.

5. ფ. გ-სა და მ. გ-ს შორის, 2007 წლის 25 ოქტომბერს, გაფორმდა ამხანაგობის წევრის წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ფ. გ-მა ამხანაგობაში კუთვნილი წილი მ. გ-ს დაუთმო.

6. მ. გ-სა და ა. ზ-ს (შემდეგში: მოპასუხე, მეორე აპელანტი ან პირველი კასატორი) შორის, 2007 წლის 25 ოქტომბერს, დაიდო ხელშეკრულება ამხანაგობის წევრის წილის ნასყიდობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მ. გ-მა („გამყიდველმა“) მოპასუხეს („მყიდველს“) 320 000 აშშ დოლარად მიჰყიდა ამხანაგობაში კუთვნილი წილი.

7. ქ. თბილისში, ლ. და ვ. ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.18....) 1 კვ.მ-ის საბაზრო ღირებულება შესაფასებელი პერიოდისათვის (2016 წლის ნოემბერი) საორიენტაციოდ შეადგენდა 1 213 აშშ დოლარს, ჯამში 578 კვ.მ ფართის გათვალისწინებით შეადგენდა 701 114 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდეგში: ექსპერტიზის ბიურო) 03.11.2016 წლის ექსპერტიზის დასკვნა).

8. მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დანესებულებებში 2013-2016 წლის პერიოდში აშშ დოლარში გახსნილ ანაბარზე დარიცხული სარგებლის წლიური 4,5%-ის ციფრობრივი მაჩვენებელი.

9. ექსპერტიზის ბიუროს 22/11/2016 წლის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ლ. და ვ. ქუჩების კვეთაზე, ახალ აშენებულ კორპუსში, პირველ სართულზე მდებარე კომერციული ფართის მთლიანი 100 კვ.მ-ის ყოველთვიური საბაზრო საიჯარო ქირის ღირებულება 2016 წლის 22 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენდა 4 230 ლარს; საცხოვრებელი ბინის მთლიანი 170 კვ.მ-ის ყოველთვიური საბაზრო საიჯარო ქირის ღირებულება – 2 240 ლარს;

კორპუსის ქვეშ არსებული ერთადგილიანი პარკინგის 18 კვ.მ მთლიანი ყოველთვიური საბაზრო საიჯარო ქირის ღირებულება – 150 ლარს.

10. სარჩელის საფუძვლები

10.1. მოსარჩელემ 2016 წლის 29 ნოემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მისთვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის, მიუღებელი შემოსავლის (2013 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ნოემბრამდე) 97 956 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა, მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა მიწის ნაკვეთის დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის (2013 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ნოემბრამდე) 94 650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

10.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა და განმარტა, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება, რამაც მოსარჩელეს მატერიალური ზიანი მიაყენა, რაც გადასაცემი ფართების გაქირავებით მიღებული შემოსავლების მიუღებლობაში გამოიხატება.

11. მოპასუხის შესაგებელი

11.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო.

12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

12.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 94 956 აშშ დოლარის გადახდა; მეორე სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

12.2. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317-ე, 394-ე, 411-ე, 412-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

13. მოსარჩელისა და მოპასუხის სააპელაციო საჩივრები

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

13.2. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემაც და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

14.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის განჩინებით მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილება.

14.2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმავე მხარეებს შორის წარმოებულ დავებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ამ ხელშეკრულებიდან მოსარჩელე მართლზომიერად გავიდა 2011 წლის 17 ივნისს. დადგენილია, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე ნება გამოავლინა, ხოლო მოპასუხემ ამის თაობაზე შეტყობინება მიიღო 2011 წლის ივნისის თვეში. დადგენილია ისიც, რომ პირველი აპელანტის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა გამონევეულია მეორე აპელანტის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით (ამხანაგობაში ფულადი შენატანის განუხორციელებლობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება) – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

14.3. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მეორე მონაწილეს, მოპასუხეს 2011 წლის 17 ივნისიდან წარმოეშვა ხელშეკრულებიდან გასული კონტრაქტისთვის ამავე ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობაში შეტანილი მინის ნაკვეთის უკან დაბრუნების თაობაზე ნების გამოვლენა, მას ასეთი ნება, საპატიო მიზეზის გარეშე, არ გამოუვლენია, რის გამოც მოსარჩელემ ამ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღდგენა მოახერხა მხოლოდ სასამართლოში მიმართვის გზით, რასაც დასჭირდა არაერთი სარჩელი და რამდენიმეწლიანი დავა. საბოლოოდ, როგორც აღინიშნა, მოსარჩელემ სადავო მინის ნაკვეთი, უფლებრივად თავისუფალ მდგომარეობაში, საკუთრების უფლებით დაიბრუნა 2016 წლის ნოემბერში (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილის განჩინება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის განჩინება).

14.4. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-7 პუნქტში მითითებულ გარემოებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დანესებულებებში 2013-2016 წლის პერიოდში აშშ დოლარში გახსნილ ანაბარზე დარიცხული სარგებლის წლიური 4,5%-ის ციფრობრივი მაჩვენებელი.

14.5. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მეორე მოთხოვნა (ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ უძრავი ნივთის დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება) სსკ-ის 352.1 მუხლით განსაზღვრული რესტიტუციის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობს და ამავე მუხლის მეხუთე ნაწილითაა გათვალისწინებული. კერძოდ, სსკ-ის 352.5 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის 394-ე მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სსკ-ის 394.1 მუხლის მიხედვით კი, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

14.6. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, არსებობს სსკ-ის 352.5 და 394.1 მუხლებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, კერძოდ, სახეზეა მხარეთა მიერ დადებული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან მოსარჩელის მართლზომიერად გასვლის ფაქტი და მოპასუხის („ინვესტორის“) მხრიდან მოსარჩელის გასვლის შედეგად წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების დარღვევის ფაქტი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოპასუხემ ბრალეულად შეუშალა ხელი მოსარჩელეს სადავო ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობაში შეტანილი, საკმაოდ ძვირადღირებული და კომერციულად მიმზიდველი უძრავი ნივთის დაბრუნებაში. კერძოდ, დადგენილია, რომ სწორედ მოპასუხის ბრალეული ქმედებების გამო, იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელე სადავო ხელშეკრულებიდან მართლზომიერად გავიდა 2011 წლის 17 ივნისს, ამ უკანასკნელმა ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მხოლოდ 2016 წლის ნოემბერში დაიბრუნა. მოპასუხის ამ მოქმედებით მოსარჩელეს მოესპო ხსენებული უძრავი ნივთის გაყიდვისა და ნასყიდობის საფასურის 701 114 აშშ დოლარის, როგორც მინიმუმ, რომელიმე ლიცენზირებულ ბანკში ანაბარზე განთავსების საშუალება (წლიური 4.5%-იანი სარგებლით), რითაც მოსარჩელე სამი წლის განმავლობაში მიიღებდა 94 650 აშშ დოლარის შემოსავალს (სსკ-ის 411-ე მუხლი).

14.7. მოსარჩელე სარჩელის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ საფუძველად მიუთითებდა იმ გარემოებებზე, რომ ხელშეკრულებიდან მართლზომიერად გასვლის მიუხედავად, მოპასუხემ არ დაუბრუნა კუთვნილი მიწის ნაკვეთი. ის გარემოება, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი, მოსარჩელეს უნდა გამოეყენებინა კომერციული მიზნებისათვის და არ აპირებდა ამ უძრავი ქონების

უსარგებლოდ მიტოვებას, დასტურდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, მოსარჩელის მიზანი იყო ამ ქონების კომერციული დანიშნულებით გამოყენება, კერძოდ, მისი გასხვისებით ფართების მიღება. სწორედ აღნიშნულით დასტურდება, რომ მოსარჩელე მიწის ნაკვეთს დაბრუნებისთანავე გაასხვისებდა, რაც ვერ შეძლო მოპასუხის მიერ ნაკვეთის ბრალეულად დაუბრუნებლობის გამო, რითაც მოსარჩელეს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მიწის ნაკვეთის ღირებულება 1 კვ.მ-სთვის შეადგენდა 1 213 აშშ დოლარს, რაც საერთო ჯამში 701 114 აშშ დოლარი არის. მოპასუხემ გაააჩივრა ყველა გადანყვებილება, ყველა განჩინება, რათა როგორმე შეეფერხებინა მოსარჩელისათვის უძრავი ქონების დაბრუნება. მოსარჩელის მითითებით, 701 114 აშშ დოლარის ანაბარზე განთავსებით იგი მიიღებდა შემოსავალს წლიური 4.5%-ის ოდენობით, რაც წელიწადში 31 550 აშშ დოლარს, ხოლო სამ წელზე გაანგარიშებით – 94 650 აშშ დოლარს შეადგენს.

14.8. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ მის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) განკარგვა – ამხანაგობისათვის გადაცემა, მიმართული იყო კონკრეტული სარგებლის მიღებისათვის და მისი სამომავლო გათვლები ემყარებოდა სწორედ კონკრეტული მიზნის შესრულების შემდეგ დამატებითი შემოსავლების მიღებას. ამ მოსაზრებას ასევე ამყარებს ის გარემოება, რომ მოსარჩელისა და მისი შვილის სახელზე ირიცხება არაერთი უძრავი ნივთი, შესაბამისად, კონკრეტული (სადავო) მიწის ნაკვეთის ამხანაგობისათვის გადაცემა განპირობებული იყო მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით, მოგების მიღების მიზნით. ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული სავარაუდო უნდა ყოფილიყო მოპასუხისათვის.

14.9. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, თუმცა, ეს შესაგებელი, განსაკუთრებით მეორე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, საერთოდ არ არის დასაბუთებული და ამ ნაწილში შეიძლება ითქვას, რომ მოპასუხეს შესაგებელი არ წარუდგენია (სსსკ-ის 201.7 მუხლი). სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით;

წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. ამდენად, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება. მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება. ამ საპროცესო წესის დარღვევით, ბუნებრივია, ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, რამდენადაც ამავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

14.10. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, სსკ-ის 352.5, 394.1, 411-ე, 412-ე მუხლების მიხედვით, სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს ქმნის. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში არ არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა.

14.11. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სარჩელზე მოსამზადებელი სხდომა დანიშნული იყო ერთხელ, 2017 წლის 19 დეკემბერს. ამ სხდომაზე სასამართლომ მიიღო განჩინება საქმეზე მოსამზადებელი ეტაპის დასრულებისა და 27.02.2018 წელს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ. დადგენილია, რომ მოპასუხე მხარეს სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ არც მოსამზადებელ სხდომაზე მიუთითებია.

15. საკასაციო საჩივრების საფუძვლები

15.1. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

15.2. პირველი კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან მხარე ხელშეკრულებიდან გავიდა მას წაერთვა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის უფლება.

15.3. პირველი კასატორის განმარტებით, შესაფასებელია ის გარემოება, რომ მიუღებელი შემოსავალი სწორედ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო დაკარგულ შემოსავალს გულისხმობს და ის ფაქტი, რომ მეორე კასატორის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობამ მოსარჩელე მიიყვანა ხელშეკრულებიდან გასვლამდე, არ უნდა გახდეს დამაბრკოლებელი გარემოება, რომ მან მოითხოვოს სწორედ იმ შემოსავლის მიღება, რასაც ის მიიღებდა ხელშეკრულება, რომ ჯეროვნად შესრულებულიყო.

15.4. სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 15 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემაც, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

15.5. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმულია და მან ამის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამზადებელ სხდომაზე განაცხადა. ამასთან, ხანდაზმულობაზე მითითება არ გულისხმობს მითითებას ახალ ფაქტობრივ გარემოებაზე.

15.6. მეორე კასატორის განმარტებით, მხარეთა შორის არსებობდა ერთობლივი (ამხანაგობის) საქმიანობა და მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ სახლი ვერ აშენდა.

15.7. მეორე კასატორი მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, ამასთან იგი დაუსაბუთებელია.

15.8. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე სადავო მიწის ნაკვეთის გაყიდვას არ აპირებდა და არც გაუყიდა.

16. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

16.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 10 ივლისის განჩინებით მხარეთა საკასაციო საჩივრები წარმოებაში იქნა მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

16.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა

განალიზებისა და საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევა, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მოპასუხის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი არგუმენტაციით:

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი, ხოლო მოპასუხის პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულია.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავაზე სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა და გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადანყვეტილების თანახმად მოსარჩელის სარჩელი ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით თანხის დაკისრების მოთხოვნით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და უძრავი ქონება აღირიცხა მოსარჩელის სახელზე. ამ გადანყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ხელშეკრულებიდან გავიდა, რაც ორმხრივი რესტიტუციის საფუძველი გახდა, თუმცა, ვინაიდან მოპასუხეს შესრულება განხორციელებული არ ჰქონდა, მხოლოდ ის იყო ვალდებული, მიღებული შესრულება მოსარჩელისათვის დაებრუნებინა. სსკ-ის 352.1 მუხლი (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ შედეგს. იგი გამოიხატება მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებაში. ამავე კოდექსის 405-ე მუხლი კი, ადგენს ხელ-

შეკრულებიდან გასვლის წესსა და სავალდებულო წინაპირობებს, შესაბამისად, სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები მხოლოდ ერთობლივად გამოიყენება (იხ. სუსგ №ას-667-634-2014, 16.10.2015 წ.).

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების თაობაზე, ნაწარმოებია რესტიტუციის მოვალის მიერ ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლის გამო უძრავი ქონების, რესტიტუციის კრედიტორისათვის, დაგვიანებით დაბრუნების საფუძველზე.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს ორი მოთხოვნა აქვს: პირველი – უძრავი ქონების გაქირავების შემთხვევაში მისაღები შემოსავალი – 97 956 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი და მეორე – უძრავი ქონების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანი – 94 650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. პირველი სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსარჩელე მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარემონტებულ უძრავ ქონებას – ბინას, კომერციულ ფართსა და ავტოსადგომს. ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელის მიზანი კომერციული იყო, მას უძრავი ქონების გაქირავებით შემოსავალი უნდა მიეღო, ამას აცხადებენ მხარეები და ამასვე ადგენენ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობა არსებითად მართებულია, თუმცა არა იმ შედეგით, რაც დადგა (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სახით). პირველი კასატორის მიზანი იყო, საკუთრებად რიცხული ფართები გამოეყენებინა გასაქირავებლად – ამ ნაწილში მოპასუხეს სათანადო შეპასუხება არ განუხორციელებია, უფრო მეტიც, იგი მეორე სასარჩელო მოთხოვნის გასაბათილებლად პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელის მიზანი უძრავი ქონების გაყიდვა არ იყო.

21. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს, ამ გადაწყვეტილების 14.8 ქვეპუნქტში ასახულ მსჯელობას და აღნიშნავს, სწორედ იმის გამო, რომ მოპასუხისათვის ცნობილი და სავარაუდო იყო მოსარჩელის მოლოდინი, რომ იგი უძრავი ქონების გაქირავებით შემოსავალს მიიღებდა, დასაბუთებულია სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის, სამი წლის განმავლობაში, უძრავი ქონების გაქირავებით მისაღები შემოსავლის, მოსარჩელის სასარგებ-

ლოდ, მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე (სსკ-ის 407.1, 408.1, 411-ე მუხლები). ზიანის ოდენობა ეფუძნება ექსპერტიზის დასკვნას, რისი გამაბათილებელი მტკიცებულებაც მეორე კასატორს (მოპასუხეს) სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-9 პუნქტი).

22. მოსარჩელის მეორე სასარჩელო მოთხოვნა უძრავი ქონების დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაა, რომელიც სსკ-ის 352.1 მუხლით განსაზღვრული რესტიტუციის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობს და ამავე მუხლის მეხუთე ნაწილითაა გათვალისწინებული, კერძოდ, სსკ-ის 352.5 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებათა დარღვევისათვის, 394-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სსკ-ის 394.1 მუხლის მიხედვით კი, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სსკ-ის 352.5 მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გულისხმობს პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას. პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგი უკვე გამოვლენილია ამ ნორმის გამოყენებისას – მხარეები გავიდნენ ხელშეკრულებიდან და მათ წარმოეშვათ ნატურით დაბრუნების ვალდებულება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, 394-ე და 352.5 მუხლების საფუძველზე გამოყენების შემთხვევაში, ვრცელდება არა ხელშეკრულებიდან გასვლის (ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის) გამო წარმოშობილ ზიანზე, არამედ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად დადგენილ ნატურით დაბრუნების ვალდებულების დარღვევაზე, რის შედეგადაც კრედიტორს მიადგა ზიანი. შესაბამისად, 394-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას (მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მუხლი გამოიყენება 352.5 მუხლის საფუძველზე) წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტი და გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობა (იხ. სახელშეკრულებო სამართალი, ავტორები: ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, გვ. 513).

23. განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა არსებობდეს სსკ-ის 352.5 და 394.1 მუხლებით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინა-

პირობები, კერძოდ, ხელშეკრულებიდან მოსარჩელის გასვლისა და მოპასუხის მიერ გასვლის შედეგად წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულების დარღვევის ფაქტი. რესტიტუციის მოვალის მიერ რესტიტუციის ვალდებულების დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ მან რესტიტუციის კრედიტორს არ დაუბრუნა ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული უძრავი ქონება, რითაც მოსარჩელემ დაკარგა ამ თანხის გამოყენებისა (მაგალითად, ბანკში ანაბარზე განთავსებისა) და შემოსავლის მიღების შესაძლებლობა (სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო).

24. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში მისი გასხვისებით, საბაზრო ღირებულების ოდენობით, მიღებული თანხის საბანკო ანაბარზე განთავსებისა და სარგებლის მიღების თაობაზე დაუსაბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ქონების გაქირავებასა და გასხვისებას შორის მკაფიო განსხვავებაა. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მიუღებელი შემოსავალი, რომელიც მოვალისათვის არა მხოლოდ წინასწარ სავარაუდო უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი. განსახილველ შემთხვევაში ქონების გაქირავების შეუძლებლობით მიყენებული ზიანის სავარაუდოობა უფრო დამაჯერებელია და რეალური, ვიდრე ის გარემოება, რომ მოსარჩელე კუთვნილი უძრავი ქონების დროულად დაბრუნების შემთხვევაში აუცილებლად გაასხვისებდა ქონებას (ან მის ნაწილს), შესაბამისად, ამ ნაწილში მოსარჩელემ დამაჯერებლად და სარწმუნოდ ვერ დაამტკიცა საკუთარი მოთხოვნის საფუძველიანობა.

25. „... სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავში-

რი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ექვსის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (იხ. სუსგ, №ას-945-895-2015, 14 მარტი, 2016 წელი; აგრეთვე შდრ: სუსგ-ები №ას-307-291-2011, 24 ოქტომბერი, 2011 წელი; №ას-899-845-2012, 22 ნოემბერი, 2012 წელი).

26. მეორე სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 411-ე და 394.1 მუხლები. მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარმოედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სსკ-ის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 411-ე მუხლის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად, „მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. საგულისხმოა უშუალოდ ტერმინი „მიუღებელი შემოსავალი“, სახელდობრ შინაარსი, რომელიც მის მიღებას დასაბუთებს. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა (იხ. სუსგ. №ას-153-2019, 08.05.2019 წ.).

27. მეორე კასატორის (მოპასუხის) პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევაში ბრალი არ მიუძღვის, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მტკიცება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, არ ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს (სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები).

28. საკასაციო სასამართლო არ შეაფასებს მეორე კასატორის პრეტენზიას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რადგან მოპასუხეს აღნიშნულის თაობაზე არც წერილობით წარდგენილ შესაგებელში (იხ. შესაგებელი) და არც მოსამზადებელ სხდომაზე განუცხადებია (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19

დეკემბრის სხდომის ოქმი). საქალაქო სასამართლოში ერთხელ გაიმართა მოსამზადებელი სხდომა, 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე მოსამართლემ მხარეებს აცნობა, რომ მორიგი სხდომა მთავარი სხდომა იქნებოდა (იხ. სხდომის ოქმი – 15:26:28). მოპასუხემ სარჩელის ხანდაზმულობაზე მთავარ სხდომაზე მიუთითა, რაც მხარის მიერ მოთხოვნისაგან თავდასაცავად წარდგენილი შედავების დაგვიანებული ეტაპია, რადგან საქმის არსებითად განხილვამდე არის ვალდებული თითოეული მხარე განაცხადოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება და წარადგინოს მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც უკეთესად და სარწმუნოდ წარმოაჩენს თითოეულის პოზიციას. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა, რომ ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი შეფასება, რომელზედაც მოპასუხემ უნდა მიუთითოს შესაგებელში, რაც სასამართლოს შესაძლებლობას მისცემს იმსჯელოს მოთხოვნის განხორციელებადობაზე (იხ. სუსგ-ები: №ას-579-554-2016, 28.12.2016წ №ას-1063-1023-2016, 17.02.2017წ; №ას-1209-1169-2016, 12.07.2017წ.).

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარემ კუთვნილი მტკიცების ტვირთი არასწორად გასწია, კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობის არა იმ ეტაპზე, რომელიც სასამართლოს მისცემდა დამატებითი მსჯელობის შესაძლებლობას და ვალდებული იქნებოდა, გამოეკვლია კონკრეტული გარემოება, არამედ მაშინ, როდესაც მხარეები კარგავენ ასეთ უფლებას საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე (სსსკ-ის 219-ე მუხლი).

30. წინამდებარე გადაწყვეტილების 18-29 პუნქტებში ასახული სამართლებრივი შეფასებების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უძრავი ქონების გაქირავებით მისაღები შემოსავლის ნაწილში, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა მინის ნაკვეთის დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს. აქედან გამომდინარე, პირველი კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივარი სრულად დაკმაყოფილდება, რადგან ის ქირის ნაწილში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას ითხოვდა, ხოლო მეორე კასატორის (მოპასუხის) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება, რადგან ის სარჩელის სრულად უარყოფას ითხოვდა და სარჩელი ნაწილობრივ (94 650 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში) უარყოფილია.

31. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა

გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციული სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოპასუხეს დაეკისრება მოსარჩელის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ბ-ი-ყ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ა. ზ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 15 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
4. ნ. ბ-ი-ყ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. ნ. ბ-ი-ყ-ის სასარგებლოდ ა. ზ-ს დაეკისროს 97 956 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა გადახდის დღეს არსებული გაცვლითი სავალუტო კურსის შესაბამისად;
6. ნ. ბ-ი-ყ-ის სასარჩელო მოთხოვნა ა. ზ-ისათვის 94 650 (ოთხმოცდაათოთხმეტი ათას ექვსას ორმოცდაათი) აშშ დოლარის დაეკისრების ნაწილში, არ დაკმაყოფილდეს;
7. ა. ზ-ს ნ. ბ-ი-ყ-ის სასარგებლოდ დაეკისროს, სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 14 000 ლარის გადახდა;
8. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

პირგასამტახლოს შემცირება სასამართლოს მიერ

№ას-1395-2018

7 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან პირველი სამინისტრო), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მეორე სამინისტრო) და შპს „ა-ს“ (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც კომპანია) შორის 2007 წლის 22 მარტს გაფორმდა სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სესხის ხელშეკრულება, პირველი ხელშეკრულება ან ხელშეკრულება), რომლის მიხედვითაც, მეორე სამინისტროსათვის განსაზღვრული სამელიორაციო სისტემების ღონისძიებათა ასიგნებიდან კომპანიას სესხის სახით გამოეყო 500 000 ლარი, სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ხელშეკრულების ვადა ორი წლით განისაზღვრა.

2. ხელშეკრულების 2.9 პუნქტის მიხედვით, შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, აუნაზღაურებელ თანხას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტახლო 0.07% დაერიცხებოდა.

3. 2009 წლის 29 სექტემბერს მოსარჩელეს, მეორე სამინისტროსა და კომპანიას შორის კვლავ გაფორმდა სესხის ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე სესხის ხელშეკრულება ან მეორე ხელშეკრულება). ამჯერად, სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებათა ასიგნე-

ბიდან კომპანიას სესხად 65 000 ლარი გამოეყო. შესრულების ვადა ორი წლით განისაზღვრა. ხელშეკრულების 2.9 პუნქტის თანახმად კი, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აუნაზღაურებელ თანხას დაერიცხებოდა პირგასამტეხლო – 0.07%.

4. 2010 წლის 22 ივნისს მოსარჩელესა და კომპანიას შორის გაფორმდა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურისა და შესახებ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც თანხის გადახდის პერიოდი განისაზღვრა 5 წლით, 2010 წლის 15 ივნისიდან 2015 წლის 15 ივნისის ჩათვლით. დავალიანების დაფარვისათვის შედგა გადახდის გრაფიკი. 2010 წლის 15 ივნისის მონაცემებით რეზერვული სასესხო დავალიანება განისაზღვრა მთლიანად 711 107,16 ლარით (ძირითადი თანხა 516 250 ლარი, პროცენტი 9 312,69 ლარი, პირგასამტეხლო 185 544,47 ლარი). დავალიანების რესტრუქტურისა და შესახებ შეთანხმების მე-6 მუხლის 5.3 პუნქტით, მისი პირობების დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო – პირველი და მეორე ხელშეკრულებებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №840 განკარგულების შესაბამისად, რესტრუქტურისა და შესახებ შეთანხმებული იქნა კომპანიის (შპს „ა-ს“) 2010 წლის 15 ივნისს არსებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანება – 711 107,16 ლარი, საიდანაც ძირითადი თანხა – 516 250 ლარი, პროცენტი – 9 312,69 ლარი, ხოლო პირგასამტეხლო – 185 544,47 ლარი იყო.

6. სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2012 წლის 16 მარტის №1-3/191 ბრძანებით, შპს „ს.“, შპს „ა.“, შპს „კ.“ და შპს „მ.“ ერთმანეთს შეერწყა. ამავე ბრძანების თანახმად, შპს „ს-ს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „ს.გ.ს.ს.კ.“. 2015 წლის 29 აპრილის საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-10 ბრძანების საფუძველზე, შპს „ს.გ.ს.ს.კ-ის“ წესდებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, შპს „ს.გ.ს.ს.კ-ს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „ს. მ-ა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე ან მონინაალმდევე მხარე).

7. მოპასუხემ ვალდებულება დაარღვია. 2016 წლის 1 თებერვლის მონაცემებით მის მიერ შეუსრულებელმა ვალდებულებამ 1 886 463,88 ლარი (რესტრუქტურისა და შესახებ შეთანხმებული თანხა 711 107,16 ლარი, რესტრუქტურისა და შესახებ შეთანხმების პერიოდში დარიცხული სარგებელი – 151 423,26, პირგასამტეხლო – 1 023 933,46 ლარი) შეადგინა.

8. 2016 წლის 8 აპრილს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპა-

სუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

8.1. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისროს 1 886 463,88 ლარის გადახდა, საიდანაც რესტრუქტურისებული თანხა – 711 107,16 ლარი, პროცენტი – 151 423,23 ლარი და პირაგასამტეხლო – 1 023 933,46 ლარი.

8.2. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისროს 2016 წლის 1 თებერვლიდან ვალდებულების სრულად შესრულებამდე პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე რესტრუქტურისებული თანხის, 711 107,16 ლარის, 0.07%, რაც ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის 497,78 ლარს შეადგენს.

8.3. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე მითითებით განმარტა, რომ სესხის გადახდის საბოლოო ვადა დასრულდა, თუმცა მოპასუხე, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

9. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ ცნო. მან სადავოდ მხოლოდ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა გახადა და განმარტა, რომ ის შეუსაბამოდ მაღალი იყო და გონივრულ ოდენობამდე უნდა შემცირებულიყო.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებაზე; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 1 067 317,08 ლარის გადახდა, საიდანაც რესტრუქტურისებული თანხა – 711 107,16 ლარი, რესტრუქტურისაციის პერიოდში დარიცხული პროცენტი – 151 423,23 ლარი, ხოლო პირაგასამტეხლო – 204 786,69 ლარი იყო; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2016 წლის 1 თებერვლიდან, სასესხო დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხაზე – 711 107,16 ლარზე, ვალდებულების სრულ შესრულებამდე პირგასამტეხლოს 0,014%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც ყოველდღიურად 99,55 ლარს შეადგენს. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სააპელაციო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 327-ე, 361-ე, 411-ე, 417-ე, 418-ე და 42-ე მუხლები გამოიყენა.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 მაი-

სის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია პირგასამტეხლოს შემცირებული ოდენობის არაგონივრულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ პირგასამტეხლო კანონიერად შეამცირა;

12.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო, ის ბევრად აღემატებოდა სესხის ძირითად დავალიანებას. 2010 წლის 15 ივნისის მონაცემებით, ძირითადი თანხის სახით დავალიანებამ 516 250 ლარი შეადგინა, რომელზეც მხარეს პირგასამტეხლოს სახით უკვე დარიცხული ჰქონდა 185 544 ლარი, პროცენტი 9 312 და, დამატებით, რესტრუქტურის პერიოდისთვის სარგებლის სახით, ასევე დარიცხული ჰქონდა 151 423 ლარი. შესაბამისად, ამ ვითარებაში მოვალისათვის დამატებით პირგასამტეხლოს – 1 023 933 ლარით განსაზღვრა და იმავდროულად მოვალისათვის ყოველდღიურად დავალიანების 0.07%-ის დარიცხვა მიმდინარე პირგასამტეხლოს სახით, პალატის მოსაზრებით, არ ემსახურებოდა კრედიტორის დანაკარგების კომპენსირებას, არამედ გამოიწვევდა ამ უკანასკნელის გამდიდრებას, რაც ეწინააღმდეგება, თავად პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და მიზანს.

13. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უსაფუძვლოდ მიიჩნიეს მხარეთა შორის შეთანხმებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად და, შესაბამისად, არასწორად შეამცირეს 1 023 933,46 ლარიდან 204786.69 ლარამდე, ასევე უსაფუძვლოდ შემცირდა დავალიანების დაანგარიშების პერიოდზე დარიცხული პირგასამტეხლოს დღიური საპროცენტო განაკვეთი 0,07%-დან 0, 014%-მდე;

13.2. საყურადღებოა, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი ქმნის სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს და, ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს საქმის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. მოცემულ შემთხვევაში, ცალსახად დადასტურებულია, რომ

მხარეთა შორის დადებული სესხისა და შემდეგ რესტრუქტურისაციის ხელშეკრულება მოპასუხემ არ შეასრულა. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ გამოიტანეს სასამართლოებმა დასკვნა, მოთხოვნილი პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობასთან დაკავშირებით.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, სესხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 623-ე (სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი), 625.1 (მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი), 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათ-

ვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღმატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლები.

17. განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უსაფუძვლოდ შეამცირეს მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

18. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალი იყო და, სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უნდა შემცირებულიყო, სახელდობრ:

18.1. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს სასამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული. „ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის აქვს, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...“, „პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცავს თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“ (მდრ. სუსგ-ები: №ას-1373-2018, 17.01.2019; №ას-848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015;

№ას-953-918-2016, 22.11.2016).

18.2. ამასთან, სასამართლოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება; დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით: „პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაფეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან... პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩათვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა“ (მდრ. საქმე №ას-176-157-2014);

18.3. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ 2010 წლის 15 ივნისის მონაცემებით სესხის ძირითადი თანხის დავალიანებამ შეადგინა 516 250 ლარი, რომელსაც დაერიცხა პირგასამტეხლო – 185 544 ლარი, პროცენტი – 9 312 ლარი. გარდა ამისა, რესტრუქტურისაციის პერიოდისთვის დამატებით, სარგებლის სახით დაერიცხა 151 423 ლარიც. ამდენად, ამ ვითარებაში მოვალისათვის დამატებით პირგასამტეხლოს – 1 023 933 ლარის დაკისრება და, იმავედროულად, მისთვის ყოველდღიურად დავალიანების 0.07%-ის დაერიცხვა მიმდინარე პირგასამტეხლოს სახით, არ ემსახურება კრედიტორის დანაკარგების კომპენსირებას, არამედ გამოიწვევს ამ უკანასკნელის გამდიდრებას, რაც ეწინააღმდეგება პირგასამტეხლოს დანიშნულებასა და მიზანს.

18.4. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ძირითადი თანხის დავალიანების (516 250 ლარის) გათვალისწინებით, სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის (185 544 ლარი + 1 023 933 ლარი + დავალიანების 0,07% ყოველვადაგადაცილებულ დღისათვის) მოპასუხისათვის დაკისრება აშკარად შეუსაბამო და არაგონივრულია.

18.5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს, შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაფეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობას პირგასამტეხ-

ლოს ოდენობასთან და აღნიშნავს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად შეამცირეს დაკისრებული ჯარიმა – 1 023 933,46 ლარიდან 204 786,69 ლარამდე, ასევე, მართებულად განსაზღვრეს ყოველდღიური პირგასამტეხლო, ნაცვლად 0.07%-ისა 0,014%-ით.

19. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

20. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, კანონის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.3, 404-ე, 410-ე, 284-ე, 285-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 22 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირბასამტახლოს შემცირება სასამართლოს მიერ

ბაღანყვატილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1213-2018

31 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „თ.გ.ა-აშ“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებულ სარჩელზე, მეორე აპელანტი, კასატორის მონინალმდეგე მხარე ან მეიჯარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ.ქ.ა-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, პირველი აპელანტი, კასატორი ან მოიჯარე) მიმართ და მოითხოვა საიჯარო ქირის დავალიანების – 196 410,25 აშშ დოლარისა (საიდანაც ძირითადი თანხა არის 119 044,95 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტახლო – 77 365,30 აშშ დოლარი) და ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის – 56 899,49 აშშ დოლარის მისთვის დაკისრება.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2011 წლის 1 მარტს და 2012 წლის 27 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად მოპასუხეს დროებით სარგებლობაში გადაეცა ქ. თბილისში, ... მდებარე, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 936 კვ.მ ფართი სასაწვლო დაწესებულების გასასხნელად და ფუნქციონირებისთვის. 2013 წლის 1 სექტემბრიდან საიჯარო ქირა განისაზღვრა 30 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით, რომელიც უნდა გადახდილიყო ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორებით. ვალდებულების დარღვევისათვის მხარეებმა გაითვალისწინეს პირგასამტახლოს გადახდა გადასახდელი ქირის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოიჯარემ დაარღვია ქირის გადახდის ვალდებულება, რის შედეგადაც მოსარჩელეს შეექმნა ფინანსური პრობლემები და იძუ-

ლებული გახდა ბანკიდან აელო სესხი, შესაბამისად მოსარჩელეს მიადგა ზარალი 56 899.49 აშშ დოლარის ოდენობით. მოსარჩელეს საიჯარო ფართი დაუბრუნდა 2015 წლის 4 ივლისს და იჯარის ხელშეკრულების 6.1.7 პუნქტის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო ქირა ქონების დაბრუნების დაყოვნებისთვის 2 932.26 აშშ დოლარის ოდენობით.

1.2. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ, შესრულებული სამუშაოებისა და გადაცემული მოწყობილობების ღირებულების – 121 000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2011 წლის 1 მარტისა და 2012 წლის 27 აგვისტოს ხელშეკრულებების საფუძველზე მხარეები იმყოფებოდნენ საიჯარო ურთიერთობებში. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე, 2015 წლის ივნისში მხარეთა წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვადასხვა პირობებისა და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. მათ შორის ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა მეიჯარისათვის გარკვეული სამუშაოებისა და მოწყობილობების გადაცემა, რომელთა ღირებულებამ ამ დროისათვის შეადგინა 121 000 ლარი. 2015 წლის 12 ივნისს მეიჯარის წარმომადგენლის ელექტრონული წერილის მიღების შემდეგ შეგებებული მოსარჩელე დაეთანხმა შეთანხმების საბოლოო ვარიანტს და ჩათვალა, რომ საბოლოო ტექსტი შეთანხმებული იყო მეიჯარესთან, ხოლო ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ რაც მნიშვნელოვანი ფასდათმობით მიიღო შეთანხმების მე-8 პუნქტში მითითებული სამუშაოები და მოწყობილობები, ხელი აღარ მოაწერა შეთანხმებას და ჩაშალა მოლაპარაკება. აღნიშნულით მან ისარგებლა ბოროტად და ფაქტობრივად მიითვისა მოსარჩელის ქონება საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მოპასუხემ თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ, საიჯარო ქირის დავალიანების – 306 320,91 ლარის ნაწილში ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. შესაგებლის თანახმად, 2015 წლის საიჯარო ქირა მოპასუხეს გადახდილი აქვს ნაწილობრივ – 30 000 ლარის ფარგლებში, რაც, გარდა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა, დადასტურებულია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2015 წლის 27 აპრილის №506 წერილით. აღნიშნულის შემდგომ საიჯარო თანხის გადახდის დაყოვნება გამოწვეულია მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებით

გათვალისწინებული პირობების არაერთგზის დარღვევით. მასვე ქონების დაგვიანებით გადაცემის გამო თანხა არ უნდა დაეკისროს, რადგანაც ფართი გათავისუფლდა შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში – 30 ივნისისათვის. მხოლოდ მცირე რაოდენობის ინვენტარი იქნა გადაზიდული 1 ივლისს, დღის პირველ ნახევარში, რასაც ადასტურებს ტვირთის გადაზიდვის თაობაზე წარდგენილი ზედნადებები. რაც შეეხება წერილობით წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტს, იგი შედგა და ხელმოწერილი იქნა მოგვიანებით, ტექნიკური მიზეზის გამო, ვიდრე მოპასუხე დროებით ოფისში განათავსებდა კომპიუტერულ ტექნიკას. ამ ფაქტით არაკეთილსინდისიერად სარგებლობს მოსარჩელე, ბოროტად იყენებს თავის უფლებებს და ცდილობს უსაფუძვლოდ გამდიდრდეს მოპასუხის ხარჯზე. პირგასამტეხლოსთან მიმართებაში მოპასუხემ განმარტა, რომ იგი არ შეესაბამება მხარეთა მიერ დადგენილ ხელშეკრულების პირობებს, შესაბამისად სასამართლომ პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა შეამციროს გონივრულ ფარგლებამდე. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მოსარჩელე ვერ მიუთითებს, თუ რა გამოთვლას ემყარება ზიანის ოდენობა. ამასთან, მოსარჩელის მიერ კრედიტის აღება ვერ გახდება მოპასუხის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი;

2.2. მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით თავდაპირველმა მოსარჩელემ არ ცნო შეგებებული სარჩელი და განმარტა, რომ მხარეთა შეთანხმების თანახმად, საიჯარო ფართში არსებული სასკოლო ინვენტარის ნაწილს გააუმჯობესებდა მოიჯარე 50 000 ლარის ფარგლებში და გადასცემდა ფართის მესაკუთრეს. აღნიშნული თანხა საიჯარო ქირის დავალიანებიდან გაიქვითა, 2015 წლის 23 ივლისს შედგა მიღება-ჩაბარების აქტი და გამოინერა სასაქონლო ზედნადებები. დღეისათვის იმის მტკიცება, რომ ინვენტარი 121 000 ლარის ღირებულებისაა, დაუსაბუთებელია, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 317 909,4 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში თავდაპირველი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე უარყოფილ იქნა შეგებებული სარჩელი.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით

გაასაჩივრეს მხარეებმა, მოიჯარემ მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელის უარყოფა, ასევე, შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ – 50 000 ლარის მეიჯარისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილება მოითხოვა, ხოლო, მოიჯარემ – გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის 2016 წლის 30 ნოემბრამდე პირგასამტეხლოს სახით დამატებით 77 925 ლარის, ასევე, 2016 წლის 1 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირი დავალიანების 0,05%-ის დაკისრება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცვალა და სარჩელები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოიჯარეს მეიჯარის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის დავალიანების – 256 320,91 ლარისა და ქონების დროულად დაუბრუნებლობის გამო ზიანის – 6 588,49 ლარის გადახდა, მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 256 320,91 ლარის 0,03%-ის ყოველდღიურად გადახდა 2015 წლის 1 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

6. კასაციის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნესით გაასაჩივრა მოიჯარემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელის უარყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს საიჯარო ქონების დაბრუნების ვადის გადაცილების გამო მოიჯარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების, პირგასამტეხლოსა და იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრების კანონიერება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს. საკასაციო საჩივრის თანახმად:

– სააპელაციო სასამართლომ საიჯარო ქონების გამოთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით არასწორად არ გაიზიარა მოიჯარის მტკიცება, არასწორად მიანიჭა უპირატესობა მიღება-ჩაბარების აქტის თარიღს. მონმის ჩვენება და ტვირთის გადაზიდვის ზედნადები კი, არასწორად ჩათვალა სადავო გარემოების მტკიცებისათვის არარელევანტურად. სადავო აქტზე მითითებული თარიღი წარმოადგენს ტექნიკურ, ბეჭდვით შეცდომას და არ ასახავს ფართის გამოთავისუფლების რეალურ თარიღს, მონმის ჩვენებითა და ტვირთის გადაზიდვის ზედნადებით დგინდება კასატორის მხრიდან ქონების 30 ივნისს დაცლა, მხოლოდ ინვენტარის მცირე ნაწილი იქნა გატანილი 1 ივლისს დღის პირველ ნახევარში. კასატორმა ნივთები საიჯარო ქონებიდან გადაზიდა, როგორც საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით, ისე – შპს „კ. ლ-ის“ დახმარებით, რომლის მიერ გაცემული ზედნადებების თანახმად, გადაზიდვა ხორციელდებოდა 24, 25, 26, 27 და 30 ივნისს, იგივე დაადასტურა მონმედ დაკითხულმა კასატორის ტექნიკურმა მენეჯერმა გ. დ-მა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ იჯარის ხელშეკრულების მე-7 პუნქტი, რომლითაც დადგენილია ქონების დაბრუნების წესი, ადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ვალდებულებას, თუმცა, არსად არ არის მითითებული, რომ ქონების რეალურად გადაცემის თარიღი და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს;

– სასამართლომ, მიუხედავად ვრცელი განმარტების მიღებისა, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირგასამტეხლოს გამოანგარიშება თავდაპირველი სარჩელით არასწორად იყო მოთხოვნილი. 2015 წლის 1 მარტიდან 1 ივლისამდე დავალიანება 256 320,91 ლარს არ შეადგენდა, შესაბამისად, კასატორს არასწორად დაეკისრა ამ თანხის 0,03%-ის გადახდა. იჯარის ხელშეკრულების 4.4. მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა მომხდარიყო მოსარჩელის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მოპასუხისათვის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, კერძოდ:

i თებერვლის ანგარიშ-ფაქტურა თარიღდება 2 რიცხვით, ამას

უნდა დაემატოს 5 სამუშაო დღე და პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა დაიწყოს 8 თებერვლიდან, ხოლო, 25 თებერვლიდან, რადგანაც გადახდილ იქნა დავალიანების ნაწილი – 30 000 ლარი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დავალიანების მთლიან თანხაში გაქვითა, დავალიანების ძირი უნდა განისაზღვროს 32 287,72 ლარით;

ii მარტის ანგარიშ-ფაქტურა თარიღდება 2 რიცხვით, რომელსაც უნდა დაემატოს 5 სამუშაო დღე და პირგასამტეხლოს დაანგარიშება უნდა მოხდეს 8 მარტიდან, რაც შეეხება ძირს, ამ შემთხვევაში, თებერვლის დავალიანებას უნდა დაემატოს მარტის დავალიანება – 65 611,62 ლარი და განისაზღვროს 97 899,34 ლარით (8 მარტიდან 10 აპრილამდე);

iii აპრილის ანგარიშ-ფაქტურა თარიღდება 4 რიცხვით, 5 სამუშაო დღის პირობებში პირგასამტეხლოს დათვლა უნდა მოხდეს 10 აპრილიდან 8 მაისამდე რა დროსაც აპრილის დავალიანება შეადგენდა 67 711,41 ლარს, რასაც ემატება დარჩენილი დავალიანება და იგი ჯამში შეადგენს 165 610,75 ლარს 28 დღის განმავლობაში;

iv მაისის ანგარიშ-ფაქტურა თარიღდება 1 რიცხვით და ზემოხსენებული წესის თანახმად პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა მოხდეს 8 მაისიდან, მაისის დავალიანებას – 70 680,81 ლარს უნდა დაემატოს წინა თვის დავალიანება და განისაზღვროს 236 291,56 ლარით 7 ივნისამდე;

v ივნისის ანგარიშ-ფაქტურა თარიღდება 2 რიცხვით, პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა დაიწყოს 7 რიცხვიდან და გამოთვლილ იქნეს ივნისის დავალიანებისა – 70 029,36 ლარისა და ნარჩენი დავალიანების 236 291,56 ლარის ჯამიდან 23 დღის განმავლობაში. პირველი ივლისიდან დავალიანების თანხას უნდა გამოაკლდეს 50 000 ლარი.

კასატორის განმარტებით, მიუხედავად ზემოხსენებულისა, პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი ინვეეს კრედიტორის უსაფუძვლო გამდიდრებას, რაც სასამართლოს, ერთგვაროვანი პრაქტიკის გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა მიეღოს;

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა ძალაში იურიდიული მომსახურების ხარჯის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ მან გაიზიარა მოიჯარის მტკიცება თანხის შეუსაბამო ოდენობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართალია, დაკისრებული თანხა – 8 500 ლარი არ აღემატება დავის საგნის ღირებულების 4%-ს, თუმცა, სასამარ-

თლოს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ მოცემული დავა არ არის რთული კატეგორიის, სარჩელის ნაწილობრივ ცნობის, მტკიცების საშუალებათა შეზღუდვისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მოწინააღმდეგე მხარეს არ დაუხარჯავს დიდი რესურსი, ამასთანავე, სააპელაციო პალატამ შეითავსა საკასაციო სასამართლოს ფუნქცია და სამივე ინსტანციის სასამართლოსათვის განსაზღვრული იურიდიული მომსახურების ხარჯი წინასწარ დააკისრა მოიჯარეს მეიჯარის სასარგებლოდ.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.2.1. 2011 წლის 1 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოპასუხეს სარგებლობაში გადასცა მის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... მდებარე შენობის ნაწილი: 876 კვ.მ სარდაფის სართული, 1289 კვ.მ პირველი სართული და 1280 კვ.მ მეორე სართული. ხელშეკრულების 4.3 პუნქტის მიხედვით, საიჯარო ქირის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვრა თვეში 30 000 აშშ დოლარით. 4.8. პუნქტის შესაბამისად, მოიჯარის მიზეზით ყოველ საანგარიშო თვეში გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, მას პირგასამტეხლოს სახით ეკისრება დამატებითი საურავი დარჩენილი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 5.2. პუნქტის თანახმად, საიჯარო ფართის გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები, რითაც ისინი ადასტურებენ საიჯარო ფართის გადაცემის და მიღების ფაქტს; 6.1.7. პუნქტის შესაბამისად, თუ მოიჯარ-

რე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ უკან არ დააბრუნებდა საიჯარო ფართს, მაშინ მეიჯარეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; 11.2 პუნქტის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთთან ურთიერთობისას გამოიყენებენ წერილობით ფორმას;

1.2.2. 2012 წლის 27 აგვისტოს მხარეთა შორის, არსებითად იმავე პირობებით დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მეიჯარემ მოიჯარეს სარგებლობაში გადაცა მის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... მდებარე შენობის 60 კვ.მ სარდაფის სართული. ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 300 აშშ დოლარით;

1.2.3. 2014 წლის 18 ნოემბრის წერილობითი შეთანხმებით, ორივე საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით;

1.2.4. მოიჯარემ 2015 წლის თებერვლის საიჯარო ქირა გადაიხადა ნაწილობრივ, კერძოდ, 62 287,72 ლარიდან 30 000 ლარი. მას არ გადაუხდია მარტის საიჯარო ქირა – 65 611.62 ლარი, აპრილის საიჯარო ქირა – 67 711.41 ლარი, მაისის საიჯარო ქირა – 70 680.81 ლარი და ივნისის საიჯარო ქირა – 70 029.36 ლარი;

1.2.5. მოპასუხემ სარჩელი ცნო საიჯარო ქირის დავალიანების 306 320.91 ლარის ნაწილში;

1.2.6. 2015 წლის 4 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც მოპასუხემ თავდაპირველ მოსარჩელეს გადასცა საიჯარო ფართები;

1.2.7. 2015 წლის 22-23 ივლისს მოიჯარემ მეიჯარეს გადასცა მხარეთა შეფასებით, მთლიანობაში 50 000 ლარის ღირებულების მატერიალური ქონება, რომელთა ღირებულებაც მოსარჩელეს მოპასუხისთვის არ გადაუხდია;

1.2.8. შეგვებულები სარჩელით მოიჯარე მეიჯარისაგან ითხოვედა 2015 წლის 22-23 ივლისს გადაცემული მოძრავი ნივთების ღირებულების – 121 000 ლარის ანაზღაურებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისთვის გადაცემული ჰქონდა არა 121 000 ლარის, არამედ – 50 000 ლარის ღირებულების მატერიალური ინვენტარი, სააპელაციო განხილვის ეტაპზე მოიჯარემ დააზუსტა შეგვებულები სარჩელის მოთხოვნა და მოითხოვა გადაცემული მატერიალური ინვენტარის ღირებულების – 50 000 ლარის დაკისრება მეიჯარისათვის. ამ უკანასკნელმა კი, სააპელაციო შესაგებლით 50 000 ლარის დაკისრების ნაწილში ცნო სააპელაციო საჩივარი და შეგვებულები სარჩელი. ამ თანხის საიჯა-

რო ქირის დავალიანებაში – 306 320.91 ლარში გაქვითვის შემთხვევაში, დავალიანება განისაზღვრებოდა 256 320.91 ლარით;

1.2.9. სააპელაციო საჩივრით მეიჯარემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში და მოითხოვა პირგასამტეხლოს სახით 2015 წლის 1 მარტიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდზე არსებული დავალიანების 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რამაც მთლიანობაში შეადგინა 82 925 ლარი და ასევე, 2016 წლის 30 ნოემბრიდან მზარდი პირგასამტეხლო დავალიანების 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების შესრულებამდე;

1.2.10. იურიდიული მომსახურების შესახებ 2015 წლის 15 სექტემბრის და 2016 წლის 14 მარტის ხელშეკრულებებით, ასევე საგადასახადო დავალებებით დასტურდება, რომ თავდაპირველ მოსარჩელეს წარმომადგენლების მომსახურებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი აქვს 9 125 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლომ შეგებებულ მოსარჩელეს თადაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა წარმომადგენლის მომსახურებისთვის განუვლი ხარჯის სახით 8 500 ლარის ანაზღაურება. მეიჯარემ სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა მეორე ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისას განუვლი წარმომადგენლების მომსახურებისათვის განუვლი ხარჯის სახით 1 700 ლარის ანაზღაურება.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პალატა განსახილველი პრეტენზიების სწორი სამართლებრივი შეფასების მიზნით უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლებზე: თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილია საიჯარო ქირის დავალიანების, ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო, ზიანის ანაზღაურებისა და ვალდებულების დარღვევის გათვალისწინებით პირგასამტეხლოს დაკისრება, შესაბამისად, თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნების დამფუძნებელი ნორმებია სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 591-ე და 417-ე მუხლები, რაც შეეხება შეგებებულ სარჩელს, მისი მოთხოვნა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ მეიჯარისათვის გადაცემული გაუმჯობესებების ფულადი ანაზღაურებაა, შესაბამისად, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ამავე კოდექსის 976.1 (ა), 979-ე და 987.1 მუხლი წარმოადგენს.

1.3.2. დავას არ ინვესტის გარემოება, რომ მოიჯარემ საქმის მომზადების ეტაპზე საიჯარო ქირის დავალიანების ნაწილში ცნო სარ-

ჩელი, ისევე, როგორც მეიჯარემ შემცირებული სააპელაციო მოთხოვნის ნაწილში ცნო შეგებებული სარჩელი 50 000 ლარის დაკისრების თაობაზე. სააპელაციო პალატამ ხსენებული თანხები გაქვითა და საბოლოოდ საიჯარო ქირის დავალიანების ოდენობა განსაზღვრა 256 320,91 ლარით. ამ ნაწილში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის გამოყენების კანონიერებას საკასაციო პალატა არ შეამოწმებს ამავე კოდექსის 409-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე.

1.3.3. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას ქონების დაბრუნების ვადის დარღვევის გამო ზიანის დაკისრების თაობაზე. ამ შემთხვევაში სააპელაციო პალატის დასკვნა კანონიერია და გამომდინარეობს საქმის მასალების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შეფასებიდან. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმების საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ ქონების გადაცემის, ისევე, როგორც ზოგადად მხარეთა კომუნიკაციის ფორმა, რომელიც უნდა ყოფილიყო წერილობით, ამასთანავე, მფლობელობის გადაცემა უნდა დადასტურებულიყო ორმხრივად, უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. მოცემულ შემთხვევაში, თავდაპირველი მოსარჩელე სწორედ მიღება-ჩაბარების აქტზე აპელირებით მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მოპასუხე კი, უარყოფს ქონების გადაცემის ვადის დარღვევის ფაქტს და მიუთითებს კუთვნილი ინვენტარის გადაზიდვის სასაქონლო ზედნადებსა და მოწმის ჩვენებაზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევის მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელმაც, ამავე ნორმის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმებაზე დაყრდნობით დაძლია მტკიცების ტვირთი, რაც შეეხება კასატორს, მან ვერ წარადგინა საკუთარი განმარტებების დამადასტურებელი რელევანტური მტკიცებულება. ამ შემთხვევაში პალატა აღნიშნავს, რომ არადამაჯერებელია მოიჯარის მტკიცება, თითქოს მიღება-ჩაბარების აქტზე მიუთითებული თარიღი წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის შეცდომას. ამ მტკიცების გაზიარებას განსაკუთრებით გამორიცხავს ის გარემოება, რომ მხარეები არიან მენარმეები და მათ კანონმდებლობა წინდახედულობის მაღალ სტანდარტს უდგენს, გარდა ამი-

სა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით ქონებაზე პირდაპირი მფლობელობის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულების არსებობის პირობებში, გადაცემის განსხვავებულ თარიღს ვერ დაადასტურებს მონმის ჩვენება და/ან ზედნადები. ამგვარი შეიძლება გაზიარებულიყო სასამართლოს მხრიდან, თუკი მოიჯარე დაადასტურებდა, რომ მან დროულად დაცულა ფართი, ხოლო მეიჯარე განზრახ არიდებდა თავს ქონების მიღებას/მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას. რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ ხელშეკრულებით მხარეებს არ განუსაზღვრავთ ქონების რეალურად გადაცემისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღის თანხვედრის აუცილებლობა, მას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგანაც, როგორც წესი, მიღება-ჩაბარების აქტი სწორედ ქონების კონკრეტულ დროს გადაცემის ფაქტის დადასტურების მიზანს ემსახურება.

1.3.4. მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა ის გარემოება, რომ ქონების გადაცემის ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ოდენობა, საიჯარო ქირის გათვალისწინებით, შეადგენს 6 588,49 ლარს, შესაბამისად, სახეზეა ზიანის ანაზღაურების თაობაზე თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების სამოქალაქო კოდექსის 591-ე მუხლის ყველა წინაპირობა.

1.3.5. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას პირგასამტეხლოს ოდენობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის უდავოა საიჯარო ქირის გადახდის თაობაზე მოიჯარის მხრიდან ვალდებულების დარღვევის ფაქტი, ასევე უდავოა, რომ ამ ვალდებულების დარღვევისათვის მხარეები წერილობით შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს გადახდაზე (სკ-ის 418.2 მუხლი), შესაბამისად, სახეზეა პირგასამტეხლოს დაკისრების სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, ამ შემთხვევაში, კასატორმა დასაბუთებული შედაგება წარმოადგინა, რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლო. იჯარის ხელშეკრულების 4.8. პუნქტის თანახმად, მოიჯარის მიზეზით ყოველ საანგარიშო თვეში გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, მას პირგასამტეხლოს სახით ეკისრება დამატებითი საურავი დარჩენილი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დაანგარიშებისას სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია საიჯარო ქირის გადახდის წესზე მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმება, ამასთანავე, დავლიანების ჯამური ოდენობის შესაბამისად, 2015 წლის თებერვლიდან პირგასამტეხლოს დაანგარიშება ცდება მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლებს. სა-

კასაციო პალატა პირგასამტეხლოს საკითხზე მსჯელობისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით საშუალებებს, რომელთაგან პირველს გირავნობა (სკ-ის 254-ე მუხლი) და იპოთეკა (სკ-ის 286-ე მუხლი), ხოლო მეორეს – პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია (სკ-ის 416-ე მუხლი) განეკუთვნება. მითითებულთაგან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას სწორედ პირგასამტეხლო წარმოადგენს და იგი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის (სკ-ის 417-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დანიშნულება ვალდებულების დარღვევის მინიმალური ზიანის ანგარიშში ამ თანხის ჩათვლაა. ფუნქციური დანიშნულებით, მინიმალური ზიანი არ წარმოადგენს ფაქტობრივად მიღებული ზიანის სრულ ანაზღაურებას, არამედ ესაა თანხა, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნის მინიმალურ დაკმაყოფილებას, სწორედ ამიტაა გამართლებული პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო ბუნება, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის სავალდებულოა მხარეთა მიერ შესაბამისი ფორმით შეთანხმების მიღწევა, რაც რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის მე-2 ნაწილით. განსხვავებით ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არ საჭიროებს მხარეთა წინასწარი შეთანხმების არსებობას, პირგასამტეხლო ყოველთვის სახელშეკრულებო პირობად გვევლინება. ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო პირობის ერთადერთი გამონაკლისია ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას პროცენტზე შეთანხმება (სკ-ის 403-ე მუხლი), თუმცა, ეს შემთხვევა სახეზე არ გვაქვს. მართალია, სამოქალაქო კანონმდებლობა პირგასამტეხლოს ნამდვილობას მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწულ შეთანხმებას უკავშირებს, თუმცა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ დათქმას და მოვალის შესაგებლის არსებობის პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობის თანხის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ნორმის დასახელებული დანაწესი სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწულ შეთანხმებაში ჩარევის ლეგიტიმურ სა-

ფუძველს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და სხვა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო, ზემოხსენებულ ფაქტორებთან ერთად, ითვალისწინებს საქმის განხილვის ხანგრძლივ დროსაც და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მხრიდან პირგასამტეხლოს განაკვეთის შემცირების მიუხედავად, დაკისრებული მზარდი თანხის პირობებში იგი მაინც შეუსაბამოა ვალდებულების დარღვევისა, რის გამოც, ზემოხსენებული ნორმის თანახმად, უნდა შემცირდეს მისი ოდენობა და განისაზღვროს მყარი თანხით. პალატის დასკვნით, ქირის გადახდის ვადის გადაცილების გამო გონივრული და სამართლიანი იქნება პირგასამტეხლოს ოდენობის 50 000 ლარით განსაზღვრა.

1.3.6. რაც შეეხება სასამართლოს გარეშე ხარჯის, კერძოდ, იურიდიული მომსახურებისათვის თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ კასატორისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ არის დასაბუთებული და არ არსებობს მისი გაუქმების პროცესუალური წინაპირობა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.2.10. პუნქტში მითითებულ გარემოებაზე და აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების ხარჯების დაკისრების საკითხს არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი. განსახილველი ნორმის პირველი ნაწილი ადგენს ცენზს – დავის საგნის ღირებულების 4%-ს, რომელიც გამართლებულია სასამართლოს მხრიდან ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებითა და მოდავე მხარეთა ინტერესების დაბალანსების თვალსაზრისით. საკასაციო პალატა, ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, განმარტავს, რომ როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან... ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „პინკოვა და პინკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ისინი რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო სამოქალაქო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოს შეხედულებით ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ცენზის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (იხ. სუსგ №ას-792-1114-07, 11 თებერვალი, 2008 წელი). უდავოა, რომ მოსარჩელესა და მის წარმომადგენლებს შორის წარმოშობილია სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება (სკ 709-ე მუხლი), სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, რადგანაც ირკვევა მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, პალატა მიიჩნევს, რომ მეიჯარის პრეტენზია ადვოკატის მომსახურების ხარჯის დაკისრების ნაწილში დასაბუთებულია (მრავალთა შორის იხ. სუსგ-ებები: №ას-330-315-2015, 29 ივნისი, 2015 წელი; №ას-734-702-2016, 20 იანვარი, 2017 წელი; №ას-353-331-2017, 23 ივნისი, 2017 წელი). ამასთანავე, ვინაიდან უდავოა, რომ დაკისრებული თანხა არ აღემატება თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილის 4%-ს, კასატორისათვის 8 500 ლარის დაკისრება, მით უფრო დავის სამივე ინსტანციის სასამართლოში განხილვის გათვალისწინებით, გამართლებულია და არ არსებობს ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალაში დატოვების/ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ნაწილობრივ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას,

პირგასამტეხლოს განსაზღვრის ნაწილში და ვინაიდან სახეზე არ არის საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, თავად იღებს გადაწყვეტილებას: წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.3.5. პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს მონინალმდევე მხარის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა 50 000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ქონების გადაცემის დაყოვნებით გამოწვეული ზიანისა და იურიდიული მომსახურების ხარჯის დაკისრების საკითხებს, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია, რის გამოც, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, პალატა ძალაში ტოვებს მას.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

2.2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მეიჯარემ ჯამში განია 6 585,1 ლარის ოდენობით ხარჯი, ხოლო, მოიჯარემ – 12 683,52 ლარი. სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების ეტაპზე მოპასუხემ ცნო მის წინააღმდეგ წარდგენილი მოთხოვნის 41,9%, ხოლო თავდაპირველმა მოსარჩელემ სააპელაციო განხილვის დაწყებამდე სრულად ცნო შემცირებული შეგებებული სარჩელის მოთხოვნა.

2.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად,

თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

2.4. ამდენად, სარჩელის/შეგებებული სარჩელის საქმის სასამართლოს მთავარ სხდომამდე ცნობის პროპორციულად მხარეებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეთ გადახდილი ბაჟი, კერძოდ, თავდაპირველ მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 18.09.2015წ. №1 საგადახდო დავალებით სარჩელზე გადახდილი 5 000 ლარიდან 2 095 ლარი, ხოლო შეგებებულ მოსარჩელეს – მის მიერ 04.01.2018წ. №1515058118 საგადახდო დავალებით სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 2 603,52 ლარიდან 2 000 ლარი.

2.5. რაც შეეხება დარჩენილ თანხებს, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა 73,9%-ით (სსსკ-ის 40.2, 41.1 „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელის შეტანის დროისათვის არსებული აშშ დოლარის კურსის შესაბამისად, თავდაპირველი სარჩელის ფასი შეადგენდა 729 532,05 ლარს, ხოლო, შეგებებული სარჩელის – 121 000 ლარს, რომელიც სააპელაციო განხილვის ეტაპზე შემცირდა 50 000 ლარამდე, ამასთანავე, სააპელაციო საჩივრის ცნობის გამო, იგი სრულად დაკმაყოფილდა და როგორც ითქვა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟი მხარეს დაუბრუნდა ბიუჯეტიდან), მოიჯარეს მეიჯარის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განუთხლები პროცესის ხარჯებიდან 4 866,38 ლარი, ხოლო, მეიჯარეს მოიჯარის სასარგებლოდ – მის მიერ გადახდილი, დარჩენილი თანხიდან 26,1% – 3 310,39 ლარი, ამ თანხების ურთიერთგაქვითვის გზით კი, საბოლოოდ კასატორს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ ეკისრება 1 555,99 ლარის გადახდა.

3. უზრუნველყოფის ღონისძიება:

3.1. საკასაციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (ამავე სასამართლოს 21.09.2015წ. განჩინებით შპს „ბ.ქ.ა-ის“ კუთვნილ უძრავ ქონებაზე:

ს/კ №... დადებულ იქნა ყადაღა, ხოლო, 27.03.2017წ. განჩინებით გაიმიჯნა ყადაღადადებული ქონება და 2500 კვ.მ უძრავი ნივთი დატოვებულ იქნა უზრუნველყოფის საგნად) – ყადაღა დეპოზიტზე თანხის განთავსებით და სარჩელის უზრუნველყოფის საგნად მიჩნეულ იქნა შპს „ბ.ქ.ა-ის“ (ს/კ №...) მიერ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე 2019 წლის 2 ივლისის №... საგადახდო დავალებით ჩარიცხული 400 000 ლარი, შესაბამისად, ყადაღისაგან გათავისუფლდა შპს „ბ.ქ.ა-ის“ (ს/კ №...) კუთვნილი №72.16... უძრავი ნივთი.

3.2. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვალა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორისათვის თანხის დაკისრების ნაწილში, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 53-ე, 199¹-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ა ვ ა მ ა რ ე ბ ა:

1. შპს „ბ.ქ.ა-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. პირგასამტეხლოს დაკისრებისა და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის მე-7, მე-8 (ნაწილობრივ), მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 პუნქტები) შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „თ.გ.ა-ის“ სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:

3.1. შპს „ბ.ქ.ა-ის“ (ს/კ №...) შპს „თ.გ.ა-ის“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს – 50 000 ლარის ანაზღაურება;

3.2. შპს „თ.გ.ა-ის“ (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი...) დაუბრუნდეს მის მიერ 18.09.2015წ. №1 საგადახდო დავალებით სარჩელზე გადახდილი 5 000 ლარიდან 2 095 ლარი;

3.3. შპს „ბ.ქ.ა-ას“ (ს/კ №4...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 04.01.2018წ. №1515058118 საგადახდო დავალებით სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 2 603,52 ლარიდან 2 000 ლარი;

3.4. შპს „ბ.ქ.ა-ას“ (ს/კ №4...) შპს „თ.გ.ა-ის“ (ს/კ №2...) სასარგებლოდ დაეკისროს 1 555,99 ლარის ანაზღაურება.

4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინებით შეცვლილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩეს ძალაში.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადანყვიბილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1633-2019

9 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ-ის“ (შემდგომ – მოპასუხე) მიმართ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმის – 11 745 ლარისა და საქონლის მიწოდების ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 5783,35 ლარის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 27 ნოემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შედეგად მხარეებს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის №44 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის მიენოდებინა 234900 ლარის ღირებულების 1000 ცალი შარვალი, თხელი ქურთუკი, ქურთუკი, პულოვერი და კეპი.

3. აღნიშნული ხელშეკრულების №1 დანართში განსაზღვრულ იქნა საქონლის დასახელება და ტექნიკური პირობები, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხოლო ამავე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, მიმნოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი არაუგვიანეს 2016 წლის 25 თებერვლისა.

4. ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის პროცესში, სანამ ხელშეკრულება გაფორმდებოდა, პრედენდენტს – მოპასუხეს დაევალა თბილი ქურთუკის ნიმუშის წარდგენა. მოპასუხემ წარადგინა მულტიკამის ფერის ნიმუში, მაგრამ შეთანხმებისამებრ ქურთუკი უნდა ყოფილიყო რუხი (სერი). ხელშეკრულების დადების შემდგომ მიმნოდებელმა უსაფრთხოების სამსახურს მიაწოდა წუნდებული საქონელი – ქურთუკის ფერი არ შეესაბამებოდა შეთანხმებით გათვალისწინებულ ფერს. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხეს 2016 წლის 25 თებერვალს №478476 წერილით მოეთხოვნა შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში წუნდებული საქონლის შეცვლა. აღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიმნოდებლისაგან 2016 წლის 3 მარტის №40316 წერილით უარი ეთქვა 5 დღის ვადაში ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიწოდებაზე.

5. ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო პულოვერზეც. ტენდერის მიმდინარეობისას, ხელშეკრულების დადებამდე პრედენდენტ მოპასუხეს დაევალა პულოვერის ნიმუშის წარდგენა. წარდგენილი ნიმუში ვიზუალური დაათვალიერა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარმა სამმართველომ, რომელმაც №70028 დასკვნით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნიმუში ვიზუალურად შესაბამისობაში იყო სატენდერო პირობებთან. ხელშეკრულების დადების შემდეგ მოპასუხემ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარადგინა პულოვერი, რის შემდგომაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვ-

ნულ ბიუროს“, რათა სასაქონლო ექსპერტიზის საფუძველზე დადგინდეს შესაბამისობა წარმოდგენილი პულოვერის თავდაპირველ და ბოლოს წარმოდგენილ ნიმუშებსა და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს შორის. ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ პულოვერების ნიმუშები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

6. ამდენად, მოსარჩელემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი ქურთუკი და პულოვერი ვერ მიიღო.

7. 2016 წლის 31 მარტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკურმა დეპარტამენტმა №804644 წერილით ჯარიმა დააკისრა მოპასუხეს, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ასევე, ნაკისრ ვალდებულებაზე უარის თქმისთვის, რომლის ოდენობა შეადგენს 11 745 ლარს. (234900 ლარის 5%).

8. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ამავე ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხეს უნდა მიენოდებინა ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონელი ამავე დანართში მითითებულ ვადაში – არაუგვიანეს 2016 წლის 25 თებერვლისა. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხემ თხელი ქურთუკი, კეპი და შარვალი მიანოდა ვადაგადაცილებით. ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, რაც სულ შეადგენდა 5783,35 ლარს.

მოპასუხის პოზიცია:

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობისათვის მან გადაიხადა ჯარიმა – 11 745 ლარი, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, არ შეიძლება ერთი და იგივე ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თანხა ორჯერ დაეკისროს.

10. რაც შეეხება საქონლის მიწოდების ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს, მოპასუხემ მიიჩნია, რომ მისი მხრიდან ვადის გადაცილება გამონეველი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბრალეულობით, რადგან შემსყიდველმა მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვიტა, არ ეთქვა უარი ხელშეკრულებით მისაწოდებელ ყველა პროდუქციაზე, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროდუქცია უახლოეს პერიოდში ესაჭიროებოდა სუს-ის სტრუქტურულ ქვედანაყოფს – ობიექტების

დაცვის მთავარ სამმართველოს. 2016 წლის 24 თებერვალს მოპასუხემ წარადგინა შესაბამისი საქონლის ნიმუში. აღნიშნულ საქონელზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოითხოვა დამატებითი ლაბორატორიული კვლევების ჩატარება 2016 წლის 2 მარტის წერილით, ხოლო 2016 წლის 18 მარტს მიმართა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აღნიშნული დასკვნისათვის.

11. მოპასუხემ მიიჩნია, რომ მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი საფუძვლები იარსებებდა, სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც მოცემულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 0,02%-ის ოდენობით და პირგასამტეხლოს ოდენობაც 578,34 ლარით შეიძლება შემოიფარგლოს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივრო ნაწილი:

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სასარჩელო მოთხოვნა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ჯარიმის – 11 745 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 578,34 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივრო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წელს 27 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ელექტრონული ვებგვერდის საშუალებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. აღნიშნული სატენდერო წინადადებით შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 1 000 ცალი შარვალი, თხელი ქურთუკი, ქურთუკი, პულოვერი და კეპი. სატენდერო წინადადებით განისაზღვრა შესასყიდი ობიექტის, მათ შორის, ქურთუკისა და პულოვერის მახასიათებლები.

15. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში მოპასუხემ შემკვეთს მისაწოდებელი პროდუქტის (შარვალი, თხელი

ქურთუკი, ქურთუკი, პულოვერი, კეპი) ნიმუშები მიაწოდა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის 9 იანვრის პატაკის თანახმად, მოპასუხის მიერ წარდგენილი ნიმუშები და სატენდერო წინადადება მოთხოვნილ სატენდერო პირობებს შესაბამებოდა.

16. 2015 წლის 27 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა მოპასუხე. ტენდერის ფარგლებში, 2016 წლის 27 იანვარს მოსარჩელეს, როგორც შემსყიდველს, და მოპასუხეს, როგორც მიმწოდებელს, შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №44 ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების საგანი იყო წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საველე უნიფორმის შესყიდვა.

17. ხელშეკრულების №1 დანართით განისაზღვრა საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, ბრენდი და მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა, განზომილება, რაოდენობა, ერთეულის ფასი, ჯამური ღირებულება, მიწოდების ვადა, მიწოდების ადგილი, საგარანტიო ვადა. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება 234 900 ლარს შეადგენდა. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები, ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრულ დანართი №1-ში მითითებული ხარისხის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

18. ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, ასევე, საქონლის ტექნიკური დათვალიერება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მომარაგების სამსახურის მთავარ სპეციალისტს უნდა განეხორციელებინა. ხელშეკრულების 6.3 პუნქტით, შემსყიდველის სამსახურის წარმომადგენელს (წარმომადგენლები, მონვეული ექსპერტი) ხარისხის კონტროლის შემოწმების უფლებამოსილება მიენიჭა. წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, წუნის გამოსწორების ვალდებულება დაეკისრა.

19. ხელშეკრულების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება ობიექტური მიზეზით იქნებოდა შეუძლებელი და შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება დროულად მოხდებოდა, მიმწოდებელს შემსყიდველისთვის გადახდილი ღირებულების უკან დაბრუნების ვალდებულება

ეკისრებოდა. ხელშეკრულების მე-9 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული №1 დანართით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ან 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით) გადახდის ვალდებულება წარმოემობოდა.

20. ამავე ხელშეკრულების 9.3. პუნქტით, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებლისთვის ჯარიმის (ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით), დაკისრების შესახებ დებულება განმტკიცდა.

21. ხელშეკრულების №1 დანართით სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მიწოდების ვადა განისაზღვრა, რომლის თანახმად, მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 25 თებერვალს უნდა განხორციელებულიყო.

22. 2016 წლის 25 თებერვლის №478476 მიმართვით მოპასუხეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტისგან ეცნობა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №44 ხელშეკრულების საფუძველზე, მიწოდებული თხელი ქურთუკის, შარვლის, კეპის დასამზადებელი ქსოვილი და აგრეთვე ქურთუკის ტექნიკური მახასიათებლები (ფერი) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს არ შეესაბამებოდა. ამავე მიმართვით, მოპასუხეს წუნდებული საქონლის შესაცვლელად 5-დღიანი ვადა მიეცა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების თაობაზე იქნა გაფრთხილებული. აღნიშნული წერილის პასუხად, მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ მიწოდებული საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს სრულად შეესაბამებოდა და საქონლის შეცვლაზე უარი განუცხადა.

23. 2016 წლის 31 მარტის №804644 მიმართვით მოპასუხეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტისგან 2016 წლის 27 იანვრის ხელშეკრულების 9.3. პუნქტის თანახმად, ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმის – 11745 ლარის დაკისრების თაობაზე ეცნობა.

24. მხარეთა შორის 2016 წლის 27 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება სს „ს. ბ-ის“ მიერ 2016

ნლის 26 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიით იქნა უზრუნველყოფილი. საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენდა 11 745 ლარს.

25. 2016 წლის 31 მარტის წერილის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიმართა სს „ს. ბ-ს“ და 2016 წლის 26 იანვრის საბანკო გარანტიის – 11745 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. 2016 წლის 7 აპრილს სს „ს. ბ-ს“ მიერ ბენეფიციარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თავის მხრივ, მოპასუხემ აღნიშნული თანხა ბანკს დაუბრუნა.

26. მოპასუხემ შემკვეთს ხელშეკრულებით შეთანხმებული საქონლის ნაწილი ვადის დარღვევით მიანოდა, მიწოდება შემდეგნაირად განხორციელდა: ა) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 54663 ლარი) 2016 წლის 24 მარტს – 28 დღის დაგვიანებით (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი); ბ) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 40949,3 ლარი) 2016 წლის 29 მარტს – 33 დღის დაგვიანებით (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი); გ) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 287,7 ლარი) 2016 წლის 30 მარტს – 34 დღის დაგვიანებით (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი).

27. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №44 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეს დაეკისრა საქონლის ნაწილის მიწოდების ვადის დარღვევის გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%, სულ – 5783,35 ლარი. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საქონლის მიწოდების ვადის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს შესახებ მოპასუხისათვის არ უცნობებია.

28. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმის – 11 745 ლარის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები არ არსებობს.

29. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ გასაჩივრებული ვადანყვეტილებით პირგასამტეხლოს ოდენობა 578,34 ლარამდე მართებულად შემცირდა.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

30. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი ვადანყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

31. კასატორმა მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია სატენდერო პირობები და მხარეთა შორის არსებული შეთანხმება პულოვერის

მინოდების შესახებ, როდესაც მოსარჩელეს გადასცა ნივთობრივად ნაკლის მქონე პროდუქცია და აღნიშნული ნაკლი მისთვის მიცემულ 5 დღის ვადაში არ გამოასწორა. მოპასუხის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი პულოვერის ნიმუში და საბოლოოდ მიწოდებული პროდუქტი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც ექსპერტიზის ჩატარების შემდეგაც დადასტურდა. ამდენად, მოსარჩელემ ვერ მიიღო 1000 ცალი პულოვერი და ამდენივე ქურთუკი, რის გამოც გამოიყენა ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და მოპასუხე 11 745 ლარით დააჯარიმა.

32. რაც შეეხება 1000 ცალი ქურთუკის, კეპისა და შარვლის ვადაგადაცილებით მინოდების ფაქტს, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო – 5783,35 ლარის ოდენობით, არასამართლიან ოდენობად არასწორად შეაფასა. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხეს უნდა მიეწოდებინა №1 დანართით გათვალისწინებული საქონელი ამავე დანართში მითითებულ ვადაში, არაუგვიანეს 2016 წლის 25 თებერვლისა. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხემ თხელი ქურთუკი კეპი და შარვალი მოსარჩელეს ვადაგადაცილებით მიანოდა ნაწილ-ნაწილ. სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ ვადის გადაცილება მცირეხნინია, საბოლოოდ ვალდებულება შესრულდა, შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობა არაგონივრულია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე დაწესებულებაში მომუშავე პირების ტანსაცმელი ცვეთას განიცდის და საჭიროებს დროულ ჩანაცვლებას, რათა თანამშრომლებს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში ხელი არ შეეშალოს.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, „საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე“. ამავე განჩინებით გადაწყდა,

რომ სსსკ-ის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი განხილვა მოხდებოდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

34. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

35. მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ:

36. 2015 წელს 27 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ელექტრონული ვებგვერდის საშუალებით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. აღნიშნული სატენდერო წინადადებით შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 1 000 ცალი შარვალი, თხელი ქურთუკი, ქურთუკი, პულოვერი და კეპი. სატენდერო წინადადებით განისაზღვრა შესასყიდი ობიექტის, მათ შორის, ქურთუკისა და პულოვერის მახასიათებლები.

37. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში მოპასუხემ შემკვეთს მისაწოდებელი პროდუქტის (შარვალი, თხელი ქურთუკი, ქურთუკი, პულოვერი, კეპი) ნიმუშები მიაწოდა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის 9 იანვრის პატაკის თანახმად, მოპასუხის მიერ წარდგენილი ნიმუშები

და სატენდერო წინადადება მოთხოვნილ სატენდერო პირობებს შესაბამებოდა.

38. 2015 წლის 27 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა მოპასუხე. ტენდერის ფარგლებში, 2016 წლის 27 იანვარს მოსარჩელეს, როგორც შემსყიდველს, და მოპასუხეს, როგორც მიმწოდებელს, შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №44 ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების საგანი იყო წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საველე უნიფორმის შესყიდვა.

39. ხელშეკრულების №1 დანართით განისაზღვრა საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, ბრენდი და მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა, განზომილება, რაოდენობა, ერთეულის ფასი, ჯამური ღირებულება, მიწოდების ვადა, მიწოდების ადგილი, საგარანტიო ვადა. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება 234 900 ლარს შეადგენდა. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები, ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრულ დანართი №1-ში მითითებული ხარისხის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

40. ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, ასევე, საქონლის ტექნიკური დათვალიერება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მომარაგების სამსახურის მთავარ სპეციალისტს უნდა განეხორციელებინა. ხელშეკრულების 6.3 პუნქტით, შემსყიდველის სამსახურის წარმომადგენელს (წარმომადგენლები, მონვეული ექსპერტი) ხარისხის კონტროლის შემოწმების უფლებამოსილება მიენიჭა. წუნდებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, წუნის გამოსწორების ვალდებულება დაეკისრა.

41. ხელშეკრულების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება ობიექტური მიზეზით იქნებოდა შეუძლებელი და შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება დროულად მოხდებოდა, მიმწოდებელს შემსყიდველისთვის გადახდილი ღირებულების უკან დაბრუნების ვალდებულება ეკისრებოდა. ხელშეკრულების მე-9 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული №1 დანართით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცი-

ლების შემთხვევაში, ან 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით) გადახდის ვალდებულება წარმოემობოდა.

42. ამავე ხელშეკრულების 9.3. პუნქტით, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, განისაზღვრა მიმწოდებლისთვის ჯარიმის (ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით), დაკისრება.

43. ხელშეკრულების №1 დანართით სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მიწოდების ვადა განისაზღვრა, რომლის თანახმად, მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 25 თებერვალს უნდა განხორციელებულიყო.

44. 2016 წლის 25 თებერვლის №478476 მიმართვით მოპასუხეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტისგან ეცნობა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №44 ხელშეკრულების საფუძველზე, მიწოდებული თხელი ქურთუკის, შარვლის, კეპის დასამზადებელი ქსოვილი და აგრეთვე ქურთუკის ტექნიკური მახასიათებლები (ფერი) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს არ შეესაბამებოდა. ამავე მიმართვით, მოპასუხეს წუნდებული საქონლის შესაცვლელად 5-დღიანი ვადა მიეცა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების თაობაზე იქნა გაფრთხილებული. აღნიშნული წერილის პასუხად, მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ მიწოდებული საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს სრულად შეესაბამებოდა და საქონლის შეცვლაზე უარი განუცხადა.

45. 2016 წლის 31 მარტის №804644 მიმართვით მოპასუხეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტისგან 2016 წლის 27 იანვრის ხელშეკრულების 9.3. პუნქტის თანახმად, ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმის – 11745 ლარის დაკისრების თაობაზე ეცნობა.

46. მხარეთა შორის 2016 წლის 27 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, სს „ს. ბ-ს“ მიერ 2016 წლის 26 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიით იქნა უზრუნველყოფილი. საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენდა 11 745 ლარს.

47. 2016 წლის 31 მარტის წერილის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მიმართა სს „ს. ბ-ს“ და

2016 წლის 26 იანვრის საბანკო გარანტიის – 11745 ლარის ანაზღაურება მოითხოვნა. 2016 წლის 7 აპრილს სს „ს. ბ-ის“ მიერ ბენეფიციარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. თავის მხრივ, მოპასუხემ აღნიშნული თანხა ბანკს დაუბრუნა.

48. მოპასუხემ შემკვეთს ხელშეკრულებით შეთანხმებული საქონლის ნაწილი ვადის დარღვევით მიანოდა, მიწოდება შემდეგნაირად განხორციელდა: ა) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 54663 ლარი) 2016 წლის 24 მარტს – 28 დღის დაგვიანებით (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი); ბ) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 40949,3 ლარი) 2016 წლის 29 მარტს – 33 დღის დაგვიანებით (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი); გ) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 287,7 ლარი) 2016 წლის 30 მარტს – 34 დღის დაგვიანებით (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი).

49. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №44 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეს დაეკისრა საქონლის ნაწილის მიწოდების ვადის დარღვევის გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%, სულ – 5783,35 ლარი.

50. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით.

51. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

52. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებულია პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

53. საკასაციო საჩივარში მითითებული საკასაციო პრეტენზიების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორი (მოსარჩელე) საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას მატერიალურ სამართლებრივი ნორმების დარღვევის საფუძველზე.

54. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს კასატორისათვის (მოსარჩელე) ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან

მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

55. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონგებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა

საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

57. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

58. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სა-

მართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

59. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შეუბოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

60. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების მოთხოვნასთან მიმართებით წარდგენილი შესაგებლით, მოპასუხემ მოთხოვნა არ ცნო იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოთხოვნილი თანხა – 11745 ლარი, მას უკვე გადახდილი აქვს საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად, დაუშვებელია, რომ მოპასუხეს ერთი და იმავე ვალდებულების დარღვევისათვის, თანხა ორჯერ დაეკისროს, რადგან ეს გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას.

61. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შეუბოჭილი სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამარ-

თლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (შდრ., სუსგ №ას-1338-2018,25 იანვარი, 2019 წელი, პ-17; №ას-1470-2018, 15 თებერვალი, 2019წელი, პ-41). თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელმეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან.

63. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების პპ.-2-მ აღნიშნულ კასატორის მიერ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, რომ მოპასუხის მიმართ მოსარჩელის პირველი მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მონესრიგებას სსკ-ის 629-ე, 641-ე, 394, 419-ე მუხლების საფუძველზე, ხოლო მეორე მოთხოვნა კი განაპირობებს მის

სამართლებრივ მოწესრიგებას სსკ-ის 417-ე, 420-ე მუხლების საფუძველზე.

64. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება იურიდიული ბუნებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარდობის ხელშეკრულებას წარმოადგენს. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდე შეთანხმებული საზღაური. უდავოა ის გარემოება, რომ მხარეები ხელშეკრულებით ანაზღაურების ოდენობასა (სსკ-ის 630-ე მუხლი) და წესზე (სსკ-ის 648-ე მუხლი) შეთანხმდნენ, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრეს, რომ შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით ჯარიმა დაეკისრებინა.

65. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მენარდემ ხელშეკრულების ფარგლებში დამზადებული პულოვერის ნიმუში შემკვეთს წარუდგინა, მისი ვიზუალური დათვალიერება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მიერ განხორციელდა, რომელმაც №70028 დასკვნით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნიმუში ვიზუალურად სატენდერო პირობებთან შესაბამისობაში იყო. ხელშეკრულების დადების შემდეგ მოპასუხის მიერ, ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარდგენილ იქნა პულოვერი, რის შემდგომაც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა, რათა სასაქონლო ექსპერტიზის საფუძველზე, თავდაპირველ და ბოლოს წარმოდგენილ ნიმუშებსა და სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს შორის შესაბამისობა დადგენილიყო. ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ პულოვერების ნიმუშები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად იყო განსხვავებული.

66. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობის ურთიერთობაში ფაქტობრივად მისაღწევი შედეგია ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობის წარდგენა შემკვეთისათვის. მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს უნაკლო შესრულების წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა. სსკ-ის 641-ე მუხლი კი ადგენს, თუ რა მიიჩნ-

ნევა ნივთობრივად უნაკლო ნაკეთობად/შესრულებად. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-6 ნაწილის პირველი პუნქტის თანახმად, მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები ამავე ხელშეკრულების №1 დანართში ჩამოთვლილ მაჩვენებლებთან და ხარისხთან შესაბამისი უნდა ყოფილიყო. მართალია, №1 დანართში მხოლოდ მისაწოდებელი საქონლის რაოდენობის შესახებ დათქმა გაკეთდა, თუმცა სასამართლო დაეთანხმა მითითებას, რომ ხარისხზე შეთანხმებას მენარდის მიერ საქონლის ნიმუშების გაგზავნა და ამ ნიმუშის მენარდის მიერ მოწონება უთანაბრდება. როგორც, წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, ექსპერტიზის ჩატარება, სწორედ, მენარდის მიერ თავდაპირველად გაგზავნილ ნიმუშებისა და საბოლოოდ წარდგენილ საქონელზე მოხდა.

67. ექსპერტიზის მიზანს შესაძარებელ პროდუქტებს შორის ხარისხის იდენტიფიკაციის დადგენა წარმოადგენდა, რაზეც ექსპერტიზამ უარყოფითი დასკვნა დადო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მენარდის მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებას ადგილი ჰქონდა, რაც ჯარიმის დაკისრების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

68. რადგან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიით, ამიტომაც საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმსჯელოს ზოგადად საბანკო გარანტიის სამართლებრივ ბუნებაზე და აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებს მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას [სსკ-ის ის 881-ე მუხლი}. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გა-

მოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები. (იხ., სუსგ №ას-749-709-2015, 25 სექტემბერი, 2015 წელი).

69. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის მიხედვით საბანკო გარანტია ფულადი ვალდებულებაა, რომელიც ბენეფიციარს შესაძლებლობას ანიჭებს, მოვალის (პრინციპალის) მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს გარანტს წერილობით, მოითხოვოს გადახდა და მიიღოს მოთხოვნილი თანხა. მას ამისათვის არ სჭირდება წინასწარ მიმართვა რომელიმე იურისდიქციის ორგანოსთვის, თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ასეთი მიდგომა ბენეფიციარის უფლების დასაცავად, გამოწვეულია საქონლის/მომსახურების სწრაფად მზარდი ბრუნვით როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, როცა ყველა მხარე დაინტერესებულია ხელშეკრულებების სწრაფად შესრულებაში და მისი შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გარემოება დადგება.

70. საბანკო გარანტიის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან ის არის, რომ იგი არ არის დამოკიდებული ხელშეკრულებაზე, რომლის უზრუნველსაყოფადც გაიცა გარანტია. საბანკო გარანტია არააქცესორული ვალდებულებაა. იგი ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ შემთხვევაშიც უზრუნველყოფს, როცა საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნა არ წარმოშობილა, მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულდა, შეწყდა ან ბათილია. (საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საბანკო გარანტიის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, შესაბამისად, დამატებით ამ საკითხზე იხილეთ: MuKo HGB/ Welter, Zahlungsverkehr, Rn.3; Sorgel/Heuser Vorb. zu §765-778 BGB, Rn.64; MüKo BGB, Habersack Vorb. zu §765-778 BGB, Rn.20; BGH WM 1999, 73; Graf von Westphalen/ Jud/Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S.166; Staudinger/ Horn Vorb. zu zu §765-778 BGB, Rn.320; Goode, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, S.55).

71. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე გარანტის მხრიდან შესასრულებელია იმ მომენტიდან, როდესაც ბენეფიციარი გარანტს წარუდგენს მოთხოვნას ფულადი თანხის გადახდის შესახებ. მხარეები საბანკო გა-

რანტიში ჩვეულებრივ თვითონ განსაზღვრავენ იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს გადახდა. მოთხოვნის წარდგენის ფორმალური წინაპირობების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება „პირველივე მოთხოვნისთანავე გადახდის გარანტიის“ დროს ექცევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ბენეფიციარს ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, რისი კომპენსირებაც სწორედ ამ ფორმალურ პროცედურაზე აქცენტის გადატანით ხდება.

72. სამოქალაქო კოდექსის 885.I მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტს წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს. საბანკო გარანტიის ჯეროვანი მოთხოვნისათვის აუცილებელი წინაპირობაა იმის დადგენაც, რომ, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარდგენა უფლებამოსილი პირის მიერ ხდება. სწორედ ამას ემსახურება წერილობითი ფორმა. იგი მიზნად ისახავს ბანკის დარწმუნებას, რომ მოთხოვნის წარმდგენი ნამდვილად ბენეფიციარია. ბენეფიციარის მოთხოვნას თან უნდა დაერთოს გარანტიაში მითითებული დოკუმენტები. როგორც წესი, გარანტს ეს დოკუმენტები ორიგინალში უნდა წარედგინოს. ასლების წარდგენა არ არის საკმარისი. გარდა ამისა, მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევის ფაქტი და ასევე ის, თუ რაში გამოიხატა ეს დარღვევა. იმის მტკიცება, ნამდვილად წარმოეშვა თუ არა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებიდან მოთხოვნა პრინციპალის მიმართ, ბენეფიციარს არ ეკისრება.

73. როგორც წესი, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის განსაზღვრა კონკრეტული თარიღის მითითებით ხდება. ვადის მიზანია ბენეფიციარის მოთხოვნის განხორციელების დროში შეზღუდვა. ბენეფიციარს გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენა მხოლოდ მაშინ ჩაეთვლება დროულად, თუკი გარანტს მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით გარანტიაში მითითებული ვადის გასვლამდე წარედგინება (სსკ-ის 885.III მუხლი). ვადის გაშვების რისკი ბენეფიციარს ეკისრება. თუკი მოთხოვნა დროულად იქნა წარდგენილი, მაგრამ უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, ბენეფიციარი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე ჯეროვანი წესით ხელახლა წარადგინოს მოთხოვნა და მოითხოვოს დაკმაყოფილება.

74. ბენეფიციარის მოთხოვნა არ გულისხმობს იმას, რომ გარანტმა ყველა შემთხვევაში, უპირობოდ უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა. ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, გარანტი

ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პრინციპალს და გადასცეს მას მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. დაუყოვნებელ შეტყობინებაში იგულისხმება შეტყობინება „ბრალეული გაჭიანურების გარეშე“ და იგი, როგორც წესი, მომდევნო საბანკო სამუშაო დღეა. ამ რეგულირებას ის გარემოება უდევს საფუძვლად, რომ საბანკო გარანტია სხვისი, კერძოდ, პრინციპალის ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გაიცემა. გარანტი პრინციპალის ვალდებულებას ასრულებს ბენეფიციარის მიმართ და შემდეგ ამ უკანსკნელის მიმართ რეგრესული წესით ითხოვს იმ თანხის გადახდას, რომელიც მან გადაუხადა ბენეფიციარს.

75. სსკ-ის 887.I მუხლის თანახმად, გარანტი უფლებამოსილია (და ვალდებულიც) შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტიის პირობებს. ბენეფიციარის მოთხოვნისა და მასზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობის შემოწმება გარანტიის პირობებთან მოიცავს იმასაც, თუ რამდენად დაიცვა ბენეფიციარმა მოთხოვნის წარდგენისას სსკ-ის 885-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. თუ შემოწმების შედეგად გარანტი დაასკვნის, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ან მასზე თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს ან ისინი გარანტს წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ, იგი უარს ეტყვის ბენეფიციარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტს უფლება არა აქვს სხვა საფუძვლით განაცხადოს უარი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარანტმა უარის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს. გარანტის უარი არ ნიშნავს, რომ გარანტის ვალდებულება წყდება. ბენეფიციარს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საბანკო გარანტიის მოქმედების დარჩენილი დროის განმავლობაში ხელმეორედ წარადგინოს მოთხოვნა გარანტის მიმართ და მოსთხოვოს მას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

76. თუკი ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ პრინციპალმა განახორციელა ბენეფიციარის დაკმაყოფილება, ე.ი. ძირითადი ვალდებულება შესრულდა, შეწყდა რაიმე სხვა საფუძვლით, ან ბათილია სსკ-ის 887.II მუხლის შესაბამისად, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს. მხოლოდ ამგვარი შეტყობინება არ წარმოადგენს ვალდებულებისგან გარანტის გათავისუფლების საფუძველს. თუ ბენეფიციარის მოთხოვნა განმეორდა, მაშინ საბანკო გარანტიის არააქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, გარანტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთ-

ხოვნა. გარანტიის შეტყობინება უზრუნველყოფს იმას რომ, გარანტი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად ბენეფიციარის წინაშე, ვიდრე იგი ბენეფიციარისგან არ მიიღებს ხელმეორე მოთხოვნას და მისი განხილვის გონივრული ვადა არ ამოინურება. გარანტს რეგულური ანაზღაურების უფლება არ წარმოეშობა მაშინ, თუკი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურება გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ განახორციელა.

77. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესრულების გარანტიის (საბანკო გარანტიის ერთ-ერთი სახე) მთავარ მიზანს შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის კომპენსირება წარმოადგენს. მსგავსი გარანტია დამკვეთის მხრიდან საკონტრაქტო ფასის შესაბამისი სრული მომსახურების მიღებას და იმ დანაკარგის კომპენსაციას ემსახურება, რაც შეიძლება კონტრაქტის არასათანადო შესრულებით წარმოიშვას, ასევე, ფარავს იმ რისკს, რაც მიწოდებულ პროდუქციაში დეფექტების აღმოჩენასთან არის დაკავშირებული. ამდენად, შესრულების საბანკო გარანტია არასათანადო შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მაკომპენსირებელ საშუალებას წარმოადგენს და მისი ჯარიმის-სანქციის ფორმით გამოყენება საბანკო გარანტიის მიზანთან წინააღმდეგობაში მოდის.

78. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის სამართლებრივ ბუნებაზეც.

79. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ პირველადი და მეორადი/დამატებითი მოთხოვნები. პირველადია მოთხოვნები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან; მეორადი/დამატებითი კი ის მოთხოვნებია, რომლებიც წარმოიშობა, როდესაც პირველადი მოთხოვნების შესრულებისას ჩნდება პრობლემა (შდრ. მ. თოდუა /ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 38.). პრობლემა შესაძლოა იყოს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში.

80. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი, სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღა-

ურების ვალდებულება ანუ პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით. ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს და ინვესტ ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას. (შდრ. ჰ. ბილინგი, / პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, 33.). ზიანის ანაზღაურება მოთხოვნა წარმოიშობა, მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნის შესრულებისას ჩნდება პრობლემა. პრობლემა შეიძლება მდგომარეობდეს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას.

81. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველია, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეა. იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიხატება სამართალდამრღვევისათვის განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით, კერძოდ – ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით, რომლებიც ითვისნივთებენ ვალდებულების დამრღვევი პირისათვის იმის ზემოთ დამატებითი მოქმედების შესრულების დაკისრებას, რაც მას ვალდებულებით ევალებოდა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაქტისა მეორეს წინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის წინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.

82. ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, კერძოდ: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდამრღვევის ბრალი.

83. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანი წარმოადგენს სა-

მართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს. სამოქალაქო სამართალში ზიანის ცნებაში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი პირის ნების გარეშე მისი ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების ხელყოფაა, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ (მდრ. საქართველოს უზენაესი სამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ.35.).

84. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონტინენტური ევროპის კერძო სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება ვალდებულების ნატურით შესრულების მოთხოვნასთან მიმართებით, როგორც დამატებითი ხასიათის და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელია ან/და კრედიტორმა დაკარგა ინტერესი ასეთი შესრულების მიმართ. საერთო სამართალი კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას განიხილავს, როგორც კრედიტორის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას და მას ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია ვალდებულების შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში. ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით, როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები ადგენენ საერთო ზოგად პრინციპებს: ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია. კრედიტორი არ უნდა დაზარალდეს მატერიალურად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. მოვალის მხრიდან ზიანის ანაზღაურებამ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი მოვალე ვალდებულებას ჯეროვნად შეასრულებდა. დოქტრინაში ასეთ მიდგომას უწოდებენ დადებით სახელშეკრულებო ინტერესების დაცვას, განსხვავებით უარყოფითი სახელშეკრულებო ინტერესების დაცვისაგან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს

კრედიტორის იმ მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიმე იგი იქნებოდა, თუკი ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდებოდა და რომლის დაცვა, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ბათილად იქნება აღიარებული.

85. ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით. როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, „პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულღებელი გარემოება.

86. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულების შესრულების დრო და ადგილი. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას დოქტრინაში გამოიყენება ე.წ. „აბსტრაქტული ზიანის“ ცნება. იგი გამოითვლება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს შესრულების სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის.

87. ვალდებულების დარღვევის ხასიათის მიხედვით, დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განასხვავებენ საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს. საკომპენსაციო ზიანი შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას. ის ცვლის შესრულებას. ამიტომაც, კრედიტორს ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ისე საკომპენსაციო ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის 409-ე მუხლი). იგივე წესია დადგენილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §249-ის II აბზაცით. მორატორული ზიანი მოვალის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილების შედეგია („Mora“ – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ვადის გადაცილებას“). მოვალის მიერ ვადის გადაცილება ვალდებულების დროულ შეუსრულებლობას უკავშირდება. შესრულების დროულობა კი ხელშეკრულებიდან ან კანონიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. მნიშვნელოვანია, რომ კრედიტორმა ვადამოსულობის შემდეგ იმგვარი მოქმედება განახორციელოს, რომელიც მოვალეს შესრულების ვალდებულებას შეახსენებს. კანონით გათ-

ვალისწინებულ ასეთ მოქმედებას მოვალის გაფრთხილება წარმოადგენს (სსკ-ის მე-400 მუხლი).

88. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედიტორს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. განსხვავება საკომპენსაციო და მორატორულ ზიანს შორის იმაში მდგომარეობს, რომ საკომპენსაციო ზიანისას გამოირიცხულია იმავდროულად ვალდებულების ნატურით შესრულება, ხოლო მორატორული ზიანის დროს ვალდებულება სრულდება, მაგრამ ვადის გადაცილებით.

89. ყველა სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. არაპირდაპირი ზიანი, ეს ისეთი ზიანია, რომელიც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო საერთოდ მოვალისათვის. როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცილილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცილილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის დასჯაში. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია“ ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოვალემ უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც კრედიტორი იქნებოდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე იგი ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ, ასევე ვალდებულების შესრულების დრო და ადგილი.

90. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი მართლსაწინა-

აღმდევო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებს თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

91. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს. მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება. სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა.

92. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს არის თუ არა ზიანი მოვალის ქმედების უშუალო შედეგი.

93. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როდესაც მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*). დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია. (მდრ. ჰ. ბოელინგი/პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, 2009, გვ.48.). და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახე-

დიდან დასტურდება. სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო. მაშასადამე, უშუალო ანუ ადექვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.

94. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, საყოველთაოდაა აღიარებული სახელმეკრულებო სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა.

ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში, თუმცა, თითოეული სამართლებრივი სისტემა ბრალის საკითხისადმი კონცეპტუალურად განსხვავებულ მიდგომას ავლენს: საერთო სამართლის სივრცეში ვალდებულების არაბრალეული შეუსრულებლობა არ აფუძნებს ვალდებულების დარღვევის დასრულებულ შემადგენლობას, იგი მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას წარმოშობს, ხოლო ზიანის ანაზღაურების მეორადი მოთხოვნის უფლება უპირობოდ ბრალზე დამოკიდებული რჩება. ამრიგად, საერთო სამართალი, ვალდებულების დარღვევის საფუძვლად ბრალის არსებობის განსაზღვრით, დასაწყისშივე გამორიცხავს არაბრალეული შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. კონტინენტურ სამართალში ვალდებულების შეუსრულებლობა, მოვალის ბრალეულობის მიუხედავად, აფუძნებს ვალდებულების დარღვევის ობიექტურ კატეგორიას, რაც განაპირობებს მეორადი მოთხოვნის უფლები-სადმი კრედიტორის ხელმისაწვდომობას, ხოლო ბრალი, როგორც სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის უზოგადესი წინაპირობა,

მნიშვნელობას იძენს გამოსაყენებელი მეორადი მოთხოვნის უფლების განსაზღვრისათვის მას შემდეგ, რაც სახეზეა ვალდებულების დარღვევის დასრულებული შემადგენლობა. კრედიტორის ბრალი გავლენას ახდენს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობაზე, ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და სანაცვლო შესრულების მოთხოვნის უფლების არსებობაზე აისახება.

95. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 395-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს“. ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფის I აბზაცისა, რომლის თანახმად, მოვალე პასუხს აგებს განზრახვის ან გაუფრთხილებლობისათვის, თუკი უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი, ან არ გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან. (შდრ. ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ. 375.).

96. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. ჯერ კიდევ რომის კერძო სამართალი განზრახვად (dolus) მიიჩნევდა პირის მიერ შეგნებულად მოქმედების ჩადენას მისი მართლწინააღმდეგობის გათვალისწინებით, ხოლო გაუფრთხილებლობად (culpa) – საჭირო წინდახედულობისა და ყურადღებიანობის არგამოჩენას, არასაკმარის სწრაფვას არამართლზომიერი შედეგის თავიდან ასაცილებლად, ოღონდ ბოროტების ჩადენის პირდაპირი სურვილის – განზრახვის გარეშე.

97. განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახი ბრალის ფორმა გულისხმობს ვალდებულების დარღვევას სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა მნიშვნელოვანი გარემოების ცოდნისა და მოვალის მიერ საკუთარი ვალდებულებების გაცნობიერების პირობებში. შესაძლებელია,

ხელშეკრულების მხარეს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს საქმის ნამდვილ ვითარებაზე – ცდებოდეს როგორც კონკრეტულ ფაქტებში, ასევე სამართლის ნორმის შინაარსში, არ ცნობდეს თავს ვალდებულად. ამ შემთხვევაში განზრახი ბრალის არსებობა გამოირიცხება, სანაცვლოდ მოვალეს დაეკისრება პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, რადგან ვალდებულების დარღვევა განიხილება როგორც მისი დაუდევარი მოქმედების შედეგი.

98. განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“. ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტიური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების ცოდნას და გაცნობიერებას იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ დატვირთვას ანიჭებს. განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორიცაა ნებელობითობა, გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახი ბრალის სახეებად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.

99. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სსკ-ი არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იცნობს. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას. კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგიისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას“, რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა

კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა.

100. მხარის ბრალეულობის განსაზღვრისათვის ევროპის სახელეკრულებო სამართლის პრინციპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების მონაწილე მხარის გონივრულ ქცევას, რომელიც 1:302 მუხლის თანახმად, დგინდება იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს გონივრულად იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. გონივრულობის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება: ხელშეკრულების ბუნება და მიზანი, კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, სავაჭრო ჩვეულებები და პრაქტიკა, ასევე მხარეთა პროფესიის თავისებურება. (მდრ. Lando/Beale, Principles of European Contract Law. Part I and II., Kluwer Law International, The Hague/London/Boston., 2000, 126).

101. პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მოვალე სუბიექტურად რამდენად უნარიანია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. მას მოეთხოვება წინდახედულობის ის ხარისხი, რაც ჩვეულებრივ მიღებულია სამოქალაქო ბრუნვაში და მოსალოდნელია მის პროფესიის საშუალო დონის წარმომადგენლისაგან. გაუფრთხილებლობისას გამოირიცხება სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობა და კეთილგონიერება, რასაც ვალდებულება, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით, აკისრებს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტს. ხშირად გაუფრთხილებლობა გულისხმობს გონივრული მოქმედების განუხორციელებლობას მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად ან ზიანის შესამცირებლად, თუმცა განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობა ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის გარეშე.

102. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და (culpa lata) და მარტივი გაუფრთხილებლობა (culpa levis). უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფ-

რობილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულ-
მოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვე-
ვა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შე-
სახებ პირდაპირ უთითებს კანონი.

103. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301
მუხლის III ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პი-
რის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებუ-
ლად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმო-
შობისაკენ, ასევე უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებუ-
ლი ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თავისი ქცე-
ვის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია მიზანმიმარ-
თულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დად-
გომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას პირი
არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს
და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად. ამრიგად,
ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები ერთმანეთი-
საგან განასხვავებს განზრახ და მარტივ გაუფრთხილებლობას.
(მდრ. Lando/Beale, Principles of European Contract Law, Part I and II,
Kluwer Law International, The Hague/London/Boston, 2000, 125.).

104. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად
დამდგარი ზიანი შესაძლებელია ერთდროულად იყოს როგორც მო-
ვალის, ისე თავად კრედიტორის ბრალეული ქმედების შედეგი. ამ
შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალის სამართლებრივი კატეგო-
რია, როდესაც ბრალეულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი გან-
საკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სსკ-ის 415-ე მუხლის თანახ-
მად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქ-
მედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზ-
ღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად
რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი. ეს წესი გამოი-
ყენება მაშინაც, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება
მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემციერებინა ზია-
ნი. (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი – „თანაბ-
რალეულობა“.)

105. ქართული სამოქალაქო სამართალი, ზოგადი პრინციპის სა-
ხით აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ გა-
მონაკლისის სახით ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხის-
მგებლობის შესაძლებლობასაც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა
შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც სახელშეკრულებო,
ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

106. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკა-

საციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადექვატურობა; სავარაუდოობა. მოვალე არ არის ვალდებული კრედიტორი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს, ვიდრე ზიანის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა.

107. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჯარიმა პირგასამტეხლოს ერთ-ერთი სახეა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირგასამტეხლოს ამ სახეს იცნობს. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 419 I მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც, კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც, თუკი პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ჯარიმამ კრედიტორის იმ ინტერესის ანაზღაურება უნდა მოახდინოს, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა. შესაბამისად, მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში ჯარიმის განსაზღვრა ხდება იმ ოდენობით, რათა მან ვალდებულების დარღვევის შედეგად გამონვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა მოახდინოს.

108. კრედიტორი არ არის შეზღუდული ჯარიმის არჩევასთან ერთად ასევე ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ამის შესაძლებლობას იძლევა სსკ-ის 419 II მუხლი. ვინაიდან ჯარიმის სახით დადგენილი პირგასამტეხლო ემსახურება იმ ინტერესის ანაზღაურებას, რომელიც კრედიტორს ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიმართ გააჩნდა, დაუშვებელია ჯარიმისა და მთლიანი ზიანის კუმულაცია. კრედიტორს არ შეუძლია მოვალეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის „საზღაური“ ორმაგი ოდენობით გადაახდევინოს.

109. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თუ კრედიტორმა ვალდებულების დარღვევის შედეგად ზიანი განიცადა, მაშინ მოთხოვნილი ჯარიმა, ზიანის მინიმალურ ოდენობად ჩაითვლება. სწორედ აქ ვლინდება პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია, რომელიც განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებას გულისხმობს. პირგასამტეხლოს თანხის განსაზღვრისას კრედიტორმა იცის, რომ მას ვალდებულების დარღვევით გამონვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში პირგასამტეხლოს სახით ზიანის მინიმალური ოდე-

ნობა გარანტირებულად, ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების გარეშე, მარტივად და სწრაფად აუნაზღაურდება. ჯარიმის თანხის ზევით არსებული ზიანის ანაზღაურება კი, კრედიტორს ზიანის საერთო წესების დაცვით შეუძლია მოითხოვოს. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ კრედიტორმა დაამტკიცოს იმ განცდილი ზიანის ოდენობა, რომელიც პირგასამტეხლოთი მთლიანად ვერ დაიფარა.

110. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის 2016 წლის 27 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება სს „ს. ბ-ის“ მიერ 2016 წლის 26 იანვარს გაცემული საბანკო გარანტიით იქნა უზრუნველყოფილი. საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით, გარანტიის თანხის ოდენობად 11 745 ლარი განისაზღვრა. როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 2016 წლის 31 მარტის წერილის საფუძველზე, სს „ს. ბ-ს“ მიმართა და 2016 წლის 26 იანვრის NPE... საბანკო გარანტიის თანხის – 11745 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. სს „ს. ბ-ის“ მიერ ბენეფიციარის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საბანკო ანგარიშზე საგარანტიო თანხა – 11 745 ლარი ჩაირიცხა. თავის მხრივ, მოპასუხემ სს „ს. ბ-ის-თვის“ საგარანტიო თანხის 11 745 ლარის დაბრუნება უზრუნველყო.

111. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა პირველ საკასაციო მოთხოვნასთან დაკავშირებით, ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რადგან სამოქალაქო სამართალში მოქმედი კეთილსინდისიერი ქცევის პრინციპი, გამორიცხავს ერთი და იმავე დარღვევის გამო, ორმაგი ფინანსური სანქციის დაკისრების მართლობიერებას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში საბანკო გარანტიის არსებობა შემკვეთისთვის შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის მყისიერად ანაზღაურების მიზანს ემსახურება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც შემკვეთმა (კასატორი) ბანკისგან საბანკო გარანტია გამოითხოვა, აღნიშნულით შემკვეთის მიზანი არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ მიღწეულია და მენარდისათვის იმავე დარღვევისთვის ხელმეორედ პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა, ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერებისა და უსაფუძვლო გამდიდრების დაუშვებლობის პრინციპებს, შესაბამისად, არ არსებობს პირველი საკასაციო (სასარჩელო) მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

112. კასატორის მეორე მოთხოვნა შეეხება მოპასუხისათვის

1000 ცალი ქურთუკის, კეპისა და შარვლის ვადაგადაცილების გამო, ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დაკისრებას 5783,5 ლარის ოდენობით. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო – 5783,35 ლარის ოდენობით არასამართლიან ოდენობად არასწორად შეაფასა და არასწორად ჩათვალა, რომ ვადის გადაცილება მცირეხნიანია, საბოლოოდ ვალდებულება შესრულდა, შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობა არაგონივრულია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე დაწესებულებაში მომუშავე პირების ტანსაცმელი ცვეთას განიცდის და საჭიროებს დროულ ჩანაცვლებას, რათა თანამშრომლებს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში ხელი არ შეეშალოს.

113. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა ამ ნაწილში წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკამაყოფილების საფუძველია, შემდეგი გარემოებების გამო:

114. დადგენილია, რომ მოპასუხემ შემკვეთს ხელშეკრულებით შეთანხმებული საქონლის ნაწილი ვადის დარღვევით მიანოდა, მიწოდება შემდეგნაირად განხორციელდა: ა) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 54663 ლარი) 2016 წლის 24 მარტს – **28 დღის დაგვიანებით** (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი); ბ) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 40949,3 ლარი) 2016 წლის 29 მარტს – **33 დღის დაგვიანებით** (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი); გ) თხელი ქურთუკი, შარვალი და კეპი (ღირებულება 287,7 ლარი) 2016 წლის 30 მარტს – **34 დღის დაგვიანებით** (მიწოდების ვადა 2016 წლის 25 თებერვალი). სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №44 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეს დაეკისრა საქონლის ნაწილის მიწოდების ვადის დარღვევის გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%, სულ – 5783,35 ლარი.

115. მოპასუხემ მიიჩნია, რომ მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი საფუძვლები იარსებებდა, სასამართლოს შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც მოცემულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს არაუმეტეს 0,02%-ის ოდენობით და პირგასამტეხლოს ოდენობაც 578,34 ლარით შეიძლება შემოიფარგლოს.

116. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კო-

დექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლებამოვალეობები. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (შდრ. სუსგ №ას-1079-2019, 30 სექტემბერი, 2019).

117. სსკ-ის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

118. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა. (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016).

119. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კა-

ნონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016).

120. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან ((საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის. შესაბამისად, იხ., Gottwald, in MuKo BGB, 6. Aufl. Band II §340, m. 15; Rieble in Staudinger BGB Komm, Buch 2, Neubearbeitung 2009, §340, Rn. 71; BGH NJW 1975, S. 164f. Walchner in Dauner-Lieb/Langen BGB Komm. 2. Aul., Rn. 6; BGH NJW 1963, S. 1197). პირგასამტეხლოს მოთხოვნა კრედიტორს ყოველთვის გააჩნია მიუხედავად იმისა განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის მას ასევე არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკი-

ცების ვალდებულება. (BGH NJW 1975, S164f). §340 მუხლის მეორე აზრის მიხედვით წინადადება არ ბოჭავს კრედიტორს მხოლოდ შეთანხმებული პირგასამტეხლოს მოთხოვნაში, არამედ მას შეუძლია პირგასამტეხლოს აღმატებული შესრულების ინტერესის დაკმაყოფილება მოითხოვოს (§340 Abs 2 Satz 2). თუმცა პირგასამტეხლოს ოდენობაზე აღმატებული ზიანის არსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს. (შდრ. Lindacher, in Sorgel BGB Kommentar, Band 5/3, 13. Aufl. §340, Rn 11.) პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართულნი, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. (შდრ. Rieble in Staudinger BGB Kommentar, Buch 2, Neubearbeitung, 2009, §340, Rn 71.)

121. წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერად მიიჩნევა პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

122. **კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც არის იგი დადგენილი კანონმდებლის მიერ.** მეორე განმასხვავებელ ნიშნად, მისი განსაზღვრულობა გვევლინება – კანონმდებელი ყოვეთვის ადგენს მის ან კონკრეტულ ოდენობას, ან/და წესს, რომლის მიხედვითაც უნდა იქნეს განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლოს ოდენობა. კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია, მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას გადაუხადოს დასაქმებულს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტი (იხ., სუსგ №ას-1298-1318-2011, 07 ნოემბერი, 2011 წელი). ასევე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ №177 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, მზღვე-

ველი ვალდებულია, მიმწოდებლისა და ავთიიქისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ამ წესით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლისა და ავთიიქის სასარგებლოდ გადაიხადოს 2014 წლის 8 აგვისტომდე პერიოდზე ასანაზღაურებელი თანხის 0,1%, ხოლო 2014 წლის 8 აგვისტოდან შემდგომ პერიოდზე – ასანაზღაურებელი თანხის 0,02%, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მზღვეველს მთლიანი თანხის გადახდის ვალდებულები-საგან (იხ., სუსგ №ას-1171-1116-2014; 02 თებერვალი, 2014 წელი; №ას-1284-1226-2013, 24 მარტი, 2014 წელი). სასამართლოს არ შეუძლია შეამციროს კანონით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა. (ნორმატიულად განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობის სასამართლოს მიერ შემცირების შეუძლებლობის შესახებ იხ., სუსგ №ას-1171-1116-2014; 02 თებერვალი, 2014 წელი);).

123. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განასხვავებენ პირგასამტეხლოს ისეთ სახეებსაც, როგორცაა საურავი და ჯარიმა. საურავი, უმეტესად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ვალდებუ-ლი პირი არ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ დროში. ჯარიმი-საგან განსხვავებით, შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის სახით დადგენილი პირგასამტეხლოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა ვალდებულების შესრულებისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის კუმულაციის შესაძლებლობას. საურავი იცავს კრედიტორის იმ ინტერესს, რომელიც მას ვალდებულებ-ის დროული შესრულების მიმართ გააჩნია. საურავის თავისებურე-ბა იმაში მდგომარეობს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვე-ვაში კონკრეტულ ოდენობაში ან პროცენტებში დადგენილი საურავი ერიცხება მოვალეს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე და ამით აიძულებს შეასრულოს ვალდებულება. ჯარიმისაგან განსხვავებით, საურავის დროს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფი ფუნქცია უფრო ნათლად ჩანს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. საურავი ირიბი იძულებითი ხასიათის ღონისძიებაა: ვალდებულმა პირმა იცის, რაც უფრო მეტი დრო გავა და რაც უფრო გვიან შეასრულებს ვალდებულებას, მით მძიმე იქნება მისი ფინანსური ტვირთი.

124. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების წარ-მოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფი-ლი და დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერ-ძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფ-

ლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს“.

125. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ისეთ ორ ძირითად პრინციპს, როგორცაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპების დაცვის მიზნით, არსებობს ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობაც.

126. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ხასიათის ნორმებით. იმპერატიული ხასიათის ნორმები ორ ძირითად მიზანს ემსახურება: ა) მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობები შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ მათი შინაარსი ეწინააღმდეგება სამართლებრივ მართლწესრიგს; ბ) იმპერატიული ნორმები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს და უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების დადება კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდეს.

127. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგჯერ თავად ნორმის მიზნიდან გამომდინარე დგინდება მისი იმპერატიული ხასიათი. ნორმისათვის გვერდის ავლას, სწორედ ამ ნორმის მიზანი შეიძლება კრძალავდეს. მაგალითის სახით გამოდგება სსკ-ის 420-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ აუცილებელია მხარეები გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ.

128. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, შესაძლებელია ისინი იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დაანგება მოვალეს. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ახდენს პირგასამტეხლოს „სამართლიან“ შემცირებას ანუ სასამართლოს ამოცანაა მხარეები დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარე-

თა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად, რადგან პირგასამტეხლოს უმთავრესი მიზანი კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენაა და არა მისი უსაფუძვლო გამდიდრება მოვალის ხარჯზე.

129. ამდენად, კანონმდებელმა დაანესა მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურვავს უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე იმ შემთხვევაში, როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულ და სამართლიან ფარგლებს სცდება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგულიხმოა პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, არაერთ სამოქალაქო დავაზე განმარტა საკასაციო სასამართლომ: „მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც მთავარია ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ. (იხ. სუსგ-ები: №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი; №ას-708-662-2107, 11.01.2017წელი; №ას-222-209-2015, 06 მაისი, 2015 წელი, №ას-1199-1127-2015, 13 აპრილი, 2016 წელი);

130. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას.

131. პირგასამტეხლოს ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულე-

ბის დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება.

132. სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ნაკისრი ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალის ხარისხსაც, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი შეამცირებს მას იმ ოდენობამდე, რომელსაც ვალდებულების დარღვევის თანაზომიერად და სამართლიანად მიიჩნევს (შდრ. ირ. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თანაავტორობით, თბილისი, 2014, გვ. 604-605.).

133. იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმოშობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულება უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარმოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია. (შდრ. Friesecke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn.5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. გარდა ამისა, სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამორიცხულია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის

გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნას ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია (შდრ. Gottwald, in MüKo BGB, §343, Rn. 16, Rieble in Staudinger BGB Komm, §343, Rn. 68).

134. მოსარჩელისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობა სასამართლოს გააჩნია იქამდე, სანამ მხარე აღნიშნულ თანხას კრედიტორს აუნაზღაურებს. პირგასამტეხლოს შემცირება დაუშვებელია, როცა პირგასამტეხლო უკვე ნებაყოფლობით გადახდილია. (იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით მონესრიგებას, უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო გამოცდილებას მოცემულ საქმეზე გავლენა ვერ ექნება და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების დაფუძნება უმართებულოა. თუმცა, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის ყურადსაღებია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 345-ე მუხლის დანაწესი, კერძოდ, თუ მოვალე სადავოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმ საფუძველით, რომ მან ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მაშინ მას ეკისრება ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი (იხ. იან კროპჰოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი – სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014 წელი, გვ. 241; Brox/Henssler, Handelsrecht, Verlag C.H. Beck, München, 2009, Rn. 380)“. (შდრ. სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი).

135. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებისათვის მოვალის შუამდგომლობა აუცილებელია, რადგან არ დაირღვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

136. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხემ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობა დაარღვია და მას წარმოემვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა. აღნიშნული

გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს დასაბუთებული საკასაციო შესაგებელი არ წარმოუდგენია.

137. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყოფონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებათა, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

138. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოფს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

139. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების

არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობითი დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რისი ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნის თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ, კრედიტორმა უნდა ამტკიცოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალით არ არის განპირობებული.

140. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე სამუშაოს დროულად შესრულების ვადები სამჯერ, კერძოდ, 28, 33 და 34 დღით დაარღვია, შესაბამისად, მას წარმოეშვა მოსარჩელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა.

141. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობის დადგენა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების ჯამით, (ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტი) კანონით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს მიზნებს სცდება და მოვალის მიმართ გადაჭარბებული სანქციის დაწესებას გამოიწვევს, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობაც, არ შეესაბამება სადავო შემთხვევაში პირგასამტეხლოს ობიექტურ და სამართლიან მოცულობას.

142. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეზე დარიცხული პირგასამტეხლოს 10-ჯერ შემცირების საფუძველი არ არსებობდა და, შესაბამისად, ქვემდგომი სასამართლოების დასკვნა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს აღნიშნული ოდენობით შემცირებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელია. შესაბამისად, კასატორის (მოსარჩელე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადანყვეტილება კი ნაწილობრივ დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების აბსოლუტური საფუძველი და შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების

სამართლებრივი საფუძველია.

143. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

144. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი (სარჩელი) 5783,35 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეს უნდა დაეკისროს მოსარჩელის (კასატორი) სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გადახდა 2890 ლარის ოდენობით.

145. სსსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო კასატორი (მოსარჩელე) გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 300 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის გაჩინების ნაწილობრივ შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სარ-

ჩელი შპს „ნ-ის“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ნ-ს“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით 2890 ლარის გადახდა;

5. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 27 სექტემბრის განჩინება შპს „ნ-ისათვის“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასარგებლოდ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ჯარიმის – 11 745 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

6. შპს „ნ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 300 ლარის გადახდა;

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბე

ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-376-360-2016

17 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. შპს „ე-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან შემძენი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ნ-ის“ (შემდგომში

– მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან გამყიდველი) მიმართ მოპასუხისათვის 152 531,43 ლარისა და მიუღებელი შემოსავლის – 101 867,6 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის 26 მარტს მოპასუხის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა მიიღო მოსარჩელემ და გაიმარჯვა ცხრა ლოტში. აუქციონის პირობები მითითებული იყო ვებგვერდზე განთავსებულ ხელშეკრულებაში, რომლის მე-4 მუხლის მიხედვით (მონაწილე ვალდებული იყო, თითოეულ ლოტზე ბეს სახით გადაეხადა საგარანტიო თანხა), შემძენმა საერთო ჯამში ბეს სახით გადაიხადა 152 531,43 ლარი. ვებგვერდზე განთავსებული ხელშეკრულებით მხარეებს შორის ძირითადი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების თარიღად განსაზღვრული იყო 2015 წლის 20 მაისი, თუმცა გამყიდველმა უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე და მყიდველს დაუბრუნა არა მის მიერ ბეს სახით გადახდილი თანხის ორმაგი ოდენობა, არამედ – 152 531,43 ლარი. შემძენის განმარტებით, ხელშეკრულების საგანზე საკუთრების უფლების მოპოვების შემთხვევაში, იგი კვლავ შეძლებდა ნივთის რეალიზაციას და მიიღებდა შემოსავალს, სულ მცირე 101 867,6 ლარს, შესაბამისად, გამყიდველის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მას მიადგა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

2. მოპასუხის პოზიცია:

სარჩელის წინააღმდეგ მოპასუხემ სამართლებრივი შესაგებებელი წარადგინა, კერძოდ, მას სადავოდ არ გაუხდია 2015 წლის 26 მარტს ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და მასში საერთო ჯამში ცხრა ლოტზე გამარჯვებულად მოსარჩელის გამოცხადების ფაქტი, რომელმაც, თავის მხრივ, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადაიხადა 152 531,43 ლარი. გამყიდველის განმარტებით, ხელშეკრულების დადებაზე უარი განპირობებული იყო ორმხრივი ინტერესით, ვინაიდან საჯარო აუქციონზე გატანილი ნივთების თვისებები იყო არაზუსტი. შესაგებლით მოპასუხე არ დაეთანხმა შემძენის მიერ ბეს გადახდის ფაქტს, რადგანაც ელექტრონულ საჯარო ხელშეკრულებაში ბე ნახსენებია საბანკო გარანტიასთან ერთად, შესაბამისად, ისინი განიხილება როგორც ალტერნატიული ვარიანტები. ხელშეკრულებაში მითითებული ბე და საბანკო გარანტია წარმოადგენენ არა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, არამედ, აუქციონში მონაწილეობის პირობაა, რომლის გარეშე ქონების შეძენის მსურველი არ დაიშვება ვაჭრობაში. მითითებულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნებით, მოპასუხემ შეასრულა ვალდებულება. რაც შეე-

ხება სარჩელით მოთხოვნილ მიუღებელ შემოსავალს, შესაგებლის თანახმად, შემქმნს არ წარუდგენია ზიანის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გამყიდველს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 152 531,43 ლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირის მიერ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად გადახდილი თანხის ბედ კვალიფიკაციისა და შესაბამისად, ვალდებულების დამრღვევი მხარისათვის (ბეს მიმღებისათვის) მისი ორმაგად დაბრუნების დავალდებულების კანონიერება, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ხელშეკრულების თანახმად, აუქციონში მონაწილე პირის მიერ გადახდილი თანხა წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებ-

რივ საშუალებას, რომლითაც წინარე ხელშეკრულების დადება და-
დასტურდა, ხოლო ბეს მიმღების მხრიდან ძირითადი ხელშეკრუ-
ლების დადების ვალდებულების დარღვევის გამო, არსებობდა მის-
თვის ბეს ორმაგად დაკისრების წინაპირობა. კასატორი არ ეთან-
ხმება გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას
და პრეტენზიას აცხადებს სასამართლოს მხრიდან მატერიალური
სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გა-
დანყვეტილების მიღების თაობაზე (სსსკ-ის 393-ე მუხლის პირვე-
ლი და მე-2 ნაწილები).

**1.2. საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების
მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასა-
მართლოების მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშ-
ვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:**

1.2.1. 2015 წლის 26 მარტს მოპასუხემ გამოაცხადა ელექტრო-
ნული აუქციონი და გასაყიდად გაიტანა გამოუსადეგარი სამგზავ-
რო ვაგონები, ელმატარებლის ვაგონები და ელმავლები. გამყიდ-
ველის მიერ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ იქნა საჯარო ხელშეკ-
რულება, რომელშიც აისახა ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის,
აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი და პი-
რობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანგარიშსწორების წესი
(შემდგომში – საჯარო ხელშეკრულება);

1.2.2. საჯარო ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებს წარმოად-
გენდნენ მოპასუხე და ნებისმიერი პირი, რომელიც დაეთანხმებო-
და ვებგვერდზე საწარმოს მიერ გამოქვეყნებულ ხელშეკრულე-
ბას. ამასთან, მონაწილეობის სურვილი და ხელშეკრულების პირო-
ბების მონახება დასტურდებოდა ვებგვერდზე განთავსებული რე-
გისტრაციის ღილაკზე ხელის დაჭერით;

1.2.3. რეგისტრაციის (ავტორიზაციის) შემდგომ, მონაწილეს ეძ-
ლეოდა შესაძლებლობა, ინტერნეტაუქციონის გზით შეეძინა, სარ-
გებლობის ან მართვის უფლებით მიეღო საწარმოს ქონება კონკრე-
ტული ლოტის შესაბამისად. სავალდებულო პირობად განისაზღვრა
საწარმოს მიერ დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდა, რომლის
წარმოდგენაც შესაძლებელი იყო უპირობო და გამოუხმობი საბან-
კო გარანტიის ან/და ბეს გადახდის გზით;

1.2.4. მომხმარებელს, რომელსაც სურდა მონაწილეობა მიეღო
ინტერნეტაუქციონში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარან-
ტია უნდა წარედგინა ან/და ბე უნდა გადაეხადა თითოეულ ლოტ-
ზე. ინტერნეტაუქციონის დასრულების შემდეგ დამარცხებულს
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე დაუბრუნდებოდა
ინტერნეტაუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 7 კალენდა-

რულ დღეში;

1.2.5. ხელშეკრულების 4.13. მუხლის თანახმად, თუ ინტერნეტაუქციონი არ შედგებოდა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებული პირი არ მიიღებდა მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, მის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხებოდა საწარმოს ანგარიშზე, ხოლო, 4.14. მუხლის მიხედვით, ინტერნეტაუქციონის შედეგები უქმდებოდა და გამარჯვებული მონაწილის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხებოდა საწარმოს ანგარიშზე თუ:

ა) ინტერნეტაუქციონში მონაწილე გამარჯვებული ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარს განაცხადებდა;

ბ) საწარმოს მიერ განსაზღვრულ ვადაში იგი სრულად არ გადაიხდიდა საფასურს;

გ) დაარღვევდა ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

1.2.6. მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დადებულიყო ინტერნეტაუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში;

1.2.7. მოპასუხემ მონაწილეობა მიიღო გამყიდველის მიერ 2015 წლის 26 მარტს გამოცხადებულ ინტერნეტაუქციონში და გამარჯვებულად გამოცხადდა ცხრა ლოტზე. აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით კი, საჯარო ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საერთო ჯამში გადაიხადა 152 531,43 ლარი;

1.2.8. იმ საფუძველით, რომ აუქციონში გაყიდული ქონების (ელმატარებლის ვაგონები და ელმავლები) ტექნიკური მდგომარეობის აღწერის აქტებში წონის განსაზღვრისას დაშვებულ იქნა ხარვეზები, რაც ზეგავლენას ახდენდა ნასყიდობის საგნის თვითღირებულებაზე, გამყიდველმა უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე, ამასთან, მყიდველს დაუბრუნა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი 152 531,43 ლარი.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებ-

რივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.4. საკასაციო საჩივრით შეუდავებელი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიზნით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირველესად უნდა გაირკვეს ინტერნეტაუქციონში მონაწილეობით რა უფლება-მოვალეობები წარმოეშვათ მხარეებს, რისი წინაპირობაც მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლის ნორმების მოძიებაა, რამდენადაც საკითხის სწორი გადაჭრა ხელს შეუწყობს მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის სამართლებრივი დატვირთვისა და სარჩელის საფუძვლიანობის განსაზღვრას.

1.4.1. ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც ინტერნეტაუქციონს შეეხება, „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მომსახურების განევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №141 დადგენილებაა, თუმცა ამ დადგენილებით მოწესრიგებულია არა ინტერნეტაუქციონის გზით დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები, არამედ, ინტერნეტაუქციონის წარმოების წესი და პირობები. იმ ვითარებაში კი, როდესაც არც სამოქალაქო კოდექსი და არც სხვა სპეციალური ნორმატიული აქტი საკითხის პირდაპირ რეგულირებას არ ადგენს, დღის წესრიგში დგება სასამართლოს მხრიდან კანონის განმარტების აუცილებლობა, რაც კანონის ბუნდოვანი ტექსტის დაზუსტებას და ნორმის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტაციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე მისი აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინაა, როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო კანონის ტექსტისა და სამართლის ძირითადი პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზან-

შენიშნულაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში, კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი (იხ. სუსგ №ას-221-213-2012, 24 ივლისი, 2012 წელი).

1.4.2. მხარეთა შორის უდავოა, რომ მათი ნება ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, მხარეთა უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელ ძირითად ნორმას სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი წარმოადგენს, რომლის შინაარსიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნასყიდობა ორმხრივი გარიგებაა, სადაც, როგორც გამყიდველს, ისე – მყიდველს გააჩნია კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები. ნორმის პირველი ნაწილი ადგენს გამყიდველის სინალაგმატურ ვალდებულებას, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც უშუალოდ ნასყიდობის საგნის, ისე – ამ საგანზე ნამდვილი უფლების გადაცემით, ხოლო, მყიდველი მოვალეა გადაიხადოს საფასური. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებს, როგორიცაა: ნასყიდობა, ჩუქება, სამისდღეშიო რჩენა, სესხი, გაცვლა. ეს ხელშეკრულებები განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად მხარისათვის (შემძენისათვის) საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს. განკარგვითი ხელშეკრულებები თავის თავში მოიცავს, როგორც აბსოლუტურ (სანივთო) ისე – ფარდობით (ვალდებულებით) ელემენტებს, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის დანაწესი საკითხის ამომწურავი მოწესრიგებით არ შემოიფარგლება და ურთიერთობის რეგულაციისათვის მხედველობაშია მისაღები, როგორც ვალდებულებითი, ისე – სანივთო სამართლისათვის დამახასიათებელი დანაწესები.

1.4.3. ინტერნეტაუქციონის მეშვეობით ქონების გასხვისების თაობაზე გამყიდველის ქცევის სამართლებრივი შეფასების შედეგად საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ ეს ქმედება წარმოადგენდა მოწვევას ოფერტზე (სკ-ის 329.2 მუხლი). ამ მხრივ სასამართლო მხედველობაში იღებს საქმეში წარმოდ-

გენილი საჯარო ხელშეკრულების შესავალ ნაწილს, სადაც ოფერენტი ხელშეკრულების არსებით პირობებზე იწვევს ნებისმიერ პირს, რომელიც დაეთანხმება ვებგვერდზე, www.eauction.ge-ზე სანარმოს მიერ გამოქვეყნებულ ხელშეკრულებას. ოფერენტი საჯარო ხელშეკრულების შემდეგი დებულებით აზუსტებს პირთა წრეს, რომელთა მიმართაც ახორციელებს შეთავაზებას – ესენი არიან პირები, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას და გახდებიან ავტორიზებული მომხმარებლები (იხ. ხელშეკრულების მე-2 მუხლი – რეგისტრაციის პირობები, ასევე, მე-3 მუხლი – ავტორიზაცია), რაც თავის მხრივ, ადასტურებს აქცეპტანტის მიერ საჯარო ხელშეკრულების გაცნობის ფაქტს (ვებგვერდზე განთავსებული რეგისტრაციის ლილაკზე დაჭერით დაეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს). თავის მხრივ, უდავოა ისიც, რომ საჯარო ხელშეკრულება შეიცავს შეთანხმებას ხელშეკრულების არსებით პირობებზე: ნასყიდობის საგანი; სანყისი ფასი, ასევე, შეძენილზე უფლების გადაცემის დრო – სასყიდლის გადახდა და ხელშეკრულების გაფორმება.

1.4.4. სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერენტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით გარიგების დადების ფაქტი დგინდება ნების გამომვლენისა და ამ ნების ადრესატის/ადრესატების ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით, კერძოდ, შეთავაზების ნამდვილობა განისაზღვრება მისი შინაარსით, ოფერტში უნდა იყოს იურიდიული ბოჭვისკენ მიმართული ოფერენტის ნება, რომლის გამოთქმული პირობით აქცეპტირების შემთხვევაში ნარმოიშობა ვალდებულება. სწორედ იურიდიულად განსაზღვრული, კონკრეტული პირის/პირთა ჯგუფის მიმართ გამოვლენილი ოფერენტის თვითმოქმედი ნება განასხვავებს ოფერტს (სკ-ის 329.1 მუხლი) ოფერტზე მოწვევისაგან (სკ-ის 329.2 მუხლი). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ინტერნეტაუქციონის შემთხვევაში, გამყიდველის მიერ საქონლის სარეალიზაციოდ გამოყენებული ვებსაიტის აქტივაცია, განიხილება ნამდვილი ნების გამოვლენად და არა მოწვევად ოფერტზე. თავის მხრივ, ოფერტის იურიდიულ ბუნებას არ ეწინააღმდეგება სპეციალური დათქმები, როგორცაა, მაგალითად: ფასები საბოლოო არ არის, მიწოდება ექვემდებარება დამატებით შეთანხმებას და ა.შ.

ამდენად, კასატორის პოზიცია, რომ საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, რაც ასევე დასტურდება ხელშეკრულების 6.1. მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ოფერენტის უფლება, შეცვალოს ინტერნეტაუქციონის წესი და პირობები, ასევე, შეწყვიტოს იგი ტექნიკური თუ სხვა პრობლემის გამო), არასწორია, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 329-ე და 330-ე მუხლების კონტექსტში, ოფერტი ხელშეკრულებად განიხილება აქცეპტირების ეტაპიდან, წინადადების დადასტურებამდე ოფერენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოორიცხოს სახელშეკრულებო თვითბოჭვა.

1.4.5. განსახილველ საკითხს თუ მივუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველის საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს სწორედ ოფერტს – მოპასუხის მზაობას, შეთავაზებაში გამოთქმული პირობით შევიდეს ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობაში აუქციონში გამარჯვებულ პირთან, თუმცა, უნდა შეფასდეს თვითონ საჯარო ხელშეკრულება რა სამართლებრივი დატვირთვის მატარებელია. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ ეს ხელშეკრულება არასწორად მიიჩნია წინარე ხელშეკრულებად, რომელთან მიმართებაშიც, იურიდიულად არათავსებადია ბეზე შეთანხმების დაშვება, რამეთუ წინარე ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოშობს ძირითადი ხელშეკრულების დადების და არა ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვალდებულებას, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ საჯარო ხელშეკრულების წინარედ მიჩნევას საფუძვლად დაუდო თავად ამ ხელშეკრულების 5.2. მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმდებოდა ხელშეკრულება ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი ლოტის საინფორმაციო ველში მითითებული პირობებით, რაც შემძენს საფასურის სრულად გადახდის ვალდებულებას წარმოუშობდა და სწორედ საფასურის სრულად გადახდას უკავშირებდა გამყიდველი ხელშეკრულების საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობას. საკასაციო პალატა კვლავ მიუბრუნდება ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.4.1. პუნქტში განვითარებულ მსჯელობას „განკარგვითი ხელშეკრულებების“ სავნივთო და ვალდებულებითი ბუნების თაობაზე და განმარტავს, რომ

მოდრავი ნივთების მიმართ საკუთრების უფლების წარმოშობის თვალსაზრისით კანონი რაიმე სპეციალურ წესს არ ითვალისწინებს, იგი ფორმათავისუფალ გარიგებას წარმოადგენს და კლასიკურ შემთხვევაში, ნივთის შემძენის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით, ან მისთვის მესამე პირისაგან გამოთხოვის უფლების მინიჭებაში ვლინდება (სკ-ის 186-ე მუხლი), ამ ზოგადი წესისაგან გამონაკლისს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 188-ე (1) მუხლით რეგულირებული პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი, რომელიც გამყიდველის უფლებადამზღვევი ნორმა და ადგენს ქცევის შემდეგ წესს: თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვისებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ. მოხმობილი ნორმის აღწერილობითი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს გადადების სუსპენზიური პირობა – სამართლებრივი შედეგის დადგომა უკავშირდება სამომავლო მოვლენას – ფასის სრულად გადახდას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირობადებული საკუთრების ვალდებულებით-სამართლებრივ მხარეს წარმოადგენს ოფერენტის მიერ პირობის ცალმხრივად დათქმა, რომელსაც ეთანხმება აქცეპტანტი და შესაბამისი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, შემძენს საკუთრების უფლების გადაცემამდე (ფასის სრულად გადახდამდე) შენარჩუნებული აქვს მფლობელის ობლიგატორული უფლებები, ხოლო გამყიდველს, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. რაც შეეხება ამ ტიპის ხელშეკრულების სანივთო-სამართლებრივ ხასიათს, იგი ძირითადად მესაკუთრის უფლებრივი კავშირია ნივთთან, კერძოდ, პირობის დადგომამდე გამყიდველი საკუთრებას არ კარგავს ქონებაზე, ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში კი, ხელშეკრულების შეწყვეტისას ინარჩუნებს ვინდიკაციური სარჩელის უფლებას და სხვა.

1.4.6. ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ოფერტის გაკეთებას ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე რეგისტრირებული/ავტორიზებული მომხმარებლისათვის და ამ ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება იდებოდა იმ მომხმარებელთან, რომელიც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდე-

ბოდა, ანუ უმაღლესი ფასის წარდგენით ახორციელებდა გამსხვი-სებლის შეთავაზების აქცეპტირებას გადადების პირობით ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე, თავის მხრივ, გადადების პირობა ითვალისწინებდა ფასის გადახდის ვადას, რაც წერილობით უნდა გაფორმებულიყო და აქცეპტანტს ამ მომენტიდან წარმოემშობოდა ქონებაზე საკუთრების უფლება.

1.5. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ საჯარო ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულებას ადგენენ (4.2.; 4.11.; 4.12. პუნქტები), ერთად მოიხსენიებიან აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ გადასახდელ ბედ და საბანკო გარანტიად, რაც, სამართლებრივად გადახდილი თანხის არა ბედ, არამედ, აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებელ საგარანტიო თანხად მიიჩნევა. პალატის მოსაზრებით, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში (განსხვავებით წინარე ხელშეკრულებისაგან), როდესაც სახეზეა ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობა, სავსებით დასაშვებია გამოყენებულ იქნეს მხარეთა მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის, როგორც სანივთო, ისე – ვალდებულებითი საშუალება. ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებათაგან ერთ-ერთს კი, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლით გათვალისწინებული ბე, რომელსაც ორმაგი ბუნება აქვს: ერთი მხრივ, ადასტურებს ხელშეკრულების დადებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას.

1.6. საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს ბეს სამართლებრივი ბუნების თაობაზე და წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.4.- 1.2.5. პუნქტების გათვალისწინებით, თვლის, რომ აუქციონში მონაწილე პირის მხრიდან ვებგვერდზე ავტორიზაციით/რეგისტრაციით, ბეს გადახდით, აუქციონში მონაწილეობითა და ცხრა ლოტზე უმაღლესი ფასის შეთავაზებით მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გამყიდველის ბრალით იქნა დარღვეული (ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ეს გარემოება საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის), ეს გარემოება კი, გამყიდველს, როგორც ბეს მიმღებს წარმოუშობს მის ორმაგად დაბრუნების ვალდებულებას, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს გამყიდველის მიერ მოსარჩელისათვის გადახდილი ბეს სრულად დაბრუნების ფაქტი, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხისათვის და-

მატებით 152 531,43 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი მართებულად იქნა მიჩნეული საფუძვლიანად. რაც შეეხება ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურების მოთხოვნას, ამ ნაწილში საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის თაობაზეც მოსარჩელეს სააპელაციო საჩივარი არ წარუდგენია, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) და იგი საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს აღარ წარმოადგენს.

1.7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს ბეს მიმღების მიერ მისი ორმაგად დაბრუნების ვალდებულების თაობაზე და თვლის, რომ კასატორს არ მიუთითებია იმგვარ ფაქტებსა და გარემოებებზე, რაც ამ განჩინების გაუქმების საფუძველი გახდებოდა (სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლები). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

2. სასამართლო ხარჯები:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა კასატორის მოთხოვნა, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

დასკვნა:

1. სს „ს-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბა

ბადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-140-2019

14 ნოემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. თ. მ-ძემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მონინააღ-
მდგე მხარე, კასატორი ან კრედიტორი) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში შპს „ო.ს.“ (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორის
მონინააღმდგე მხარე, კომპანია ან მოვალე) მიმართ, მოპასუხი-
სათვის 5 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის და-
კისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2016
წლის 24 ივნისს მოპასუხის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა –
დირექტორმა დაწერა ხელწერილი, რომლითაც აღიარა მოსარჩე-
ლისაგან ქონების გადაცემის ღირებულების ნაწილის – 5 000 აშშ
დოლარის მიღება ბეს სახით. მხარეთა შორის ბეს ხელშეკრულება
კანონით დადგენილი წესით არ გაფორმებულა. ხელწერილი ეხე-
ბოდა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების (მდებარე ქ. თბილის-
ში, ... რაიონში, დ. ბ. ქ№...-ში, ს/კ №01.13.06.0...) ნასყიდობას, კერ-
ძოდ, მხარეთა შორის ნასყიდობის საგანი იყო ზემოხსენებულ მი-
სამართზე მდებარე რეასართულიანი შენობა-ნაგებობის მე-... სარ-
თულზე არსებული მოპასუხის კუთვნილი 300,6 კვ.მ ფართიდან,
დაახლოებით, 80 კვ.მ საოფისე ფართი. მხარეთა შორის გარკვეუ-
ლი შეუთანხმებლობის გამო საბოლოოდ გარიგება არ შემდგარა,
რის გამოც მოპასუხე კრედიტორს დაჰპირდა თანხის დაბრუნებას.
მიუხედავად მოსარჩელის მხრიდან დამატებით ვადის განსაზღვრი-
სა, მოვალეს ხსენებული თანხა არ დაუბრუნებია.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით კომპანიამ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ იგი მოსარჩელეს არ დაპირებია თანხის დაბრუნებას, რაც შეეხება მის დაუბრუნებლობას, მოპასუხის მითითებით, თანხა წარმოადგენდა ბეს და რადგანაც ვალდებულება კრედიტორის მხრიდან იყო დარღვეული, ბე დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის გადახდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოვალემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კრედიტორმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრების შესახებ მოთხოვნის კანონიერება, კერძოდ, საკასაციო პალატა იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილი ხელწერილი თავისი შინაარსით ადასტურებს თუ არა მხარეთა შეთანხმებას ბეს ხელშეკრულების არსებით პირობებზე და

ნასყიდობის/ბეს მიმცემის მხრიდან ვალდებულების დარღვევა განუხორციელებადს გახდის თუ არა ამ თანხის დაბრუნების მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამონმებს. საკასაციო საჩივრის თანახმად:

1.1.1. პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ხელწერილი ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებად, რომელიც, სამოქალაქო კოდექსის 183-ე, 59-ე, 69-ე (3) (5) მუხლების თანახმად, ბათილია. მოცემულ ხელწერილს გარიგების ერთ-ერთი მხარე – მოსარჩელე არ ადასტურებს ხელმონწერით, ხოლო მასზე ხელმომწერ პირს – ბ-ქს, არ გააჩნდა მოსარჩელის სახელით გარიგების დადების უფლებამოსილება. სხვა შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ხელწერილი ხელმონწერილი იქნებოდა უფლებამოსილი პირების მიერ, მისი ნამდვილობა უნდა დამონმებულიყო სანოტარო წესით/უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო რეესტრში. რაც შეეხება გარიგების რეგისტრაციას, რაზეც აპელირებს სააპელაციო პალატა, ხსენებული დღის წესრიგშიც არ დამდგარა;

1.1.2. მხარეთა შორის ბეს ხელშეკრულება არ გაფორმებულა და არც მოპასუხეს მიუღია სადავო თანხა ბეს ანგარიშში. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი განაპირობა კომპანიის მხრიდან გასაყიდი ფართის გაუმიჯნაობამ. მოგვიანებით, კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი – დირექტორი დაჰპირდა კასატორს, რომ დაუბრუნებდა მიღებულ თანხას, რასაც კრედიტორი დაეთანხმა მათ შორის არსებული ხანგრძლივი ნაცნობობის გამო, თუმცა, დამატებითი ვადის განსაზღვრის მიუხედავად, მოვალე არ აბრუნებს თანხას.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშ-

ვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააკსაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. მხარეთა შორის სიტყვიერად იქნა მიღწეული შეთანხმება მოსარჩელის მიერ მოპასუხისგან უძრავი ქონების შეძენის შესახებ;

1.2.2. 2016 წლის 24 ივნისს გაფორმდა ხელწერილი, რომლის შესაბამისადაც მოსარჩელემ მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელს, დირექტორს გ. ჩ-ს გადასცა 5 000 აშშ დოლარი;

1.2.3. ჩ-ი არის შპს „ო.ს.“ დირექტორი და 2016 წლის 24 ივნისის ხელწერილში მითითებული თანხა მიღებული აქვს მოპასუხე საზოგადოებას;

1.2.4. მხარეთა სიტყვიერი შეთანხმება ვერ განხორციელდა, მოსარჩელეს უძრავი ქონება არ შეუძენია;

1.2.5. მოპასუხე არ უარყოფს, რომ კრედიტორისათვის ხელწერილში მითითებული 5 000 აშშ დოლარი არ დაუბრუნებია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. ვიდრე საკასაციო პრეტენზიათა დეტალურ ანალიზს შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს ბათილი გარიგების საკითხი. სამოქალაქო კოდექსი იცნობს ბათილი გარიგების რამდენიმე სახეს, პირობითად ეს გარიგებები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს და მათ მიეკუთვნება: უცილოდ ბათილი გარიგებები (რომლებიც ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ მოწესრიგებას); მერყევად ბათილი გარიგებები (როდესაც მათი ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე); საცილო გარიგებები (როდესაც გარიგების იურიდიული ძალა შეცილების უფლების მქონე პირის მხრიდან შეცილების დადგენილ ვადაში განხორციელებაზეა დამოკიდებული). გარიგებათა ამგვარი კლასიფიკაცია გავლენას ახდენს ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისა და შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნის განხორციელების საკითხზე. სასამართლოს მოვალეობას, მოთხოვნის საფუძვლიანობის საკითხის გარკვევისას, წარმოადგენს გარიგების იურიდიული ძალის შეფასება, კერძოდ, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისას სასამართლო ყოველთვის-

საა ვალდებულებები, შეამონმოს მხარეთა შორის წარმოიშვა თუ არა ვალდებულებითი ურთიერთობა და თუკი დადგინდა იურიდიულად არანამდვილი ძალის გარიგების დადების ფაქტი, მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულების ფარგლებში უნდა შემონმდეს. უცილოდ ბათილი გარიგებები სამართლის დოქტრინაში მოხსენიებული ასევე, როგორც არარა გარიგებები, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.

1.3.2. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მას მოპასუხისაგან უნდა შეეძინა უძრავი ქონება (სკ-ის 477-ე მუხლი), მხარეთა შორის რაიმე გარიგება არ დადებულა, მან მოპასუხეს გადასცა 5 000 აშშ დოლარი, რაც მოპასუხემ დაადასტურა ხელწერილით, მოგვიანებით ნასყიდობის ხელშეკრულება აღარ გაფორმდა და მოითხოვს გადაცემული თანხის დაბრუნებას. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მოპასუხემ არსებითი ხასიათის შედაგება განახორციელა და მიუთითა, რომ მხარეებმა გააფორმეს ბეს ხელშეკრულება (სკ-ის 421-ე მუხლი) და მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხა მოპასუხემ მიიღო ბეს ანგარიშში. ვინაიდან ხელშეკრულება მოსარჩელის მხრიდან იქნა დარღვეული, მოპასუხე უფლებამოსილია უარი განაცხადოს ბეს დაბრუნებაზე (სკ-ის 423.1 მუხლი), ამდენად, სასამართლოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს, დაადგინოს დაიდო თუ არა მხარეთა შორის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (სკ-ის 323 და 183.1 მუხლები), რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ბე.

1.3.3. მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების შედეგად ირკვევა, რომ მოსარჩელეს მართლაც სურდა მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების შეძენა, რამაც განაპირობა მისი მხრიდან სადავო თანხის მოპასუხისათვის გადაცემა. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების საკითხზე: სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით კანონმდებელი აწესრიგებს ხელშეკრულების დადების ზოგად წესს და განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. განსახილველი ნორმა მიუთითებს ხელშეკრულების დადების რამდენიმე ელემენტზე: მხარეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე (სკ-ის 327.2, ასევე 477-ე მუხლები) და შეთანხმება უნდა მოხდეს შესაბამისი ფორმით.

1.3.4. ფორმის საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ

მართებულად განსაზღვრა უძრავი ნივთის ნასყიდობის ფორმა, რასაც იზიარებს საკასაციო პალატა და მიუთითებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მნიშვნელოვანია გარიგების, როგორც სანივთო, ისე – სახელშეკრულებო თავისებურებების გათვალისწინება, რამდენადაც სახელშეკრულებო წესების დაცვა იწვევს სანივთო უფლების გადაცემას. უძრავი ნივთის კანონით დადგენილი რეჟიმიდან გამომდინარე, როგორც სანივთო, ისე – ვალდებულებითი სამართალი შეიცავს შესაბამის დანაწესებს ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 323-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ უძრავი ნივთის გასხვისება უნდა მოხდეს წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება ქონების რეესტრში რეგისტრაციას, საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ რეესტრი არ წარმოადგენს გარიგების ფორმას, არამედ, იგი სანივთო უფლების გადაცემის ფაქტის რეგისტრაციას ემსახურება და იცავს, როგორც შემძენის ინტერესებს, ისე – მესამე პირის ინტერესებს, ვინაიდან მოძრავი ნივთისაგან განსხვავებით (სკ-ის 158.1), უძრავი ნივთის მესაკუთრედ მიიჩნევა პირი, რომელიც ასეთად რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (სკ-ის 185-ე მუხლი).

1.3.5. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის დამოუკიდებელი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, თუმცა, მოპასუხის კვალიფიციური შედავებიდან გამომდინარე, უნდა შემონმდეს ბეს ხელშეკრულების ნამდვილობა, კერძოდ, ეს გარიგება ადასტურებს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას. ხსენებული საკითხის შეფასების მიზნით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხზე:

– საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, „მე, გ. ჩ-მა თ. მ-ძისაგან მივიღე ქონების გადაცემის ღირებულების ნაწილი თანხა (5 000 დოლარის ოდენობით) „ბეს“ სახით. აღნიშნული თანხა სრულად გადახდილი უნდა იყოს 2016 წლის 15 ივლისამდე. პირობის დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება „ბეს“ სახით გადახდილი თანხა 5 000 დოლარი“. ხელწერილი თ. მ-ძის სახელით ხელმოწერილია ვინმე მ. ბ-ის, ასევე, თანხის მიმღების მიერ. სხვა რაიმე დათქმას ხელწერილი არ შეიცავს;

– იმის შესაფასებლად, ხსენებული შინაარსის დოკუმენტი წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულებას, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხა-

რე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. მოხმობილი ნორმის დისპოზიცია ხაზს უსვამს ბეს ხელშეკრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას – გარიგების დადების დადასტურებას. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბეს ხელშეკრულებით დადასტურებისათვის, სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან და 328-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბეს ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით უნდა დაიდოს და ხელმოწერილი იყოს ხელშემკვერელი მხარეების მიერ, თუმცა, იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რომელთაც, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან და 477-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მიეკუთვნება ნასყიდობის საგანი, ფასი, გადახდის წესი და პირობები. ამგვარ დათქმებს მოცემულ შემთხვევაში, ბეს ხელშეკრულება არ შეიცავს, მასში ზოგადადა საუბარი ქონების ნასყიდობასა და თანხის დაკისრებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები იმყოფებოდნენ წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში და მათ შორის წერილობითი გარიგება არ დადებულა.

1.3.6. ამდენად, ვინაიდან თანხის მიღების ხელწერილი არ შეიცავს მხარეთა შეთანხმებას არსებით პირობებზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულება, არამედ იგი ადასტურებს მხოლოდ მოპასუხის მხრიდან თანხის მიღების ფაქტს, შესაბამისად, ამგვარი ხელწერილი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზემოხსენებულ წესებს და სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს (სწორედ იმ საფუძვლიდან გამომდინარე, რომ არსებობს ე.წ ბეს ხელშეკრულების ბათილად ცნობის ზემოხსენებული წინაპირობები, პალატა სკ-ის 69.3 მუხლის ფარგლებში აღარ აფასებს მოსარჩელის მხრიდან მასზე ხელმოწერის ფაქტს), არამედ, უფრო მეტად საავანსო ანგარიშსწორებას ნააგავს.

1.3.7. საკასაციო პალატა მიუბრუნდება იმ უდავო გარემოებას, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა. ასეთ ვითარებაში კი, სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობაში, კერძოდ, კონდიქციის წესებში უნდა იქნეს მოძიებული. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა სა-

ფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.3.-1.2.5.) საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა განხორციელებადია, რამდენადაც უდავოა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა, ხოლო თანხა მოპასუხეს მიღებული აქვს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რის გამოც, ე.წ „ვითომ-კრედიტორი“ ვალდებულია თანხის მოსარჩელისათვის დაბრუნების გზით აღადგინოს ის წონასწორობა, რომელსაც მისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამდიდრება და შესაბამისად, კასატორის ქონებრივი დანაკლისი მოჰყვა.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთან, რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა დაბრუნების საფუძვლები, სასამართლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 5 000 აშშ დოლარის მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრების თაობაზე.

2. პროცესის ხარჯები:

2.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და

საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.2. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯები შეადგენს 1 028,56 ლარს. ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი, მოპასუხეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ხსენებული თანხის გადახდა.

2.3. რაც შეეხება ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, მხარეთა მიერ სამართალწარმოებისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება:
 - 2.1. თ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
 - 2.2. შპს „ო.ს.“ (ს/კ №...) თ. მ-ძის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 5 000 აშშ დოლარის გადახდა.
 - 2.3. შპს „ო.ს.“ (ს/კ №...) თ. მ-ძის (პ/№...) სასარგებლოდ ასევე დაეკისროს 1 028,56 ლარის ანაზღაურება.
3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა პისრულით

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1252-1174-2015

24 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. კომპანია B.G.S.T. A.S.-სა (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, გამყიდველი, კრედიტორი, კომპანია) და შპს „ი. კ-ს“ (შემდეგში: პირველი მოპასუხე, მოვალე) შორის 2008 წლიდან არსებობდა ნასყიდობის ურთიერთობა ზეპირი ფორმით {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე მუხლი}.

2. 2008-2010 წლებში მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს მიაწოდა 4 528 671,17 ევროს ღირებულების საქონელი, საიდანაც 2010 წლის 30 სექტემბრის ინვოისების საფუძველზე მიაწოდა 210,845,52 ევროს, ხოლო 2010 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბრის თვეში სულ მიაწოდა 542 006,71 ევროს ღირებულების საქონელი.

3. 2011 წლიდან მოსარჩელეს პირველი მოპასუხისათვის საქონელი აღარ მიუწოდებია.

4. პირველმა მოპასუხემ მოსარჩელეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 24 ივნისის ჩათვლით გადაუხადა 510 560,71 ევრო {სსკ-ის 477.2-ე მუხლი}.

5. დარჩენილ 32 446 ევროს ფარგლებში მიწოდებული პროდუქციის ღირებულებაზე მოსარჩელემ გააკეთა ფასდაკლება.

6. 2010 წლის 15 სექტემბერს, მოსარჩელესა და შპს „ა.ს.“ (შემდეგში, მეორე მოპასუხე, დილერი) შორის დაიდო სადილერო ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა იმ ვადებისა და პირობების განსაზღვრა, რომლებიც არეგულირებენ დილერის მიერ კომპანიისაგან შესყიდული საქონლის მიყიდვას მომხმარებლებსათვის მაღაზიაში.

7. ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, დილერი აცხადებდა თანხმობას და იღებდა ვალდებულებას, კომპანიისაგან საექონელი შეესყიდა ბითუმად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მოქმედი პრინციპების ფარგლებში დროდადრო წერილობით ყოფილიყო ინფორმირებული კომპანიისაგან და საცალოდ გაეყიდა იგივე საექონელი თავის მომხმარებლებზე მაღაზიაში, იმავე მოქმედი პრინციპების ფარგლებში. კომპანია თავის მხრივ, თანახმა იყო მიწოდების აღნიშნულ პირობებზე.

8. ხელშეკრულების 2.7 მუხლის თანახმად, დილერს კომპანიისათვის უნდა გადაეხადა ზამთრისა და ზაფხულის სეზონის განმავლობაში შესასყიდი საქონლის მთლიანი ღირებულება, კომპანიის მიერ გაცემული ინვოისის თარიღიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის შემდეგ; თუ დილერი გააჭიანურებდა გადახდას, დაგვიანებისათვის გათვალისწინებული იყო კომპანიის მიერ დადგენილი ტარიფით პროცენტის დარიცხვა. ხელშეკრულების ამავე პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, დილერი ვალდებული იყო, კომპანიის ანგარიშზე გადაეღებინა ავანსის სახით 250 000 ევრო, 2011 წლის გაზაფხულ-ზაფხულის კოლექციის მიწოდების ანგარიშში.

9. 2010 წლის 23 სექტემბერს დილერმა (მეორე მოპასუხემ) მოსარჩელეს ავანსად გადაურიცხა 250 000 ევრო.

10. 2011 წლის 20 იანვრიდან 2012 წლის 2 მაისამდე მოსარჩელემ დილერს 1 007 710,38 ევროს ღირებულების საექონელი მიანოდა.

11. მეორე მოპასუხემ მოსარჩელეს მთლიანად გადაუხადა მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. მოსარჩელემ 2013 წლის 6 სექტემბერს მეორე მოპასუხეს წარუდგინა პრეტენზია და მოსთხოვა დავალიანების, 387 325.42 ევროს, დაუყოვნებლივ და უპირობოდ დაფარვა. პრეტენზიის ადრესატმა არ გადაიხადა მოთხოვნილი თანხა. მოგვიანებით, 2014 წლის ივლისში, საქმის სასამართლოში წარმოების დროს, მოსარჩელე ეყრდნობოდა მისივე ინიციატივით ჩატარებულ სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ვალდებულება არ იყო შესრულებული და დავალიანება შეადგენდა 356 028,54 ევროს.

13. 2013 წლის 27 სექტემბერს, კომპანიამ სარჩელი აღძრა მოპასუხეთა წინააღმდეგ და მოითხოვა:

13.1 პირველი მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების ძირითადი თანხის 400 000 ევროს, ზიანის 103 000 ევროს და საპროცენტო სარგებლის 2013 წლის 1 ოქტომბრიდან სასა-

მართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე გადასახდელი ძირითადი თანხის წლიური 9%-ის (ყოველთვიურად 3 000 ევროს) დაკისრება.

13.2. მეორე მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დავალიანების ძირითადი თანხის 356 028,54 ევროს, ზიანის (2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის სექტემბრის ჩათვლით) 66 755,25 ევროს და საპროცენტო სარგებლის, 2013 წლის 1 ოქტომბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე გადასახდელი ძირითადი თანხის წლიური 9%-ის (ყოველთვიურად 2 670,21 ევროს), დაკისრება.

14. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

14.1 პირველმა მოპასუხემ წარადგინა როგორც მოთხოვნის შემწყვეტი, ისე მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი (ხანდაზმულობა) შესაგებელი. სახელდობრ:

14.1.1. მიწოდებული საქონლის თაობაზე მოსარჩელის მიმართ დავალიანება არ არსებობს, აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მოსარჩელე კომპანიის მიერ, პირველი მოპასუხისათვის მიწერილი წერილები, საიდანაც დასტურდება, რომ 400 000 ევროს პატიება მოხდა და ამით დავალიანება შეწყდა {სსკ-ის 448-ე მუხლი}.

14.1.2. გარდა ამისა, დავალიანება შეწყვეტილი რომც არ იყოს, ის ხანდაზმულია, რადგანაც მოთხოვნის წარმოშობიდან (2009 წლის ბოლო) სარჩელის წარდგენამდე (27.09.2013) გასულია სამ წელზე მეტი {სსკ-ის 129-ე, 130-ე და 144.1 მუხლები}.

14.2. მეორე მოპასუხემ წარადგინა სარგებლის (პროცენტის) ნაწილში მოთხოვნის გამომრიცხავი, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი. სახელდობრ:

14.2.1. მიწოდებული პროდუქციის ღირებულება სრულად დაიფარა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც მოთხოვნილია 356 028,54 ევროს გადახდა, არასრულყოფილია. მოსარჩელის მიერ შედგენილ ცხრილში არ არის ასახული დილერის მიერ წარმოებული გადახდების შესახებ ყველა ინფორმაცია, მათ შორის: 2010 წლის 23 სექტემბერს ავანსად გადახდილი თანხა – 250 000 ევრო, ასევე 2011 წლის 28 აპრილიდან წარმოებული გადახდების შესახებ მონაცემები, რომლის ოდენობაც საერთო ჯამში შეადგენდა 148 491.92 ევროს. სახელდობრ:

ა. 2011 წლის 28 აპრილს გადახდილია 60 000 ევრო, რაც დასტურდება საგადახდო დავალება №1-ით და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ინვოისებით: ..., ..., ..

ბ. 2011 წლის 29 აპრილს გადახდილია 60 000 ევრო, რაც დას-

ტურდება საგადახდო დავალება № 1-ით და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ინვოისებით: ..., ..., ..

გ) 2011 წლის 26 ივლისს გადახდილია 18 491,82 ევრო, დანიშნულებაში მითითებულია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ინვოისები, ..

დ) 2012 წლის 30 იანვარს გადახდილია 10 000 ევრო, დანიშნულებაში მითითებულია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ინვოისები, ..

14.2.2. მოსარჩელის მოთხოვნას დავალიანების ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის დაკისრებასთან დაკავშირებით, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც მხარეები არ შეთანხმებულან პროცენტის ზღვრულ ოდენობაზე, თანახმად ხელშეკრულების 2.67 პუნქტისა.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლო დაეთანხმა მოპასუხეთა შესაგებლებს და უარყო სასარჩელო მოთხოვნები. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 477-ე, 129-ე-131-ე, 144-ე, 394-ე, 408-ე და 411-ე-412-ე მუხლები.

16. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე მითითებით:

16.1. პირველმა მოპასუხემ 2010 წლის დეკემბერში გადახდილი 170 000 ევრო მიმართა 2009-2010 წლებში დაგროვილი ვალდებულებების დასაფარად. ის 2010 წლის პირველი დეკემბრის შემდგომაც აგრძელებდა ძველი დავალიანების გადახდას, მათ შორის გადაიხადა 100,560.71 ევრო, რაც ასევე მიმართული იყო ძველი 2009-2010 წლების დავალიანების დასაფარად და სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ 2010 წლის 24 სექტემბრის შემდგომ შეტანილი სარჩელი ხანდაზმულია, არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი.

16.2. სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა არ მოიცავს ხელშეკრულების თანახმად, 2011 წლის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის გადარიცხულ ავანსს, არის ასევე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. დავის განხილვის პროცესში სასამართლოს წარედგინა შესაბამისი საბაჟო დეკლარაციები და ინვოისები, რომელიც ქრონოლოგიურად ასახავს მოსარჩელის მიერ გამოწერილ ყველა ინვოისს, მის შესაბამის ზედდებულს და საბაჟო დეკლარაციებს. სასამართლოს მიერ არასწორად იქნა შეფასებული ხსენებული ცხრილი და ექსპერტიზის დასკვნა. ბუნდოვანია, სასამართლომ რა გარემოებების საფუძველ-

ზე დაასკვნა, რომ გარკვეული გადახდები არ არის ასახული ცხრილში, მეორე მოპასუხის მიერ ავანსად გადახდილი 250 000 ევრო თანდათან გამოიქვითა 2011 წლის განმავლობაში და ეს გამოიქვითები განხორციელდა რამდენჯერმე სხვადასხვა ინვოისებთან მიმართებით. ცხრილიდან მარტივად დგინდება, რომ მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს გადასცა 1.007,710.34 ევროს ღირებულების საქონელი, ხოლო მეორე მოპასუხემ კი გადაიხადა ამ საქონლის ღირებულების ნაწილი 651,181.8 ევრო, შესაბამისად დავალიანება შეადგენს 356.528.54 ევროს.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

18. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება პირველი მოპასუხის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე არ დადგინდა მხარეთა შორის ნასყიდობის ფასის გადახდის განსხვავებულ წესზე შეთანხმების არსებობა. შესაბამისად, კომპანიას არ ჰქონდა უფლება, ცალმხრივად განეხორციელებინა მიმდინარე გადასახადი თანხის ჩათვლამდე ძველ დავალიანებაში. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოვალე იხდიდა მიწოდებული პროდუქციის ღირებულებას და არა ძველ დავალიანებას, ხოლო კანონმდებლობამ ვადამოსული ვალდებულებების შესრულებისას შესასრულებელი ვალდებულების ამორჩევის პრიორიტეტი მოვალეს განუსაზღვრა.

19. პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ მეორე მოპასუხემ შეასრულა 2010 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების 2.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება ავანსის სახით 250 000 ევროს გადარიცხვის თაობაზე. აღნიშნული ტრანზაქცია არ იქნა ასახული საქმეში წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში და ამდენად არ შედის დილერის მიერ გადახდილ 651 181.8 ევროში. პალატის განმარტებით, აღნიშნული დასკვნის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ ექსპერტიზის დასკვნა ასახავს 2011 წლის 20 იანვრის შემდგომ წარმოებულ გადახდებს, ხოლო ავანსის თანხა დილერმა გადაიხადა 2010 წლის 23 სექტემბერს, ამასთან ექსპერტი დაეყრდნო გამყიდველის მიერ წარდგენილ ცხრილს, რომელშიც მოცემული თანხა არ დაფიქსირდა. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი დადგინდა, რომ დილერმა 651 181,8 ევროს გარდა, ასევე გადაიხადა ავანსი და 148 491,82 ევრო. შესაბამისად, მეორე მოპასუხემ 2011 წლის 20 იან-

ვრიდან 2012 წლის 2 მაისამდე განვლილ პერიოდში სულ გადაიხადა 10 496 73,62 ევრო (651 181,8 ევროს + 39849,82 ევრო) რაც გამორიცხავდა მოსარჩელის წინაშე დილერის (მეორე მოპასუხის) დავალიანების არსებობას.

20. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ, მეორე მოპასუხის მიმართ მოთხოვნის ნაწილში, გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგი საფუძვლებით:

20.1. სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების პრინციპი; ვალდებულებით სამართალში ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთის მატარებელი მხოლოდ მოვალე შეიძლება იყოს, გამყიდველის მტკიცების ტვირთი მხოლოდ პროდუქციის მიწოდების გარემოების დადასტურებით შემოიფარგლება, რაც შეეხება პროდუქციის მყიდველს, მას წარმოეშობა ვალდებულება, დაადასტუროს, რომ მან მიღებული პროდუქციის საფასური გადაიხადა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მტკიცების ტვირთი, როგორც საქონლის მიწოდების, ისე საფასურის გადახდისა, მთლიანად მოსარჩელეს დააკისრა, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 102-ე მუხლის მოთხოვნები.

20.2. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს მიაწოდა 1 007 710.38 ევროს პროდუქცია, ამ უკანასკნელმა კი ვერ დაამტკიცა, რომ მან ეს თანხა სრულად გადაიხადა. მან სასამართლოს წარუდგინა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა ჯამი შეადგენდა მხოლოდ 708 492.61 ევროს და არა 1 049 673.62 ევროს, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა. მოსარჩელემ ექსპერტს მიაწოდა ინფორმაცია მხოლოდ მეორე მოპასუხის მიერ გადახდილი თანხის საერთო ოდენობის შესახებ, რაც შეადგენს 651 181.80 ევროს, რაც ასახული იყო ექსპერტისათვის წარდგენილ ცხრილში და რომელშიც შედიოდა მოპასუხის მიერ გადახდილი ყველა თანხა მათ შორის, 250.000 ევროს აგანსი და შემდგომში გადახდილი 148,491,82 ევროც.

20.3. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მარტის განჩინებით, საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებული იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

22. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემომწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე, სახელდობრ:

23. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და დგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

24. კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო სამართალწარმოებაში მოქმედი ზოგადი წესის საწინააღმდეგოდ (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, სსსკ-ის 102-ე მუხლი) გაანაწილა მტკიცების ტვირთი და ნაცვლად მოპასუხისა, მოსარჩელეს დააკისრა მინოდებული პროდუქციის ფასის გადახდის, ანუ ფულადი ვალდებულების შესრულების დამტკიცება.

25. რასაკვირველია, საპროცესო სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპების კასატორისეული განმარტება სრულ შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასთან („სსსკ-ის მე-4 მუხლის დანაწესით, სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოე-

ბებს დაემყარება მათი შესაგებელი. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსსკ-ის 102-ე მუხლის დებულება, ამავე მუხლით განსაზღვრულია მტკიცებულებათა სახეები, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. საბოლოოდ კი, მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო მათ ერთობლიობაში სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასება უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ“ (იხ. საქმე №ას-151-147-2016. 19.04.2016), მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ამ პრინციპების დარღვევისა და არასწორი გადაწყვეტილების მიღების ფაქტი არ დგინდება.

26. უფრო მეტიც, სააპელაციო პალატამ სწორედ ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმების გამოყენებით დაასკვნა, რომ ვალდებულება შესრულებით იყო შეწყვეტილი {სსკ-ის 427-ე მუხლი} და დავალიანების არსებობა არ დასტურდებოდა, რადგანაც მეორე მოპასუხემ დასაშვები მტკიცებულებების საშუალებით დაამტკიცა ის გარემოება, რომ მან მიწოდებული პროდუქციის ღირებულება სრულად გადაიხადა:

26.1 დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 15 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება აკმაყოფილებდა გარიგების დადების ზოგად პირობებს {სსკ-ს 477-ე და 54-ე-59-ე მუხლები}. მეორე მოპასუხემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და იმავე წლის 23 სექტემბერს მოსარჩელეს ანგარიშზე ავანსად (შენიშვნა: ავანსი წარმოადგენს ფულად თანხას, რომელიც გაიცემა წინასწარ შემდგომი გადახდის ანგარიშში საქონლის მიწოდებისთვის) ჩაურიცხა 250 000 ევრო; პროდუქციის მიწოდება დაიწყო 2011 წლის იანვრიდან, და მოსარჩელემ მეორე მოპასუხეს 2011 წლის 20 იანვრიდან 2012 წლის 2 მაისამდე 1 007 710,38 ევროს ღირებულების საქონელი მიანოდა;

26.2 სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის საფუძველზეც მოთხოვნილია დავალიანების, 356 028,54 ევროს გადახდა, სარჩელის საფუძვლიანობას ვერ ადასტურებს, რადგანაც მოსარჩელის მიერ შედგენილი და ექსპერტიზის ჩასატარებლად წარდგენილი ცხრილი არ შეიცავს მეორე მოპასუხის მიერ წარმოებული გადახდების შესახებ ყველა საჭირო ინ-

ფორმაციას, მათ შორის: 2010 წლის 23 სექტემბერს ავანსად გადახდილ თანხას – 250 000 ევროს, ასევე 2011 წლის 28 აპრილიდან წარმოებული გადახდების შესახებ მონაცემებს, რომლის ოდენობაც საერთო ჯამში შეადგენდა 148 491.92 ევროს (იხ. წინამდებარე განჩინების 13.2.1. პუნქტი).

27. ამრიგად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მეორე მოპასუხემ სათანადო და დასაშვები მტკიცებულებებით დაამტკიცა შესრულების საფუძველზე ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი {სსკ-ის 427-ე მუხლი}, ხოლო მოსარჩელემ, რომელიც დავალიანების არსებობის მტკიცების მატარებელია, ვერ შეძლო მეორე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტებით გაბათილება.

28. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიანიჭია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონი არ დარღვეულა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის მე-8, 399-ე, 372-ე, 264.3, 408.1., 408.2, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კომპანია „B.G.S.t. A.S.“-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინება
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

ვალდებულების შეწყვეტა, როცა მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირია ლომონძეა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-519-485-2017

29 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულებებისა და იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ქ. თ-ემ და ა. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელები, აპელანტები, კასატორის მონინალმდეგე მხარეები ან იპოთეკის საგნის მესაკუთრეები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ა. ქ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინალმდეგე მხარე, კასატორი, მხსესხებლის ფინანსური მენეჯერი ან მოვალე), შპს „ქ-ს“, სს „ვ-ისა“ (შემდგომში – თავდაპირველი თანამოპასუხეები, შპს „ქ.“ ასევე წოდებული, როგორც მსესხებელი, ხოლო, სს „ვ-ი“ – გამსესხებელი ან კრედიტორი) და სს „პ-ის“ (შემდგომში – მესამე პირი) მიმართ და მოითხოვეს გამსესხებელსა და მოსარჩელებს შორის 2011 წლის 3 ნოემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულებების გაუქმება და №26.28.12.2... და №26.26.01.063.01.0... უძრავი ქონებების იპოთეკისაგან გათავისუფლება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2010 წელს თავდაპირველ თანამოპასუხეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 5 მაისს, ხოლო 2011 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელს გადაეცა 55 000 აშშ დოლარი. სესხი იყო მიზნობრივი და პირველი ტრანში – 28 000 აშშ დოლარი გაიცა მიმდინარე სესხის ორი ხელშეკრულების დაფარვისა და მშენებ-

ლობის მიზნით. სესხის მეორე ტრანში გაიცემოდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში. ამ თანხით უნდა აშენებულყო მსესხებლის კუთვნილი პროფილაქტიკა, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ თანხა მოხმარდა შპს „ლ-ის“ პროფილაქტიკის მშენებლობას. ამ უკანასკნელი სანარმოს დამფუძნებელი პარტნიორი არის ვ. ა-ა, დირექტორი – ა. ქ-ი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ა, ა. ქ-ი, შპს „ქ-უ“ და შპს „ლ-ი“, საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის თანახმად, აღიარებული არიან ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, მსესხებლის ფინანსურმა მენეჯერმა მოსარჩელებს სთხოვა ქონების იპოთეკით დატვირთვა, რასაც ეს უკანასკნელები ყოველგვარი სარგებლის გარეშე დათანხმდნენ იმ პირობით, რომ მათთვის ცნობილი იყო სესხის მიზნობრიობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდიდა მსესხებლის ქონებასა და ლიკვიდურობას, ამასთანავე, გარდა მოსარჩელეთა უძრავი ნივთებისა, სესხი უზრუნველყოფილი იყო სამი სხვა ქონებითაც (მსესხებლის მოძრავი ნივთი, ა. ქ-ისა და ნ. ჩ-ის კუთვნილი უძრავი ქონებები. ნ. ჩ-ის ქონება შეძენილ იქნა შპს „ლ-ის“ მიერ სესხის თანხით). მოგვიანებით სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ნ. ბ-ის უძრავი ქონება, ასევე, თავდებობა იკისრეს ვ. ა-ამ და ა. ქ-მა. ამ უკანასკნელმა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება 2012 წლის 16 თებერვალს აჩუქა მეუღლეს – მ. ჩ-ს, რომელმაც იგივე ქონება მიჰყიდა მ. ჩ-ას. მ. ჩ-მა განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა შპს „ქ-ს“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დაყადლება. მ.ჩ-ი მოქმედებდა, როგორც პირი, რომელსაც მ. ჩ-ამ დაუთმო შპს „ქ-ს“ მიმართ მოთხოვნის უფლება. მ. ჩ-ის სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა, თუმცა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად, შპს „ქ-მ“ ვერ დაფარა ვალი. 2014 წლის 29 ივლისს სოლიდარულმა თავდებმა ა. ქ-მა გამსესხებლის ხელშეწყობით, მასთან გააფორმა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება: იპოთეკით დატვირთული ნ. ჩ-ის ქონება (პროფილაქტიკა) შეიძინა შპს „ლ-მა“ (დირექტორი ა. ს-ე, დამფუძნებელი – ვ. ა-ია) და ამავე დღეს შეძენილი ქონება 55 000 აშშ დოლარად მიჰყიდა ა. ა-ს. ამის შემდგომ თავდებმა ა. ქ-მა ბანკის შიდა სატრანზიტივ ანგარიშზე შეიტანა 30 770,10 აშშ დოლარი; ამავე დღეს ბანკსა და ა. ქ-ს შორის გაფორმდა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კრედიტორის ადგილი დაიკავა სოლიდარულმა თავდებმა. თანხის გადახდის შემდეგ, 2014 წლის 29 ივლისს ბანკმა გააუქმა იპოთეკის ხელშეკრულება №26.26... უძრავ ქონე-

ბაზე (სესხის ხელშეკრულებით შექმნილი და აშენებული ქონება) ისე, რომ ოფიციალურად არავითარი სარგებელი არ მიუღია იპოთეკით დატვირთული ქონებიდან; კრედიტორად გახდომის შემდგომ, 2015 წლის 23 აპრილს ა. ქ-მა გაათავისუფლა იპოთეკისაგან მ. ჩ-ასათვის მიყიდული №26.26.47... ფართი. იპოთეკის გაუქმების შესახებ განცხადებაში მითითებულია, რომ უფლებრივი ტვირთისაგან გაათავისუფლების საფუძველს ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა. ამავე გარემოებაზე მითითებით, 2014 წლის 3 ოქტომბერს გაათავისუფლა იპოთეკისაგან ა. ქ-მა ნ. ბ-ის ქონება, ანუ უზრუნველყოფის ხუთი საგნიდან იპოთეკისაგან ბანკმა გაათავისუფლა ერთი, ხოლო ორი – ა. ქ-მა. დღეისათვის სესხი უზრუნველყოფილია მოსარჩელების ქონებით და იპოთეკარს წარმოადგენს პირი, რომელიც ამავე სესხის თავდება და სესხის თანხა განკარგა საკუთარი შეხედულებისამებრ. ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით ა. ქ-ის თხოვნისა და ქონების რეალიზაციისაგან თავის არიდების მიზნით, მოსარჩელებს უწევდათ თანხის ბანკში შეტანა. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ს-ის სასარგებლოდ ა. ქ-ს დაეკისრა 8 000 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო ამავე სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადგენილია ის ფაქტი, რომ ბანკისათვის სესხის მიზნობრიობის დარღვევის ფაქტი ცნობილი იყო.

2. მოპასუხეების პოზიცია:

- 2.1. მსესხებელმა სარჩელი ცნო;
- 2.2. მესამე პირმა წერილობითი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და აღნიშნა, რომ არ არის ინფორმირებული მითითებული გარემოებების თაობაზე, თუმცა სადავო ხელშეკრულებები გაფორმებულია და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით;
- 2.3. სხვა მოპასუხეებს სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარუდგენიათ.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტების მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რომლითაც გაუქმდა ოზურგეთში, ი. ჭ-ის ქ№14-ში მდებარე, ქ. თ-ის საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ №26.26.01.063...) კრედიტორ ა. ქ-ის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია, ასევე გაუქმდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში მდებარე, ა. ს-ის საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (ს/კ №26.28.12...) კრედიტორ ა. ქ-ის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა სს „გ-სა“ და ა. ს-ეს, ასევე სს „გ-სა“ და ქ. თ-ის შორის 2010 წლის 3 სექტემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულებების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფიდა.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

1.1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო-სამართლებრივი საშუალებების გაუქმების კანონიერება. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ დაადგინა უზრუნველყოფილი მოთხოვნის არარსებობა, რის გამოც, ჩათვალა, რომ ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდა სამოქალაქო კოდექსის 452-ე მუხლით დადგენილი წესით, შესაბამისად, როგორც აქცესორული უფლება, აღარ არსებობდა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკა. რაც შეეხება სს „გ-ის“ მოთხოვნას, ამ ნაწილში სასამართლომ, როგორც მოთხოვნის უფლების არსებობა, ისე – ამ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ნამდვილობა დაადგინა.

1.1.2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში არ ეთანხმება ა. ქ-ი იმ საფუძვლით, რომ:

ა) სასამართლომ, როგორც უზრუნველყოფილი ვალდებულება, ისე – მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება დატოვა ძალაში, თუმცა გააუქმა იპოთეკის უფლების რეგისტრაცია;

ბ) სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 452-ე მუხლი, რამდენადაც იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმებულია სს „ვ-სა“ და შპს „ქ-ს“ შორის და არა კასატორთან, როგორც ფიზიკურ პირთან. არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია იმას, თუ ვინ მიმართავდა მოვალეს, რადგანაც ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ქ-სთან“ და ეს ხელშეკრულება ნამდვილადაა აღიარებული, შესაბამისად, არ არსებობდა ვალდებულების შეწყვეტილად მიჩნევის წინაპირობები, მით უფრო მაშინ, როდესაც სესხის დაფარვის დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია;

გ) სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სხვა პირის ქონების იპოთეკით დატვირთვა, როგორც ეს განსახილველ შემთხვევაში განხორციელდა, თუმცა, სასამართლომ არასწორად არ დაადგინა, რომ გამსესხებლის მოთხოვნა მიმართული იყო კასატორის, როგორც სესხის ერთადერთი თავდებისა და არა ძირითადი მოვალის მიმართ. მან, როგორც თავდებმა, გადაიხადა თანხა და კრედიტორისაგან შეიძინა მოთხოვნა, რომლის ნამდვილობაც სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილებითაა აღიარებული.

1.1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლის კონტექსტში (საკასაციო სასამართლო ამონიშნავს გადანყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამონიშნოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ) საკასაციო პალატა საკასაციო პრეტენზიათა გათვალისწინებით შეამონიშნავს გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებას მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ (ფაქტობრივი დასაბუთება):

წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის თუ წა-

მოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. 2010 წლის 20 ნოემბერს, სს „ვ-იასა“ და შპს „ქ-ს“ შორის დაიდო გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც საკრედიტო ლიმიტი განისაზღვრა 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით. ამავე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ოზურგეთში, ი. ჭ-ის ქ №...-ში მდებარე, ქ. თ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში მდებარე, ა. ს-ის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება. იპოთეკა რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში;

1.2.2. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წლის 3 ნოემბერს, სს „ვ-იასა“ და შპს „ქ-ს“ შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლითაც მსესხებელზე გაიცა 55 000 აშშ დოლარის ოდენობით მიზნობრივი კრედიტი შემდეგი პირობებით: კრედიტის მიზანი – შერეული; საპროცენტო განაკვეთი – წლიური 16%; კრედიტის დაფარვის საბოლოო ვადა – 2015 წლის 3 ნოემბერი;

1.2.3. 2011 წლის 3 ნოემბერს მოსარჩელებთან გაფორმდა 2010 წლის 20 ნოემბრის ხელშეკრულების 6.4. პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა, რომ იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი ქონების აუქციონზე რეალიზაცია მოხდებოდა მხარეთა შეთანხმებით დანიშნული სპეციალისტის მეშვეობით. აღნიშნული შეთანხმება არ ართმევდა კრედიტორს უფლებას, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მიზნით მიემართა სააღსრულებო ბიუროს კერძო აღმასრულებლისათვის;

1.2.4. 2011 წლის 3 ნოემბრის საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფა ასევე განხორციელდა ვ. ა-იას, ა. ს-ისა და ა. ქ-ის თავდებობით. გარდა ამისა, აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, სს „ვ-იასთან“ 2011 წლის 2 ნოემბერს ნ. ჩ-ის მიერ, 2011 წლის 6 დეკემბერს ნ. ბ-ის მიერ და 2011 წლის 5 მაისს ა. ქ-ის მიერ გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე საჯარო რეესტრში იპოთეკით დაიტვირთა ხსენებული პირების უძრავი ქონე-

ბები. 2014 წლის 29 ივლისის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით ა. ქ-მა სს „ვ-ისაგან“ შეიძინა 2010 წლის 20 ნოემბერს, გამსესხებელსა და მსესხებელს შორის დადებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან, ასევე, 2011 წლის 3 ნოემბრის საკრედიტო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი კრედიტორის (სს „ვ-ის“) უფლება, მოსთხოვოს ძირითად მოვალეს (მსესხებელს) ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, რომლის უზრუნველყოფის საგანს სხვა საგნებთან ერთად წარმოადგენდა მოსარჩელეთა უძრავი ქონებები. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრში ა. ს-ისა და ქ. თ-ის იპოთეკის საგნის კრედიტორად დაფიქსირდა ა. ქ-ი;

1.2.5. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით 2014 წლის 29 ივლისს ა. ქ-სა სს „ვ-ის“ შორის დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება ცნობილ იქნა ნამდვილ გარიგებად;

1.2.6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ქ-ს“ ცრუმადგიერ პირად, სხვა პირებთან ერთად აღიარებული იქნა ა. ქ-ი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ქ.“ და ა. ქ-ი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ, მათი ეკონომიკური ინტერესები ერთი და იგივე იყო და შპს „ქ-ს“ სახელით ქმედების განხორციელება მიზნად ისახავდა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ღონისძიებებისაგან (საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მესამე პირზე გადასახადის მიქცევა, ქონებაზე ყადაღის დადება, ყადაღადებული ქონების რეალიზაცია და სხვ.) თავის არიდებას;

1.2.7. 2012 წლის 18 ნოემბერს ა. ქ-ის მიერ შედგენილ ხელწერილში დაფიქსირებულია, რომ იგი წარმოადგენს შპს „ქ-ს“ ფაქტიურ მესაკუთრეს და ნებისმიერ ფინანსურ ოპერაციას ახორციელებს თავად.

1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა/განმარტა სამოქალაქო კოდექსის 452-ე მუხლი. პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალი, მართალია, „ცრუმადგიერი პირის“ ცნებას არ იცნობს და რაიმე სპეციალურ რეგულაციას არ ადგენს, თუმცა, მხარეთა შორის უდავოა, რომ საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის გამო, შპს „ქ-ს“, ა. ქ-ისა და სხვათა მიმართ და დავის საგანს წარმოადგენდა ცრუმაგიერ პირად აღიარება. ამ საპროცესო დოკუმენტის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი), შესაბამისად, წინამდებარე დავის ფარგლებში შეფასებას ექვემდებარება ე.წ. „ცრუმაგიერი პირის“ ცნებისათვის საჯარო კანონმდებლობით განსაზღვრული ელემენტები და ზემოხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილი პირის „ცრუმაგიერობის“ განმაპირობებელი კონკრეტული ფაქტები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ცრუმაგიერად პირის მიჩნევისათვის სავალდებულოა, დადგინდეს მისი განსხვავების შეუძლებლობა სხვა სუბიექტისაგან და ამგვარი ერთობა უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს მიმართ ანგარიშსწორებისაგან თავის არიდების მიზანს, ანუ საქმის განხილვით უნდა დგინდებოდეს ცრუმაგიერ პირთა ერთობა. ასეთ ვითარებაში, ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ცრუმაგიერ პირებს ერთიან სუბიექტად განიხილავს.

1.3.2. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მსესხებელი და მისი ფინანსური მენეჯერი (კასატორი) ერთსა და იმავე სუბიექტს წარმოადგენენ და კასატორმა, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამსესხებლისაგან მოიპოვა იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ანუ სახეზეა მოცემულობა, როდესაც მოვალე და კრედიტორი ფაქტობრივად ერთი და იგივე პირია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში სახეზეა ვალდებულების შეწყვეტის სამოქალაქო კოდექსის 452-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა ელემენტი (ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდება, თუ მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება), რამდენადაც სს „ვ-თან“ დადებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე კასატორმა შეიძინა შპს „ქ-ს“ მიმართ მოთხოვნის უფლება, რომელიც თავად ეკუთვნის მას. ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

1.3.3. სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალების ლეგალურ დეფინიციას და განსაზღვრავს, რომ უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). განსახილველი ნორმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი – „ნივთის დატვირთვა ვალდებულებით უნდა ემსახურებოდეს მოთხოვნის დაკმაყოფილებას“, ხაზს უსვამს იპოთეკის ინსტიტუტის იურიდიული ბუნებას – მისი ნამდვილობა დამოკიდებულია უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობაზე. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს. მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია რა ის გარემოება, რომ კრედიტორისა და მოვალის იდენტიფიკაციის პირობებში შეწყდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, აღარ არსებობს ამ მოთხოვნის უზრუნველყოფის წინაპირობა მოსარჩელეთა ქონების ხარჯზე. ამავე კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად (მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას) და 289-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე კი (იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან), გაუქმებას ექვემდებარება საჯარო რეესტრში მოსარჩელეთა ქონებაზე რეგისტრირებული სანივთო-სამართლებრივი შეზღუდვა.

1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სამართლებრივი დასაბუთება:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს

გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა სამოქალაქო კოდექსის 452-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეწყვეტის ფაქტი, რაც, ბუნებრივია, იურიდიულად ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას სადავო იპოთეკის ხეკმეკრულებების გაუქმებისა და ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლების თაობაზე, ხოლო ამ ფაქტების წინააღმდეგ კასატორმა ვერ მიუთითა ამავე კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობაზე.

2. სასამართლო ხარჯები:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, არ არსებობს საკასაციო სამართალწარმოებისას განეული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ამასთანავე, ვინაიდან დავა კასატორის საწინააღმდეგოდ დასრულდა, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 2 694,2 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორ ა. ქ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 2 694,2 ლარის გადახდა.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ვალდებულების შეწყვეტა იურიდიული პირის
ლიკვიდაციის გამო**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სასჯელით**

№ას-401-2019

25 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ზ. ძლიერიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: სოლიდარული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. ბ-სა“ (შემდეგში: მოსარჩელე, კრედიტორი ბანკი, კასატორი) და შპს „ა-ის“ (შემდეგში: მოვალე, მსესხებელი, სანარმო) შორის, 2016 წლის 15 თებერვალს, გაფორმდა NGCL... გენერალური საკრედიტო ხაზის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად, იმავე დღეს, ერთი მხრივ, ბანკსა და მეორე მხრივ, ა. თ-ძეს (შემდეგში: პირველი მოპასუხე, პირველი თავდები), ა. თ-ძეს (შემდეგში: მეორე მოპასუხე, მეორე თავდები), მ. ჭ-ძეს (შემდეგში: მესამე მოპასუხე, მესამე თავდები) შორის გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებები. NGCL... საკრედიტო ხაზის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით ბანკსა და ლ. ლ-ას (შემდეგში: მეოთხე მოპასუხე, მეოთხე თავდები, აპელანტები) შორის, 2016 წლის 12 სექტემბერს, გაფორმდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება. თითოეულ დასახელებულ შემთხვევაში თავდებ პირთა პასუხისმგებლობის ოდენობა თითოეული თავდებისათვის 800 000 (რვაასი ათასი) აშშ დოლარით განისაზღვრა;

2. კრედიტორსა და მოვალე სანარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საკრედიტო ხაზის მოცულობა – 800 000 აშშ დოლარით განისაზღვრა, 240 თვის ვადით, საპროცენტო სარგებელი წლიური 0.5%-დან 48%-მდე. ხელშეკრულების 3.1.2.4 ქვეპუნქტის თანახმად კი, თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, საპროცენტო სარგებლის (როგორც მიუღებელი სარგებლის) დარიცხვა გრძელდება და კრედიტის დაფარვის ვა-

დაგადაცილების შემთხვევაშიც გადახდას ექვემდებარება, მიუხედავად ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული საკრედიტო ხელშეკრულებების მოქმედების ან სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტისა, კრედიტის იძულებით ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობით დაფარვის მომენტამდე.

3. კრედიტორსა და მოვალე საწარმოს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, ბანკსა და პირველ მოპასუხეს (ა. თ-ქს) შორის, 2016 წლის 15 თებერვალს, იმავე წლის 18 თებერვალსა და 28 ივლისს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, იპოთეკით დაიტვირთა პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული რამდენიმე უძრავი ქონება, კერძოდ: მცხეთაში, სოფელი ..., /ს/კ: .../, /ს/კ: .../; ასევე მცხეთაში, სოფელი .../ მცხეთა, სოფელი ..., /ს/კ: .../; იმავე ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, ბანკსა და შპს „შ. თ-ი“ (შემდეგში: მეხუთე მოპასუხე) შორის, 2016 წლის 12 სექტემბერს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, იპოთეკით დაიტვირთა ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისში, ..., /ს/კ: .../.

4. ბანკსა და მსესხებელ საწარმოს შორის, გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, 2016 წლის 13 სექტემბერს, №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც მსესხებლის სახელზე 240 000 აშშ დოლარი, 12 თვის ვადით გაიცა, სესხის სარგებელი წლიური 8%-ით განისაზღვრა. ამავე ხელშეკრულებით, ვალდებულების დარღვევისათვის დადგინდა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დავალიანების 0.5%.

5. ბანკსა დამსესხებელ საწარმოს შორის, გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, 2016 წლის 13 სექტემბერს, №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც მსესხებლის სახელზე 260 000 აშშ დოლარი, წინამდებარე განჩინების მე-4 პუნქტში მითითებული პირობებით გაიცა.

6. საწარმოს წარმომადგენელმა, 2017 წლის 10 მარტს, გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის განჩინებით, განცხადება არ იქნა წარმოებაში მიღებული. ამავე განჩინებით, კრედიტორებს განემარტათ, რომ მათ შეეძლოთ, საწარმოს მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ საქმისწარმოების დაწყებისა და მოვალის ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე მიემართათ სა-

სამართლოსათვის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების სა-სამართლოში შეტანის გზით განჩინების გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში.

7. ბანკმა, წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებულ ვადაში მიმართა სასამართლოს და მსესხებლის მიმართ მოითხოვა გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყება, რომელიც სასამართლოს 2017 წლის 1 მაისის განჩინებით იქნა მიღებული წარმოებაში.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ივნისის განჩინებით მსესხებელი საწარმოს მიმართ გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შეწყდა, საწარმო გამოცხადდა გაკოტრებულად და მსესხებლის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში გაუქმდა. ეს განჩინება კანონიერ ძალაშია შესული.

9. სარჩელის საფუძვლები

9.1 ბანკმა 2017 წლის 28 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხეების წინააღმდეგ, მოითხოვა №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებისათვის სესხის ძირითადი თანხის – 238637.35 აშშ დოლარისა და პროცენტის, 1356.99 აშშ დოლარის, ხოლო №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 226742.22 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება, ასევე, იმავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე 2017 წლის 1 მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების – 465379.57 აშშ დოლარის წლიური 8%-ისა და ყოველდღიურად პირგასამტეხლოს 0.5%-ის გადახდის დაკისრება.

9.2 კრედიტორმა, ზემოაღნიშნული დავალიანებების დაფარვის მიზნით, მხარეთა შორის იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებების სარეალიზაციოდ მიქცევა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტი) მოითხოვა, ხოლო, თუ რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ იქნებოდა საკმარისი, მაშინ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე უნდა მიქცეულიყო აღსრულება.

9.3 მოსარჩელის განმარტებით, მსესხებელი საწარმოს დავალიანება ბანკის წინაშე №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე 239994.34 აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც ძირითადი თანხა – 238637.35 აშშ დოლარია, ხოლო პროცენტი – 1356.99 აშშ დოლარი; №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე კი, სესხის ძირითადი თანხის დავალიანება – 226742.22 აშშ დოლარია.

10. მოპასუხეების შესაგებელი

10.1 ა. თ-ქემ, ა. თ-ქემ და მ. ჭ-ქემ (პირველმა, მეორე და მესამე

მოპასუხეებმა) წერილობით წარდგენილი შესაგებლებით მათ წინააღმდეგ აღძრულის სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მსესხებელი სანარმო ლიკვიდირებულია და, შესაბამისად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 454-ე მუხლის საფუძველზე შეწყვეტილია.

10.2 მოპასუხეების განმარტებით, იპოთეკა და თავდებობა აქცესორულ უფლებებს წარმოადგენს და ძირითადი უფლების გარეშე არ არსებობს, შესაბამისად, ვინაიდან ის ვალდებულება, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც იყო იპოთეკა და თავდებობა, შეწყვეტილია, ამდენად არც თავდები პირებისათვის თანხის დაკისრების და არც იპოთეკის საგნის რეალიზაციის საფუძველი არ არსებობს.

10.3 მოპასუხეებმა სადავოდ გახადეს დავალიანების ოდენობა და შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოზეც მიუთითეს.

10.4 მოპასუხეებმა „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტეს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა.

10.5 ლ. ლ-ამ და შპს „შ. თ-მა“ (მეოთხე და მეხუთე მოპასუხეებმა) წერილობით წარდგენილი შესაგებლით კრედიტორის სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მსესხებელი სანარმო ლიკვიდირებულია, არ ჰყავს სამართალმემკვიდრე. მათი ვალდებულებები აქცესორულია, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ძირითადი მოვალე ლიკვიდირებულია, მათ არ შეიძლება, ვალდებულების შესრულება დაეკისროთ. ამასთან, ძირითადი მოვალის ლიკვიდაციის გამო, მეოთხე და მეხუთე მოპასუხეებს არ აქვთ შესაძლებლობა, მოსარჩელეს საფუძვლიანად შეედავონ, ვინაიდან არ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენად შეასრულა მსესხებელმა ვალდებულება.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით, ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

11.1.1 პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე მოპასუხეებს (თავდებ პირებს), ბანკის სასარგებლოდ, 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის – 238637.35 აშშ დოლარისა და პროცენტის –

1356.99 აშშ დოლარის, ასევე, №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – სესხის ძირითადი თანხის დავალიანების, 226742.22 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრათ.

11.1.2 დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა ა. თ-ძისა და შპს „მ. თ-ის“ საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებები (იხ. წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტი). ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ, თუკი რეალიზაციიდან ამოღებული თანხა არ იქნება საკმარისი ვალდებულების სრულად დასაფარავად, აღსრულება მიექცეს თავდებების საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე.

11.1.3 მოსარჩელის მოთხოვნა თავდები პირებისათვის 2017 წლის 1 მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, 465379.35 აშშ დოლარის წლიური 8%-ისა და ყოველდღიურად პირგასამტეხლოს – 0.5%-ის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

11.2 საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 153-ე, 286-ე, 301-ე, მე-400, 403-ე, 417-ე-418-ე, 454-ე, 465-ე, 867-ე, 868-ე, 895-ე, 893-ე, 899-ე, 1484-ე მუხლებით;

11.3 საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, კერძოდ, მსესხებელი სანარმოს დავალიანება ბანკის წინაშე №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე 239994.34 აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც ძირითადი თანხა – 238637.35 აშშ დოლარია, ხოლო პროცენტი – 1356.99 აშშ დოლარი; №... ხელშეკრულებიდან გამომდინარე კი, სესხის ძირითადი თანხის დავალიანება – 226742.22 აშშ დოლარია (იხ. წინამდებარე განჩინების 9.3 ქვეპუნქტი).

11.4 საქალაქო სასამართლოს განმარტებით, თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულება დამოკიდებულია ძირითად ვალდებულებაზე, რაც უდავოდ მიუთითებს მის აქცესორულობაზე. თავდებობა არ არსებობს სამართლებრივი ძალის მქონე ძირითადი ვალის გარეშე. თავდების ვალდებულების მოცულობის ცვლილება დამოკიდებულია ძირითადი ვალის მოცულობის ცვლილებაზე (ვალდებულების მოცულობის გაზრდა შესაძლებელია, მაგალითად გამოწვეული იყოს ვადაგადაცილების პროცენტების გადახდევინებით). თავდებობა ნყდება ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის შედეგად, თუმცა მაშინ, როდესაც სახეზეა ვალდებულების შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი (მაგ: ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატიებით) და არა სსკ-ის 454-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – იურიდიული პირის (ძირითადი მოვალის) ლიკვი-

დაცია.

11.5 საქალაქო სასამართლოს განმარტებით, თავდებობის აქცესორულობა შეზღუდულია უზრუნველყოფის მიზნით და თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნა აგრძელებს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნა, როდესაც იურიდიული პირი ქონების არარსებობის გამო უქმდება.

11.6 საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 899-ე მუხლსა და 1484-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ ძირითადი მოვალის გარდაცვალებისას, მისი მემკვიდრის პასუხისმგებლობა მხოლოდ მიღებული აქტივის ღირებულებით შემოიფარგლება და, თუ ვალდებულება აღემატება მიღებული აქტივის ღირებულებას, ღირებულებაზე მეტად ძირითადი მოვალის მემკვიდრის ვალდებულების მოცულობა მცირდება. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, თავდები პირის ვალდებულების მოცულობა არ მცირდება, შესაბამისად, თავდების ვალდებულება არ წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხდება ქონების არარსებობის გამო, იმავენაირად, როგორც არ მცირდება მისი ვალდებულების მოცულობა მაშინ, როდესაც ძირითადი მოვალის მემკვიდრის ვალდებულება განისაზღვრება მიღებული აქტივის ფარგლებით.

11.7 მოსარჩელის მოთხოვნა თავდებებისთვის საბანკო კრედიტის დაფარვამდე ვადის გადაცილების პროცენტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე, სასამართლოს შეფასებით არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლომ სსკ-ის 893-ე მუხლსა „თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა“ და სპეციალური კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე მითითებით „გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან იკრძალება გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალდების უზრუნველყოფა, ჩერდება ვალდების გადახდა და პროცენტების, პირგასამტეხლოს, საურავების (მათ შორის, საგადასახადოსი) დარიცხვა/გადახდა“, განმარტა, რომ, ვინაიდან ძირითადი მოვალე ლიკვიდირებულია, დაუშვებელია, მისი ვალდებულების მოცულობა გაიზარდოს, შესაბამისად, თავდებების ვალდებულებაც ვერ გაიზრდება.

12. სააპელაციო საჩივარი

12.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

13.1.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

13.1.2 ბანკის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13.2 სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, უდავოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 ივნისის განჩინებით მოვალის გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შეწყდა, საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდა და მისი რეგისტრაცია გაუქმდა სამენარმეო რეესტრში, აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ დავაში ძირითადი მსესხებელი არ არსებობს. ამასთან, არ არსებობს თავდებებისათვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებების რეალიზაციის საფუძველიც.

13.3 სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, თავდებობის ხელშეკრულება კრედიტორის წინაშე მოვალის ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს. ამასთან, თავდებობის ხელშეკრულება იდება კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულების საფუძველზე და დამოკიდებულია ძირითად ხელშეკრულებაზე, ანუ თავდებობა აქცესორული ხასიათისაა, შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებასთან ერთად თავდების ვალდებულებაც წყდება (იხ. სუსგ №ას-704-667-2013, 01.10.2014წ.).

13.4 სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, სსკ-ის 454-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, ცალსახაა, რომ მოვალის ვალდებულება საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შეწყვეტილია. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ლიკვიდაციის დროს არ არსებობს მისი უფლებამონაცვლე და, უფრო მეტიც, მისი რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში გაუქმებულია, საფუძველს მოკლებულია განსახილველი მოცემულობის სამართლებრივი გადაწყვეტა სსკ-ის 1484-ე მუხლის განმარტებებიდან გამომდინარე, ვინაიდან, ამ მუხლის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებული არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თი-

თოეულის წილის პროპორციულად. ნორმა გულისხმობს იმგვარ ვითარებას, როდესაც მემკვიდრეები სამკვიდროს ფარგლებში პასუხისმგებლები არიან მამკვიდრებლის ვალდებულებებზე.

13.5 სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მსგავს შემთხვევაში ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს და მემკვიდრეები ვალდებული არიან, დააკმაყოფილონ კრედიტორის მოთხოვნა მხოლოდ მიღებული აქტივის ფარგლებში და არა საკუთარი ქონებიდან. საწარმოს ლიკვიდაციის დროს კი, არ არსებობს საწარმოს უფლებამონაცვლე, რაც გამორიცხავს მისი ფინანსური ვალდებულებების სხვა პირისათვის გადაკისრების შესაძლებლობას.

13.6 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ დავაში არ არსებობს სსკ-ის 899-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების საფუძველიც, რომლის თანახმადაც, თავდებს შეუძლია, წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ ძალუძს მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ვითარებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ძირითადი ვალდებულება შეწყვეტილი არ არის და გარდაცვლილ ძირითად მსესხებელს ჰყავს მემკვიდრე.

13.7 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოვალის ვალდებულებები, საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად, შეწყვეტილია. ამასთან, თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, არ არსებობს აპელანტებისათვის დავალიანების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან არ შეიძლება, ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის შემდეგ, აქცესორულმა უფლებამ იარსებობს, რადგან ამ უფლების წარმოშობა, არსებობა და შეწყვეტა ძირითად უფლებაზეა დამოკიდებული.

13.8 იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებების რეალიზაციასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, ვინაიდან იპოთეკა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება აქცესორული უფლებაა, სსკ-ის 286-ე მუხლიდან გამომდინარე, ძირითადი უფლების შეწყვეტის დროს, იპოთეკის უფლებაც უქმდება და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს.

14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

14.1 მოსარჩელემ (ბანკმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და, ახა-

ლი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14.2 კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

14.3 კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა აქცესორულ უფლებებზე კონსტიტუციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება, კერძოდ, იგი არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილ საკუთრების უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით საკუთრების კონსტიტუციური უფლება სრულად ვრცელდება მოთხოვნის უფლებებზეც (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება 1/14/184,228);

14.4 კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია თანაზომიერების პრინციპზე, ისევე, როგორც არ მიუთითებია მიზანზე, თუ რატომ მიიჩნია, რომ კრედიტორმა საკუთრების უფლება მოთხოვნის უზრუნველყოფის აქცესორულ უფლებებზე უნდა დაკარგოს.

14.5 კასატორის განმარტებით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას აქცესორულობის ბუნება არასწორად განმარტა, რამაც გამოიწვია თავად აქცესორული უფლების არსის, მისი წარმოშობის/ცვლილებისა და შეწყვეტის არასწორად გაგება. აღნიშნული პრინციპის არასწორმა განმარტებამ კი, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს აზრი დაუკარგა, იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე იურიდიული პირია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებები მესამე პირის მიერ არის შემოთავაზებული, ანუ ვლინდება თავდებობა და მესამე პირის მიერ შემოთავაზებული იპოთეკა/გირავნობა.

14.6 კასატორი მიუთითებს, რომ აქცესორულ უფლებებს აბსოლუტური ხასიათი არ აქვს და სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც აქცესორულობა „სუსტდება“, ძირითად მოთხოვნასთან კავშირს კარგავს და დამოუკიდებელი მოთხოვნის სახით არსებობას აგრძელებს. მოთხოვნა ამგვარად ტრანსფორმირდება მაშინ, როდესაც იურიდიული პირი ქონების დაკარგვის ან, ქონების არ არსებობის გამო, უქმდება.

14.7 კასატორი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა იმავე შემადგენლობამ, სხვა სამოქალაქო საქმეზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია განავითარა (საქმე №2ბ/4029-18);

14.8 კასატორი ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი განჭვრეტადობის დაცვის მნიშვნელობაზეც და განმარტავს, რომ ეს პირს სამართალმემფარდებლის თვითნებობისაგან იცავს და ამასთან, მხარეს შესაძლებლობას აძლევს, განსაზღვროს კონკრეტულ ქმედებას რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ამ პრინციპის დაცვის ვალდებულება კანონმდებლობის იმგვარი განმარტების თავიდან აცილებას ემსახურება, რომელიც საფუძველს აძლევს პირთა საერთაშორისო სტანდარტით დაცული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას, ზიანს აყენებს არა მხოლოდ ხელშეკრულების მხარეების ინტერესებს, არამედ – ზოგადად ქვეყანაში კომერციული საქმიანობის განვითარებას.

14.9 კასატორის განმარტებით, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებები მოცემულ საქმეზე ბანკისათვის რაიმე სახით განჭვრეტადი ყოფილიყო, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კეთილსინდისიერი კრედიტორის უფლებებს გაუმართლელად ზღუდავს.

14.10 კასატორი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაზე მიუთითებს, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა ადვილად ხელმისაწვდომი და ზუსტი უნდა იყოს, რათა წინასწარ იყოს განჭვრეტადი ამა თუ იმ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები. კონვენციით დადგენილი კანონიერების სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა კანონი იყოს საკმარისად ზუსტი, რათა პირს მისცეს საშუალება, საჭიროებისას და შესაბამისი რჩევით – მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, გარკვეული ხარისხით, წინასწარ განსაზღვროს ქმედების გამომწვევი შედეგი (საქმე – „კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“). ამასთან, სასამართლოს დასკვნები სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს უნდა დაეფუძნოს, რომელიც კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს ადგენს (ALBU AND OTHERS v. ROMANIA; Application no. 34796/09, § 34 III-IV). კასატორის განმარტებით, ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა იმგვარი მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც სამართლებრივ განსაზღვრულობას შექმნის, ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით საზოგადოების ნდობას შეამცირებს (Nejdet Sahin an Perigan Sahin v. Turkey (GH); Application no. 13279/05 § 59-96).

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1 საკასაციო სასამართლოს მიერ მხარეთა მონაწილეობით

ჩატარდა ზეპირი სხდომა 2020 წლის 16 ივნისს, რომელზედაც საკუთარი პოზიციები წარადგინეს მხარეებმა და მოსამართლეთა შეკითხვებს უპასუხეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

17. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, იმას აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მხარეთა შორის სადავო არ არის, ამდენად სადავო სამართალურთიერთობა, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, სამართლებრივად უნდა შეფასდეს. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განიმარტოს გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული თავდებობისა და იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, გაქარწყლდა თუ არა პირადი (პიროვნული) და სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებით განპირობებული თავდები პირებისა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეების ვალდებულება კრედიტორის წინაშე. საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ ძირითადი მოვალე საწარმო გაკოტრებულად გამოცხადდა და მოვალის (მსესხებლის) რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში გაუქმდა. სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა განსხვავებული გადან-

ყვეტილებები მიიღეს.

18. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ძირითადი მოვალე საწარმოს სოლიდარული თავდებები იყვნენ, ფიზიკური პირები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტი), ამასთან, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნა სანივთო საშუალებაც ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილ უძრავ ქონებაზე იპოთეკის რეგისტრაციის სახით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მესამე პუნქტი).

19. ცხადია, სადავო არ არის კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით პირადი და სანივთო უზრუნველყოფის სახეების (მოცემულ შემთხვევაში თავდებობისა და იპოთეკის) აქცესორული ხასიათი, რაც განმტკიცებულია სსკ-ის 153-ე და 893-ე მუხლების დანაწესით და არაერთხელ არის განმარტებული საკასაციო სასამართლოს მიერ (იხ. სუსგ-ები: №ას-647-647-2018, 21.10.2019წ. №ას-97-2019, 05.07.2019წ; №ას-836-802-2016, 20.01.2017წ; №ას-513-490-2016, 21.10.2016წ; №ას-61-59-2014, 17.06.2016წ.), თუმცა, მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია აქცესორულობის ე.წ. „შესუსტება“ უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, რათა შესრულდეს კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულება იმ პირობებში, როდესაც ძირითადი მსესხებელი საწარმო ლიკვიდირებულია და ეს იურიდიული ფაქტი რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში.

20. კასატორს მიაჩნია, რომ უნდა განიმარტოს პირადი და სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების მიზანი, რადგან თუკი ძირითადი მოვალე საწარმო, როგორც სამეწარმეოსამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი, აღარ ირიცხება სამეწარმეო რეესტრში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითადი მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი და უზრუნველყოფილი ვალდებულება წყდება, რადგან სსკ-ის 454-ე მუხლი ვალდებულების შეწყვეტის განსხვავებულ საფუძველს ადგენს (ამ საკითხთან დაკავშირებით კასატორს წარმოდგენილი აქვს სამართლებრივი მოსაზრებები: სამართლის დოქტორის თეიმურაზ თოდრიასის; პროფ. ირაკლი ბურდულისა და გიორგი რუსიაშვილის).

21. საკასაციო სასამართლოს შეფასებით დასაბუთებულია კრედიტორის საკასაციო პრეტენზია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. სსკ-ის 454-ე მუხლის მიხედვით იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან. მოხმობილი ნორმა, რომელიც სისტემურად ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლებშია მოთავსებული, არსებითად გან-

სხვაგვარად იხეი საფუძვლებისაგან, როგორცაა სსკ-ის 452-ე მუხლი – ე.წ. კონფუზია, როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება; სსკ-ის 453-ე მუხლი, რომელიც მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების შემთხვევებისათვის ვალდებულების შეწყვეტის წინაპირობებს განსაზღვრავს. სსკ-ის 454-ე მუხლის კომენტარებისას მითითებულია, რომ „ის ფაქტი, რომ იურიდიული პირი შეიძლება ქონების გარეშე დარჩეს ან იგი გადახდისუუნარო აღმოჩნდეს, თავისთავად არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას...“ (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი – ნიგინი მესამე, გვ. 566 – გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001წ.).

22. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ – მოპასუხეების ლ. ლ-ასა და შპს „შ. თ-ის“ წარმომადგენელმა – შ. კ-მა საკასაციო სასამართლოს სხდომაზე სსკ-ის 454-ე მუხლის დანაწესის შეფასება ითხოვა, რადგან მისი მოსაზრებით, გარდა იმისა, რომ ძირითადი ვალდებულების გაქარწყლების შემთხვევაში, მის უზრუნველსაყოფად გამოყენებული საშუალებებიც იმავე ბედს იზიარებს, გასათვალისწინებელია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ივნისის განჩინებით მსესხებელი საწარმოს მიმართ გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შეწყდა, საწარმო გამოცხადდა გაკოტრებულად და მსესხებლის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში გაუქმდა, ხოლო კრედიტორმა თავდები პირებისა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეთა წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნა აღძრა არა გაკოტრებული იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესში, არამედ ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტის შემდეგ, რაც, მხარის მტკიცებით, კრედიტორის მოთხოვნას სამართლებრივ საფუძველს აცლის. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბანკის სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელში (იხ. შესაგებელი; დაზუსტებული შესაგებელი) მოპასუხეებს ასეთი შედავება არ განუხორციელებიათ, საკითხი სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი.

23. საკასაციო სასამართლო საქმეში მოთავსებულ მტკიცებულებებზე უთითებს, რომლებითაც უდავოდ არის დადასტურებული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2017 წლის 19 ივნისის განჩინების საფუძველზე (საქმე №2/9942-2017) შპს „ა-ის“ (ს/კ ...) მიმართ შეწყდა გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, საწარმო გამოცხადდა გაკოტრებულად; კრედიტორმა (ბანკმა) სარჩელი აღძრა 2017 წლის 27 ივნისს. ხოლო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შპს „ა-ის“ (ს/კ ...) განცხადება,

რომლითაც მოთხოვნილი იქნა სანარმოს რეგისტრაციის გაუქმება რეგისტრირებულაა 2017 წლის 4 აგვისტოს 15:54:06 სთ-ზე და იმავე დღეს არის მიღებული გადაწყვეტილება სანარმოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. ამდენად, კასატორის მონინააღმდეგ მხარის დასახელებულ პრეტენზიას ფაქტობრივი საფუძველი აქვს გამოცლილი.

24. სსკ-ის 454-ე მუხლის განმარტების მიზნიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმა კონკრეტულად იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო ვალდებულების შეწყვეტის საგამონაკლისო წესს განსაზღვრავს. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში გამოყენებული პირადი (პიროვნული) თუ სანივთო უზრუნველყოფის სახეების აქცესორულობა სამართლებრივად სწორედ იმის მაუწყებელი და განმსაზღვრელია, რომ მიუხედავად იურიდიული პირის სალიკვიდაციო პროცესის დასრულებისა, ეს არ აქარწყლებს ძირითადი მოვალის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებს. წინამდებარე გადაწყვეტილების 23-ე პუნქტში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 454-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალე სანარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციის გამო წარმოიშვება, იმთავითვე აუქმებს კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებულ საშუალებებს მათი აქცესორულობის გამო და პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს უზრუნველმყოფ პირებს, მთლიანად გამოაცლის საფუძველს საკრედიტო ურთიერთობებში უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობას, დაწინაშეულებასა და მიზანს. მოთხოვნის უზრუნველყოფა არის კრედიტორისათვის მინიჭებული უფლება, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ან სხვაგვარად გამოყენების გზით (იხ. ლადო ჭანტურია – კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გვ. 15, თბილისი, 2012წ.). კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ სამართლებრივი ურთიერთობა კრედიტორსა და უზრუნველმყოფ პირებს შორის წარმოიშობა, ასეთ ხელშეკრულებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს და საკუთარ თავში ატარებს კაუზას, რაც იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულება დამოუკიდებელი ხასიათისაა; უზრუნველყოფი პირები საკუთარ ვალდებულებას ასრულებენ და არა სხვის ვალდებულებას (იხ. სუსგ №ას-647-647-2018, 21.10.2019წ; ასევე – შედარებითი სამართლის ჟურნალი №3/2019 – გ. რუსიაშვილი, აქ-

ცესორულობის პრინციპი იპოთეკისა და თავდებობის მაგალითზე – გვ. 15).

25. საკასაციო მოთხოვნის ფარგლებში გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით, უნდა დაკმაყოფილდეს კრედიტორის სარჩელი, კერძოდ:

25.1. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 238 637,35 (ორას ოცდათვრამეტი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი აშშ დოლარისა და ოცდათხუთმეტი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;

25.2. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის 1 356,99 (ათას სამას ორმოცდათექვსმეტი აშშ დოლარისა და ოთხმოცდაცხრამეტი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;

25.3. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 226 742,22 (ორას ოცდაექვსი ათას შვიდას ორმოცდაორის აშშ დოლარისა და ოცდაორი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;

25.4. სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, მოპასუხეების ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის და ლ. ლ-ასთვის სოლიდარულად დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით, განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია: ა) მდებარე – მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; ბ) მდებარე – მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; გ) მდებარე – მცხეთა, სოფელი .../მცხეთა, სოფელი .../მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; დ) მდებარე – თბილისი, ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – შპს „შ.თ-ი“;

25.5. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, აღსრულება მიექცეს მოპასუხეების ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის და ლ. ლ-ას საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე.

26. მოპასუხეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების შესახებ იხილეთ წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 257.1, 264.3, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ს. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ს. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
 - 3.1. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 238 637,35 (ორას ოცდათვრამეტი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი აშშ დოლარი-სა და ოცდათხუთმეტი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;
 - 3.2. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პროცენტის 1 356,99 (ათას სამას ორმოცდათექვსმეტი აშშ დოლარისა და ოცნმოცდაცხრამეტი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;
 - 3.3. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს და ლ. ლ-ას მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 2016 წლის 13 სექტემბრის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების 226 742,22 (ორას ოცდაექვსი ათას შვიდას ორმოცდაორის აშშ დოლარისა და ოცდაორი ცენტის) აშშ დოლარის გადახდა;
 - 3.4. სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ, მოპასუხეების ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის და ლ. ლ-ასთვის სოლიდარულად დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით, განხორციელდეს იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია: ა) მდებარე – მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; ბ) მდებარე – მცხეთა, სოფელი ...,

უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; გ) მდებარე – მცხეთა, სოფელი .../მცხეთა, სოფელი .../მცხეთა, სოფელი ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – ა. თ-ძე; დ) მდებარე – თბილისი, ..., უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №..., მესაკუთრე – შპს „შ. თ-ი“;

3.5. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, აღსრულება მიექცეს მოპასუხეების ა. თ-ძის, ა. თ-ძის, მ. ჭ-ძის და ლ. ლ-ას საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე;

4. მოპასუხეებს ა. თ-ძეს, ა. თ-ძეს, მ. ჭ-ძეს, ლ. ლ-ასა და შპს „შ. თ-ს“ მოსარჩელე სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის – 1 939.6 (ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი ლარისა და სამოცი თეთრის) ლარის გადახდა;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.